

# არსენალი

7 (36). ივლისი. 2007. „კვირის პალიტრა“. სამხედრო-ანალიტიკური ჟურნალი. ფასი 1,5 ლარი



რით გაძლიერდა
ართული არმია

1425
2007

ყველაზე მასობრივი
სადესანტო
ოპერაციები

„შავი კატები“
ერორისტების
ინააღმდეგ

„საინფორმაციო
ცენტრი NATO-ს
შესახებ“

ისხლით ნაყიდი
ამოცდილება

სახელო
ართული პისტოლეტი

აშშ-ის
სპეცსამსახურები

ეროვნული ბიბლიოთეკა



რით გაძლიერდა ქართული არმია 6



ციური ჯარისკაცები 22




რამდენიმეთვიანი პაუზის შემდეგ „საინფორმაციო ცენტრმა NATO-ს შესახებ" განაახლა მუშაობა 6

„მიგი", რომელიც სამეგრელოდან მოიპარეს 25





„შავი კატები" ტერორისტთა წინააღმდეგ 30



რატომ ჩავიდა დაღესტანში ქართული საექსპედიციო რაზმი 18

ეროვნული ბიბლიოთეკა

# სარჩევი


**კალეიდოსკოპი**

4 უცხოური ამბები

**საქართველო**

6 რით გაძლიერდა ქართული არმია

**ექსპერტის აზრით**

10 საქართველოს საჰაერო თავდაცვის განვითარების კონცეფცია

**კონსულტაცია**

13 კვალიფიციური რჩევები

**ალიანსი**

14 საინფორმაციო ცენტრი NATO-ს შესახებ

**ოფიციალური გვერდი**

16 აუცილებელია, რეფორმები შეუქცევად ხასიათს ატარებდეს... ამ პროცესს ხალხის მუდმივი მხარდაჭერა სჭირდება...

**საქართველოს ისტორია**

18 „გაიგზავნოს თვითმფრინავები მთიელთა დასახმარებლად“

**საგანგებო ინფორმაციები**

22 ციური ჯარისკაცები

**იარაღი**

25 „მიგი“, რომელიც სამეგრელოდან მოიპარეს...

**პროფესიონალები**

30 „შავი კატები“ ტერორისტების წინააღმდეგ

**ქართული იარაღი**

35 ახალი ტიპის ქართული მასრა

36 სამხედრო ლექსიკონი

**ფლოტის ისტორიიდან**

37 სამდინარო ბატალიები მისისიპიდან მტკვრამდე

**ელიტა**

41 სამთო ნაწილები

**სპეცსამსახურები**

43 მსტოვრობის ისტორია საქართველოში

45 აშშ-ის სპეცსამსახურები

**ომგამოვლილები**

47 სისხლით ნაყიდი გამოცდილება

**კროსვორდი**

51 არსენალვორდი

**მოსაზრება**

52 არასამხედრო ალტერნატიული შრომითი სამსახური გამოუყენებელი რესურსი

**„არსენალის“ იარაღის მაღაზია**

54 უსახელო ქართული პისტოლეტი


საქართველოს პარლამენტის ეროვნული ბიბლიოთეკა

## რედაქტორის სვეტი

დაძაბულობა ცხინვალის რეგიონში არ ცხრება. ურთიერთდაპირისპირების მორიგი ტალღა შემოვლითი გზების გაყვანას უკავშირდება. ცხინვალზე გამავალი ცენტრალური გზის ჩაკეტვამ თბილისი აიძულა ზემო ნიქოზის-ავნევის შემოვლითი გზის აღდგენა დაეწყო, რასაც სეპარატისტებთან ერთად რუსი ცისფერჩაფხუტიანებიც ეწინააღმდეგებიან. არადა ასეთი შემოვლითი გზები აუცილებელია, რომ მოსახლეობა ბლოკადაში არ აღმოჩნდეს და ამასთან მივაღწიოთ ტაქტიკურ უპირატესობას რეგიონში საბრძოლო მოქმედებების განახლების შემთხვევაში. იმედი გვინდა ვიქონიოთ, რომ ყველაფერი მშვიდობიანად დამთავრდება, მაგრამ გზების პრობლემა კვლავ აქტუალური რჩება და სავარაუდოდ, ამ მიზეზით ურთიერთდაპირისპირება შესაძლოა გაგრძელდეს.

*ირაკლი ალადაშვილი*
*გიორგი ქორქოლიანი*

ყურადღება!
ხშირია შემთხვევა, როდესაც ჩვენი მკითხველი სხვადასხვა მიზეზის გამო ვერ ასწრებს ჟურნალის ყიდვას პრესის ჯიხურებში. ამიტომ გირჩევთ, გამოიწეროთ „არსენალი“ და მიიღოთ შინ, ყოველი თვის დასაწყისში.
ტელ: 42-43-40

რედაქციის დაუკითხავად მასალების გადაბეჭდვა აკრძალულია

ჟურნალ „არსენალის“ ძველი ნომრების შეძენა შეგიძლიათ რედაქციაში

გაზეთ „კვირის პალიტრის“ დამატება ©
რედაქციის მისამართია: თბილისი, იოსებიძის ქ. №49.
ტელ: 38-37-47
email: arsenali@kvirispalitra.com
ჟურნალი გამოდის თვეში ერთხელ

# ბრიტანეთის ჯარები ერაყსა და ავღანეთში ახალ ავტომობილს მიიღებენ

დიდი ბრიტანეთის თავდაცვის სამინისტრომ მაღალი გამავლობის საპატრულო ავტომობილების პარტია შეუკვეთა ერაყსა და ავღანეთში სწრაფი რეაგირების ჯგუფებისათვის. მანქანა MWMIK-ს (4X4), შეუძლია გადაიყვანოს ოთხკაციანი ჯგუფი. მისი წონა 4 ტონას შეადგენს, მაქსიმალური სიჩქარე შოსეზე დაახლოებით 130 კილომეტრია საათში. ავტომობილს ზემოდან შეიძლება დაუყენდეს მსხვილკალიბრიანი ტყვიამფრქვევი, ავტომატური ყუმბარსატყორცნი ან მსგავსი გაბარიტის მქონე სხვა იარაღი. MWMIK-ს თავისი იერის გამო მეტსახელიც შეარქვეს – „დეფენდერი“ სტეროიდებზე“. ფირმა SUPACAT-ის მიერ შემუშავებული ავტომობილის წარმოება ქარხანა DEVONPORT MANAGEMENT LTD-ში დაიწყება, პლიმუთში. 2008 წლიდან ბრიტანეთის შეიარაღებული ძალები ამ ტიპის 130 მანქანას მიიღებენ.





EF-2000

# „სეილი“ „ტაიფუნებზე“ ავსტრიისათვის

შეთანხმების თანახმად, ავსტრია იყიდის 1,63 მილიარდ ევროდ ღირებულ 15 გამანადგურებელს შეიარაღებითა და სარემონტო კომპლექტებით. შეთანხმების ადრინდელი ვარიანტი ითვალისწინებდა 2 მილიარდ ევროდ ღირებული 18 გამანდგურებლის შესყიდვას. თვითმფრინავების მიწოდება ავსტრიის სამხედრო-საჰაერო ძალებისთვის ამა წლის მარტში დაიწყო. ავსტრიის სამხედრო-საჰაერო ძალების შეიარაღებაში თვითმფრინავი EF-2000 შეცვლის მოძველებულ გამანადგურებლებს F-105-ებს, რომლებიც ავსტრიამ შვეიცარიაში შეიძინა.

# რუსეთი სამასორმოცდაათი მოდერნიზებული МиГ-29-ის გაყიდვას აპირებს

ავიასალონ „ლე ბურჟე 2007“-ის ფარგლებში ჩატარებულ პრესკონფერენციაზე კორპორაცია „МиГ“-ის გენერალურმა დირექტორმა განაცხადა, რომ МиГ-29-ების გაყიდვის თაობაზე მომავალი კონტრაქტების ღირებულება 10-12 მილიარდ დოლარს შეადგენს. კორპორაციის წარმომადგენლებმა ასევე აღნიშნეს, რომ თანამედროვე მოდიფიკაციის МиГ-29-ების მყიდველები, ძირითადად, დსთ-ის ქვეყნები, კერძოდ, ყაზახეთი, თურქმენეთი, უზბეკეთი და უკრაინა იქნებიან. საფრონტო გამანადგურებელი МиГ-29 აღჭურვილია 30 მილიმეტრის კალიბრის ქვემეხით, საშუალო და ახლო სიშორის „ჰაერი-ჰაერი“ ტიპის რაკეტებით და შეუძლია არამართვადი რაკეტებისა და ბომბების ტარება. „რუსული კორპორაცია „ირკუტი“ კი 2014 წლამდე დაახლოებით 7 მლრდ დოლარის ღირებულების 242 მრავალფუნქციურ გამანადგურებელ Су-30МКИ-ს გაყიდის“, – განაცხადა საერთაშორისო ავიაკოსმოსურ სალონ ლე ბურჟეში გამართულ პრესკონფერენციაზე კორპორაციის პრეზიდენტმა ოლეგ დემჩენკომ. მისი თქმით, ამ მანქანებს უპირველეს ყოვლისა ინდოეთს მიაწვდიან. მიმდინარეობს მოლაპარაკებები კიდევ 40 გამანადგურებელ Су-30МКИ-ს მიწოდებაზე. დემჩენკოს განცხადებით, 18 Су-30МКИ-ს მალაიზიის სამხედრო-საჰაერო ძალები იყიდიან. „ამ სერიის ორი თვითმფრინავი ახლახან „სუხოის“ გადაეცა გამოსაცდელად. წლეულს კი პირველი ექვსი მანქანა ალჟირს გაეგზავნება“, – განაცხადა კორპორაცია „ირკუტის“ პრეზიდენტმა ავიასალონზე.



Су-30МКИ

# ებრაული თვითმფრინავი ირანის შეიარაღებაში?!



ისრაელის საბრძოლო თვითმფრინავი LAVI, რომლის სერიული გამოშვება მის სამშობლოში ჯერაც არ დაწყებულა, შესაძლოა, ირანის სამხედრო-საჰაერო ძალების შეიარაღებაში შევიდეს. LAVI-ს დამუშავება 1987 წელს შეწყდა ამერიკელთა ზეწოლით. შედეგად, ისრაელური ტექნოლოგიები ჩინეთს მიჰყიდეს, რომელმაც LAVI-ს ბაზაზე ახალი თვითმფრინავი J-10 შექმნა. მან შარშან შეასრულა პირველი გაფრენა პეკინის თავზე.

ლე-ბურჟეს საერთაშორისო ავიასალონზე ცნობილი შეიქნა, რომ ჩინეთი J-10-ის ირანში ექსპორტირებას აპირებს. „ირანი მზად არის დიდი თანხა გადაიხადოს ნებისმიერ თავდაცვით ტექნოლოგიაში, თავისი ატომური დანადგარების დასაცავად“, – განაცხადა თავდაცვის სფეროს ერთ-ერთმა წარმომადგენელმა.

LAVI-ს პროექტზე მუშაობა ისრაელში 1977 წელს დაიწყო პრემიერ-მინისტრ მენაჰიმ ბეგინის მითითებით. LAVI-ს პირველი გაფრენა 1986 წელს შედგა. მიუხედავად იმისა, რომ იცხაკ შამირის მთავრობამ 1987 წელს პროექტი დახურა ამერიკელთა ზეწოლის გამო, ახალი თვითმფრინავისთვის შემუშავებულ ტექნოლოგიებს დღესაც მოაქვს შემოსავალი.

ისრაელში შიშობენ, რომ ჩინური თვითმფრინავის საცდელი გაფრენა აშშ-სთან ურთიერთობის მორიგ კრიზისს გამოიწვევს. გასული საუკუნის 90-იან წლებში და 2004 წელს ისრაელის მთავრობამ უკვე იწვნია ამერიკის თავდაცვის სამინისტროს რისხვა ჩინეთთან სამხედრო ტექნოლოგიების შესყიდვაზე გარიგების დადების მცდელობის გამო. ისრაელმა ადრეც იგემა მარცხი თავდაცვით ექსპორტზე, როცა ისრაელური კომპანიის მიერ გამოშვებული და შემდეგ ირანის შაჰისთვის მიყიდული ნაღმსატყორცნები ბოლოს „ჰეზბოლაჰის“ ხელში აღმოჩნდა, რომელმაც ისრაელის ჩრდილოეთი რაიონები დაცხრილა.

# ფრანგმა სამხედროებმა აშშ-ის საიდუმლო თანამგზავრები აღმოაჩინეს

ფრანგულმა კოსმოსური ობიექტების მიწისზედა რადარმა GRAVES-მა 20-დან 30-მდე დაბალორბიტული თანამგზავრი დააფიქსირა, რომლებიც სავარაუდოდ აშშ-ის თავდაცვის სამინისტროს ეკუთვნის. არც ერთი მათგანი არ არის შეტანილი პენტაგონის კოსმოსური ობიექტების კატალოგში.

როგორც ინტერნეტპორტალი space.com-ი იუწყება, ფრანგების აღშფოთება გამოიწვია იმ ფაქტმა, რომ პენტაგონი ოფიციალურ დოკუმენტებში სხვადასხვა ქვეყნის სამხედრო თანამგზავრების აღმოჩენის ყველა შემთხვევას აფიქსირებს, სამაგიეროდ საგულდაგულოდ მალავს თავის სამხედრო დანიშნულების კოსმოსურ აპარატებს.

პროექტის ოფიციალურ საიტზე გამოქვეყნებული ცნობის მიხედვით, რამდენიმე დაუფიქსირებელი თანამგზავრი პრაქტიკულად გაშვებისთანავე აღმოაჩინა რადარმა. ფრანგ სამხედროებს თითქმის 16 თვე დასჭირდათ მათი მახასიათებლებისა და ორბიტის ელემენტების დასაზუსტებლად.

სხვათა შორის, ეჭვობენ, რომ ყველა აღმოჩენილი თანამგზავრი აშშ-ის არ ეკუთვნის. ცნობილია, რომ ჩინეთის სახალხო რესპუბლიკა ყოველთვის არ იძლევა ზუსტ ინფორმაციას თავის სამხედრო დანიშნულების კოსმოსურ აპარატებზე. მაგალითად, იყო შემთხვევები, როცა ჩინეთმა კომერციული თანამგზავრის სახით კოსმოსში 2-3 სამხედრო აპარატი გაუშვა. გარდა ამისა, არც ისრაელი იწვის სურვილით, საერთაშორისო ორგანიზაციებს წარუდგინოს ამომწურავი ინფორმაცია თავის სამხედრო კოსმოსურ პროგრამებზე. აღმოჩენილი ობიექტების ერთი ნაწილი შესაძლოა დაკარგული ობიექტებიცაა, რომელთა მართვა ორბიტაზე გასვლის შემდეგ ტექნიკური გაუმართაობის გამო არ მოხერხდა. ფრანგი სამხედროების თქმით, ამ ფაქტს ისინი აშშ-ის წინააღმდეგ მაინც გამოიყენებენ, თუკი ის თავად საფრანგეთის საიდუმლო სამხედრო და კოსმოსურ ობიექტებზე მონაცემებს გამოაქვეყნებს. რადარული კომპლექსი გრავეს, რომელიც დააპროექტა და ააშენა კომპანია ONEGA-მ საფრანგეთის თავდაცვის სამინისტროს შეკვეთით, შემკვეთს 2005 წლის ნოემბერში გადაეცა. რადარის მშენებლობას 15 წელი დასჭირდა. რუსეთისა და შშ-ის შემდეგ საფრანგეთი მესამე ქვეყანაა, რომელსაც ეს სისტემა აქვს. თუმცა რუსულ და ამერიკულ რადარებთან შედარებით ფრანგულს შეზღუდული შესაძლებლობები აქვს: ჯერჯერობით მას მხოლოდ იმ თანამგზავრების აღმოჩენა შეუძლია, რომლებიც დაბალ ორბიტებზე არიან, დედამიწიდან არა უმეტეს 1000 კმ-ზე. გრავეს მონაცემთა ბაზაში ინახება ინფორმაცია 2 ათასზე მეტ კოსმოსურ ობიექტზე. შედარებისათვის: რუსეთისა და აშშ-ის ანალოგიურ კატალოგებში 9 ათასზე მეტ კოსმოსურ აპარატზეა ცნობები მოცემული.



ეროვნული ბიბლიოთეკა

# რით გაძლიერდა ქართული არმია „ვარდების რევოლუციის“ შემდეგ



საქართველოს სამხედრო ბიუჯეტი წელს თითქმის ერთ მილიარდ ლარს გაუტოლდა. ეს ჯერ კიდევ 3-4 წლის წინ წარმოუდგენელი რამ გახლდათ, რადგან შვიდიოდე წლის წინ მილიარდი ლარი მთლიანად ქვეყნის სახელმწიფო ბიუჯეტი თუ იყო.

ამ უზარმაზარი სამხედრო ბიუჯეტის ლომის წილი შეიარაღებისა და საბრძოლო საჭურვლის საზღვარგარეთ შეძენაზე იხარჯება.

ვინც ჯერ კიდევ კომუნისტური წესებით ცხოვრობს და მიაჩნია, რომ არმიასთან დაკავშირებული ყველა თემა ძალზე გასაიდუმლოებული უნდა იყოს, ის ცხოვრებას ჩამორჩა.

„არსენალი“ თავს უფლებას აძლევს, მოიყვანოს ყველა ის მონაცემი, რაც საქართველოში იარაღის ექსპორტს ეხება. ამით ჩვენ არავითარ საიდუმლოებას არ გავცემთ, რადგან იარაღის ექსპორტიორი ყველა ქვეყანა ვალდებულია ყოველწლიურად წარუდგინოს გაეროს ასეთი მონაცემები. გამონაკლისი, რა თქმა უნდა, არც საქართველოა. გაეროს შესაბამისი რეესტრი მისაწვდომია ყველა დაინტერესებული პირისთვის და ამიტომაც გვინდა თუ არა, მოსკოვში ქართველ ხალხზე უკეთ იციან, რა შეიარაღება შეიძინა ქართულმა არმიამ ბოლო წლებში, ხოლო თუკი მოსკოვში იციან, ე.ი. სეპარატისტულ სოხუმსა და ცხინვალსაც კარგად მოეხსენება ეს მონაცემები. აქედან გამომდინარე, თუკი ჩვენმა არაკეთილმოსურნეებმა იციან, მაშინ ქართველი საზოგადოების დაინტერესებულმა ნაწილმა რატომ არ უნდა იცოდეს, რაში იხარჯება უზარმაზარი თანხები ქვეყნის ბიუჯეტიდან?!



უკრაინაში 2004 წელს ათი, ხოლო 2005 წელს ოცი ერთეული БТР-80 შევიძინეთ

2003 წელს, „ვარდების რევოლუციის“ წინ, საქართველოს თავდაცვის სამინისტროს შეიარაღებაში იყო 90 ტანკი, 82 ქვეითთა საბრძოლო მანქანა, 200 ერთეული ჯავშანმანქანა და მისი მსგავსი 100მმ-ზე მსხვილი კალიბრის 109 საარტილერიო დანადგარი და სისტემა, 16 შვეულმფრენი და ამდენივე თვითმფრინავი (მათ შორის, შვიდი Су-25 მოიერიშე). თავისი შეიარაღება (ოღონდ უფრო მცირე რაოდენობით) ჰქონდათ შსს-ს შინაგან ჯარებს და საზღვრის დაცვის სახელმწიფო დეპარტამენტს. „ვარდების რევოლუციის“ შედეგად მოსულმა ახალმა ხელისუფლებამ დაჩქარებული ტემპით



ქართულ არმიას სამ ათეულამდე ჩეხური Dana აქვს შეიარაღებაში

დაიწყო შეიარაღების შესყიდვა საზღვარგარეთ. ეს პროცესი განსაკუთრებით ინტენსიური გახდა 2004 წლის ზაფხულის მოვლენების დროს ცხინვალის რეგიონში.

თუკი დავუჯერებთ გაეროს ოფიციალურ რეესტრს, 2004 წელს საქართველომ კონტრაქტი დადო უკრაინასთან 40 ერთეული ქვეითთა საბრძოლო მანქანის БМП-2-ისა და 10 ჯავშანტრანსპორტიორის БТР-80-ის შეძენაზე. ეს ტექნიკა რამდენიმე პარტიად შემოვიდა ჩვენს ქვეყანაში როგორც 2004 წლის ბოლოს, ისე 2005 წლის დასაწყისში. ალბათ, ბევრს ახსოვს 40 უკრაინული БМП-2-თან დაკავშირებული სკანდალი. მაშინდელი გენშტაბის უფროსი ირწმუნებოდა, რომ 40 БМП-2-დან 30-ზე მეტი გაფუჭდა, რადგან იმთავითვე უვარგისი იყიდეს. სინამდვილეში კი მწყობრიდან მხოლოდ ექვსი ქვეითთა სარძოლო მანქანა გამოვიდა და ისიც არასწორი ექსპლუატაციის გამო. ასეა თუ ისე, ამ ჯავშანტრანსპორტიორების გამო სამი ქართველი ოფიცერი ჯერ კიდევ ციხეში ზის, დამნაშავეები კი გარეთ არიან.

იმავე 2004 წელს ჩეხეთის რესპუბლიკამ ორი ზალპური ცეცხლის რეაქტიული სისტემა, 122 მმ-იანი RM-70 მოგვყიდა, უკრაინამ კი ექვსი 152მმ-იანი თვითმავალი საარტილერიო დანადგარი 2С3 АКАЦИЯ. უზბეკეთში ერთი დამრტყმელი შვეულმფრენი Ми-35 (Ми-24-ის საექსპორტო ვარიანტი) შევიძინეთ.

2005 წელს უკრაინაში შევიძინეთ 16 ცალი Т-72 ტიპის ტანკი, 20 ჯავშანტრანსპორტიორი БТР-80, 12 ქვეითთა საბრძოლო მანქანა БМП-2, 6 ერთეული თვითმავალი საარტილერიო დანადგარი 2С3 АКАЦИЯ, ორი სამხედრო-სატრანსპორტო შვეულმფრენი Ми-8МТВ და შვიდი დამრტყმელი შვეულმფრენი Ми-24 (სხვადასხვა მოდიფიკაციის).

2005 წელს იარაღი უკრაინის გარდა ჩეხეთმაც მოგვყიდა. ჩეხეთიდან ჩამოტანილ იქნა 35 ცალი Т-72 ტიპის ტანკი (მათ ტყუილად როდი ვუწოდეთ „შიშველი", რადგან უკრაინაში ნაყიდი Т-72-ებისგან განსხვავებით, არ გააჩნდათ დინამიკური დაცვის კონტეინერები და ამიტომ მათი მწყობრიდან გამოყვანა შედარებით ადვილია. არასწორია მტკიცება, თითქოს „შიშველ" ჩეხურ ტანკებს შეიძლება დაუყენდეს დინამიკური დაცვის კონტეინერები. ჯერ ერთი, კონტეინერებს შოვნა უნდა, თანაც ერთ ტანკზე დასაყენებელი 227 კონტეინერის ფასი 20 ათას დოლარს აღემატება. ამასთან, კონტეინერების დადუღების პროცედურა ტანკის კორპუსის ჯავშნის სიმტკიცეს გარკვეულწილად ამცირებს) და 12 ერთეული 152 მმ-იანი ნაღმსატყორცნი (გაეროს რეესტრის მითითებით, მართალია, ეს ნაღმსატყორცნები ჩეხეთმა მოგვყიდა, მაგრამ ისინი ბოსნიაში გაუკეთებიათ). ამავე წელს ჩეხეთიდან 12 თვითმავალი Dana-ც ვიყიდეთ.

2006 წლის შესყიდვებმა გასული წლები მნიშვნელოვნად დაჯაბნა. გასულ წელსაც ტრადიციულად ყველაზე მეტი

უკრაინიდან ჩამოყვანილი „აკაცია" ორფოლოს პოლიგონზე



ეროვნული ბიბლიოთეკა



ჩეხური RM-70-ები „გრადებს“ ამოუდგნენ მხარში...



120 მმ-იანი ნაღმსატყორცნები

AK-74. ორი სხვადასხვა კალიბრის „კალაშნიკოვმა“ ჯერ კიდევ აფხაზეთის ომში შეგვიქმნა პრობლემები, რადგან წინა ხაზზე ორი სხვადასხვა კალიბრის ვაზნების სისტემატური მიწოდება იყო საჭირო. შეიძლება ვივარაუდოთ, რომ სხვადასხვა კალიბრის „კალაშნიკოვების“ შეძენა მხოლოდ იძულებითი ნაბიჯი იყო...

გასულ წელს ჩეხეთმა 12 ცალი თვითმავალი საარტილერიო დანადგარი Dana, 30 ერთეული 122 მმ-იანი ჰაუბიცა Д-30 და რაც მთავარია, ისევ 35 „შიშველი“ T-72 მოგვაწოდა. ამ 35 ტანკისთვის ასევე ჩეხეთში იქნა შეძენილი 35 სატანკო ტყვიამფრქვევი ПКТ და ამდენივე 12,7 მმ-იანი საზენიტო ტყვიამფრქვევი.

უკრაინელებსა და ჩეხებს გასულ წელს ბოსნია-ჰერცეგოვინა და ყაზახეთიც მიუერთდნენ. ბოსნია-ჰერცეგოვინასგან 2006 შეიარაღება უკრაინასა და ჩეხეთში შეგვიძენია. უკრაინაში ვიყიდეთ ერთი საზენიტო-სარაკეტო კომპლექსი ОСА-АКМ და მისთვის განკუთვნილი 48 ცალი 9М33М3 ტიპის საზენიტო რაკეტა. აგრეთვე, 53 ერთეული ПК და ПКМ ტიპის ტყვიამფრქვევი, 64 ცალი 30 მმ-იანი ავტომატური ყუმბარსატყორცნი АГС-17 და 21700 „კალაშნიკოვი“.

აბსოლუტურად გამართლებულია ავტომატური ყუმბარსატყორცნებისა და ტყვიამფრქვევების ყიდვა, თუმცა ცოტა გაკვირვებას იწვევს ის ფაქტი, რომ 21700 „კალაშნიკოვიდან“ 10 ათასი 7,62 მმ-იანი АКМ-ია და 11700 კი 5,45 მმ-იანი



ქვეითთა საბრძოლო მანქანა БМП-2 აღლუმზე

წელს 50 ცალი 60 მმ-იანი, 25 ცალი 82 მმ-იანი და 15 ცალი 120 მმ-იანი ნაღმსატყორცნი შევიძინეთ, ხოლო ყაზახეთიდან კი 758 ერთეული **9M114 ШТУРМ**-ის ტიპის მართვადი ტანკსაწინააღმდეგო და 5552 ცალი **С-5КПВ** ტიპის უმართავი საავიაციო რაკეტა.

ამ რაოდენობის „შტურმის“ ტიპის რაკეტის შეიარაღებაში ქონა იმაზე მიუთითებს, რომ ქართველ სამხედროებს უკვე აქვთ საშუალება პოტენციური მოწინააღმდეგის ჯავშანტექნიკის გასანადგურებლად.



საქართველოში გამოსაგზავნი „სამგზავროდ მომზადებული“ Ми-24-ები უკრაინულ სამხედრო აეროდრომზე



Ми-8МТВ ტიპის სამხედრო-სატრანსპორტო შვეულმფრენი

ამ ტიპის მართვად ტანკსაწინააღმდეგო რაკეტებს **Ми-24В** და **Ми-24П** ტიპის დამრტყმელი შვეულმფრენები ისვრიან.

„შტურმისგან“ განსხვავებით ძალიან ძნელი გასამართლებელია **С-5** ტიპის უმართავი საავიაციო რაკეტების შეძენა. 57 მმ-იანი **С-5** საკმაოდ ჩამოუვარდება 80 მმ-იანი **С-8**-ს, რის გამოც დსთ-ის ქვეყნების სამხედრო ავიაცია, ძირითადად, **С-8**-ებზეა გადასული; ან **С-5**-ები ძალიან იაფად შევიძინეთ და მათ პილოტების საბრძოლო მომზადებისთვის გამოიყენებენ, ანდა შეცდომა დაუშვეს მათმა მყიდველებმა.

მოწინააღმდეგის ჯავშანტექნიკა შეიძლება იმ **450 ФАГОТ**-ისა და **КОНКУРС**-ის ტიპის მართვადი ტანკსაწინააღმდეგო კუმულაციურქობინიანი რაკეტების ლუკმაც გახდეს, რომლებიც ასევე გასულ წელს ბულგარეთში ვიყიდეთ.

საავიაციო „შტურმი“ და სახმელეთო „ფაგოტი“ და „კონკურსი“ კარგი შენამატია ქართული არმიის არსენალისთვის. თუკი ოპერატორ-მსროლელები პროფესიონალურ მომზადებას გაივლიან სპეციალურ იმიტატორზე, მაშინ ქართული არმიის საბრძოლო დანაყოფები ერთ-ერთი საუკეთესოები იქნებიან მოწინააღმდეგის ჯავშანტექნიკის განადგურებაში.

გარდა ამისა, ქართულ არმიას 2007 წლის დასაწყისიდან სხვა სახეობებისა და ტიპის საბრძოლო ტექნიკაც შეემატება და წლის ბოლომდე მათი რიცხვი გაიზრდება. თუმცა მათზე ამჯერად არ შევჩერდებით, რადგან გაეროს რეესტრი 2007 წელს შეიარაღების შესყიდვების შესახებ 2008 წლის ზაფხულზე ადრე, ალბათ, არ გამოქვეყნდება.

2008 წლის 1-ელი იანვრისთვის საქართველო, ისევე როგორც ევროპის უმეტესი ქვეყანა, ვალდებულია „ევროპაში ჩვეულებრივი შეიარაღებული ძალების შესახებ“ ადაპტირებული ხელშეკრულების თანახმად, გამოაქვეყნოს თავისი შეიარაღებული ძალების რიცხოვნობისა და შეიარაღების შესახებ ზუსტი ინფორმაცია. დაკვირვებული თვალი კი ადვილად შეამჩნევს 2007 წელს დამატებით შესყიდული საბრძოლო ტექნიკის რაოდენობას.

ჩვენს საზოგადოებას არ შეიძლება არ აინტერესებდეს, რა თანხა დაიხარჯა ამა თუ იმ საბრძოლო ტექნიკისა თუ სამხედრო საჭურვლის შეძენისას. ხშირად ეს ინფორმაცია უფრო გასაიდუმლოებულია, ვიდრე თავად ტანკების თუ ქვემეხების შეძენა, რადგან შესყიდვის კონტრაქტები კომერციული საიდუმლოებაა. „არსენალს“ აქვს ინფორმაცია ზოგიერთი გარიგების თაობაზე, მაგრამ ეს ცალკე სტატიის თემაა.

*ირაკლი ალადაშვილი*



Д-30-ებს ქართული არმია აფხაზეთის ომის დროსაც იყენებდა

ეროვნული ბიბლიოთეკა

# საქართველოს საჰაერო თავდაცვის განვითარების კონცეფცია

საქართველოს საჰაერო თავდაცვის განვითარების კონცეფცია რთულ ვითარებასა და მოკლე ვადებში შემუშავდა. იგი განიხილეს და მოიწონეს ეროვნული უშიშროების საბჭოს 2001 წლის 14 დეკემბრის სხდომაზე. მაშინ პანკისის ხეობის დაბომბვისა და რუსეთის ფედერაციის ტერიტორიიდან გახშირებული საჰაერო დარღვევების ფონზე გადაწყდა საჰაერო თავდაცვის საკითხის განხილვა ეროვნული უშიშროების საბჭოს სხდომაზე გატანილიყო. ჩვენგან მოითხოვეს, თუ რა ზომები უნდა გატარებულიყო, რათა აღგვეკვეთა მსგავსი დარღვევები.

მაშინდელი ხელისუფლების მხრიდან არაფერი კეთდებოდა იმისათვის, რომ ელემენტარული ზომები მიგვეღო. 30-40-მილიონიანი სამხედრო ბიუჯეტით მხოლოდ მოძველებული რადარების და 30 წლის წინანდელი საკომანდო პუნქტის ფუნქციონირების შენარჩუნებას ვახერხებდით. ამიტომ თავდაცვის სამინისტროსა და გენერალური შტაბის მაშინდელ ხელმძღვანელობასთან კონსულტაციების შემდეგ გადავწყვიტეთ გრძელვადიანი კონცეპტუალური და პროგრამული დოკუმენტით წარვმდგარიყავით. სხდომაზე კონცეფცია წარადგინა გენერალური შტაბის მაშინდელმა უფროსმა, გენერალმა ჯონი ფირცხალაიშვილმა. ასევე ვესწრებოდით მე და გენერალი ჯოლბორდ ბეროზაშვილი (რა თქმა უნდა, მთავრობის წევრები და პარლამენტის სპიკერი). კონცეფციამ და პირველი რიგის ღონისძიებათა პროგრამამ, როგორც ყოფილი პრეზიდენტის, ასევე საბჭოს წევრების მოწონება დაიმსახურა.

შემდგომ, უშიშროების საბჭოსთან ერთად, მომზადდა და გამოიცა საქართველოს პრეზიდენტის განკარგულება „საქართველოს საჰაერო თავდაცვის განვითარების პირველი რიგის ღონისძიებათა შესახებ“. როგორც იმ წლებში იყო მიღებული, მთავრობის მიერ ეს განკარგულებაც არ შესრულებულა. არა მარტო დაფინანსება არ გამოყოფილა, უწყვეტი ელექტროენერგიით მომარაგებასაც ვერ მივაღწიეთ.

აღნიშნული პროგრამის მხოლოდ ერთი პუნქტი შესრულდა: ჩვენ მიერ მომზადდა საჰაერო თავდაცვის განვითარების 2005 წლამდე პერიოდის პროგრამა. ამ პროგრამის მთავარი მიზანი იყო ნატოსთან თავსებადი საჰაერო სივრცის კონტროლის სისტემის შექმნა, რათა მომხდარიყო მისი მიერთება NATO-ს საჰაერო ვითარების მონაცემთა ბაზასთან, შემდგომში კი NATO-ს საჰაერო თავდაცვის ერთიან სისტემაში ინტეგრირება. დსთ-ის საჰაერო თავდაცვის ერთიან სისტემაში ყოფნას ჩვენთვის დაბომბვების გარდა არაფერი მოუტანია. NATO-ს საჰაერო მონაცემთა ბაზასთან მიერთებით კი მნიშვნელოვნად განვიმტკიცებდით უსაფრთხოებას, რადგან ჩვენი საჰაერო სივრცის სუვერენიტეტის ხელყოფა მთელი მსოფლიოსთვის დროის რეალურ მასშტაბში გახდებოდა ცნობილი. რა თქმა უნდა, ეს პროგრამაც არ დაფინანსებულა.

NATO-ს საჰაერო თავდაცვის კომიტეტთან თანამშრომლობა და ნატოს საჰაერო ვითარების მონაცემთა გაცვლის ბაზასთან მიერთება ჩვენი მუშაობის მთავარი პრიორიტეტი იყო. ჩვენი (თავდაცვის, საგარეო ურთიერთობათა სამინისტროების) მუშაობის შედეგად საქართველო ტექნიკური მზადყოფნის გარეშე გაწევრდა NATO-ს საჰაერო ვითარების მონაცემთა გაცვლის პროგრამაში, რაზედაც არსებობს NATO-ს შესაბამისი პოლიტიკური გადაწყვეტილება. მინდა აღვნიშნო, რომ ამ მიმართულებით აქტიურად მუშაობდა და ჩვენს ამ პროგრამაში გაწევრებაში დიდი წვლილი მიუძღვის საჰაერო ძალების დღევანდელ სარდალს, პოლკოვნიკ დავით ნაირაშვილს, რომელიც იმ პერიოდში საქართველოს სამხედრო წარმომადგენელი იყო NATO-ში.

დღეს, როცა საქართველოს პრეზიდენტი და მთავრობა პრიორიტეტულად მიიჩნევენ არმიის განვითარებას, საჭიროა გრძელვადიანი (პერსპექტიული) დაგეგმარება, კონცეპტუალური და პროგრამული დოკუმენტების შემუშავება, სერიოზული სამეცნიერო-კვლევითი საქმიანობის განხორციელება.

ჩემს შემდგომ სტატიას დაგეგმარების მეთოდიკას მივუძღვნი. წინამდებარე სტატიაში კი ჟურნალ „არსენალის“ მკითხველს ვთავაზობთ საქართველოს საჰაერო თავდაცვის განვითარების კონცეფციის განახლებულ ვარიანტს.

როგორც ზემოთ მოგახსენეთ, აღნიშნული კონცეფცია 6 წლის წინ ნაჩქარევად, მოკლე დროში შემუშავდა. მას შემდეგ ბევრი რამ შეიცვალა. მიღებულია ორი უმნიშვნელოვანესი დოკუმენტი: ეროვნული უსაფრთხოების კონცეფცია და ეროვნული სამხედრო სტრატეგია (ეს უკანასკნელი. ჩემი აზრით, მეცნიერულად დასახვეწია). დაგროვდა დიდი გამოცდილება დასავლელ პარტნიორებთან თანამშრომლობის შედეგად, როგორც ორმხრივი ურთიერთობებისას, ასევე ნატოს საჰაერო თავდაცვის კომიტეტის ფორმატით. რაც მთავარია, საჰაერო თავდაცვის განვითარებისათვის რეალური დაფინანსება გამოიყოფა. გამოყოფილი რესურსები კი მაქსიმალური ეფექტიანობით უნდა გამოვიყენოთ.

ამისათვის უნდა ვიცოდეთ, რისი შექმნა გვინდა, რა მიზნის მისაღწევად მივილტვით. კონცეფცია ზოგადი დოკუმენტია. მასში ასახული უნდა იყოს მიზნები, პრინციპები, მოთხოვნები, გადასაჭრელი ამოცანები, საჰაერო თავდაცვის პერსპექტიული მოდელი და სხვ. კონცეფციის საფუძველზე უნდა შემუშავდეს გრძელი, საშუალო და მოკლევადიანი პროგრამები შესაბამისი ფინანსურ-ეკონომიკური გათვლებით (როგორც შესყიდვების, ასევე შენახვის ხარჯების) და სამხედრო-სამეცნიერო დასაბუთებით (კრიტერიუმით „ღირებულება-ეფექტიანობა“).

მკითხველს ვთხოვთ თავისი მოსაზრებები და შენიშვნები გამოგზავნოს რედაქციის მისამართზე ან ელექტრონული ფოსტით salukvadze@list.ru. გარდა ამისა, მალე გაიხსნება ფორუმი მისამართზე www.army.ge.

საქართველოს თავდაცვის სამინისტროს შესაბამის სტრუქტურებს შეუძლიათ წინამდებარე დოკუმენტი გადაამუშაონ და გამოიყენონ თავისი შეხედულებისამებრ.



ამერიკული საზენიტო-სარაკეტო კომპლექსი Patriot-ი საზენიტო რაკეტის სტარტის მომენტში

## 1. ზოგადი საკითხები

ბოლო ათწლეულების გამოცდილების ანალიზი გვიჩვენებს, რომ საჰაერო სივრცეში უპირატესობის მიღწევას გადამწყვეტი როლი აქვს. კავკასიაში არსებული გეოპოლიტიკური ვითარების გათვალისწინებით, საჰაერო სივრცეში საკუთარი სახელმწიფო საზღვრების კონტროლს სასიცოცხლო მნიშვნელობა ენიჭება.

წლების განმავლობაში ადგილი ჰქონდა ჩვენი საჰაერო სუვერენიტეტის ხელყოფის ფაქტებს. აფხაზეთის მოვლენების დროს და შემდგომ წლებში ჩრდილოელი მეზობელი სახელმწიფოს ტერიტორიიდან პერმანენტულად ხორციელდებოდა საბრძოლო გაფრენები ჩვენი ტერიტორიების და დასახლებული პუნქტების (ომის დროს — საბრძოლო პოზიციების) დაბომბვით, 2007 წელს კოდორის ხეობის სოფლების დაბომბვა ჩვენი სუვერენიტეტის ხელყოფის კიდევ ერთი მკაფიო მაგალითი იყო. მსგავს ფაქტებს ადგილი ექნება მანამ, სანამ ჩვენს საჰაერო სივრცეში დაუსჯელობის სინდრომი იარსებებს. ამიტომ უნდა შეიქმნას საჰაერო სივრცეში სახელმწიფო საზღვრის, სხვა სიტყვებით, საჰაერო სივრცის სუვერენიტეტის კონტროლის სისტემა.

არსებული კანონმდებლობით, საჰაერო სივრცის სუვერენიტეტის დაცვა ევალება თავდაცვის სამინისტროს, კერძოდ საჰაერო ძალებს.

ამ ფუნქციის შესასრულებლად საჭიროა ორი ძირითადი კომპონენტი:

— პასიური — მართვის და დაზვერვის საშუალებები საჰაერო სივრცეში არსებული ვითარების შესახებ საჭირო მოცულობის და ხარისხის ინფორმაციის მისაღებად;

— აქტიური — დარღვევის აღსაკვეთად ან საფრენი აპარატების წინააღმდეგ საბრძოლველად საჭირო საშუალებები (ავიაცია, საზენიტო კომპლექსები, რადიოელექტრონული ჩახშობის საშუალებები).

მშვიდობიან პერიოდში აქტიური ზემოქმედება, ანუ ავიაციისა და საზენიტო კომპლექსების გამოყენება საჰაერო დამრღვევის წინააღმდეგ არ უნდა იქცეს საჰაერო ძალების მოქმედებების ძირითად მეთოდად.

ადრე საჰაერო ძალებს უწევდა მოძველებული საბჭოური ტექნიკით დაფიქსირებული დარღვევების არადამაჯერებელი მასალების წარდგენა დამრღვევი მხარისათვის, რომელიც თავის მხრივ უარყოფდა წარდგენილ ბრალდებებს. უნდა შეიქმნას ისეთი სისტემა, რომლის მეშვეობითაც შესაძლებელი იქნება დარღვევის ფაქტის დოკუმენტირება თანამედროვე სტანდარტების შესაბამისად და ობიექტური კონტროლის მასალების წარდგენა როგორც დამრღვევი მხარისათვის, ასევე საერთაშორისო ორგანიზაციებისთვის (იკაო, ევროკონტროლი და სხვა), რომლებსაც განსაზღვრულ სიტუაციებში (მაგ. სამოქალაქო ხომალდებისთვის საფრთხის შექმნა) სერიოზული სანქციების დაწესება შეუძლია. ჩვენს დასავლელ პარტნიორებს კი მეტი საფუძველი ექნება პოლიტიკური მხარდაჭერისთვის.

საჰაერო თავდაცვის განვითარების კონცეფცია განსაზღვრავს საჰაერო რისკებს და საფრთხეებს, ასახავს საჰაერო თავდაცვის მიზნებს, ამოცანებს, პრინციპებს, სისტემის კომპონენტების აღწერას და განვითარების ძირითად მიმართულებებს.

## 2. რისკები და საფრთხეები

საქართველოს ეროვნული უშიშროების კონცეფცია საჰაერო სივრცეში სახელმწიფო საზღვრის დარღვევებს განიხილავს როგორც ჩვენი სუვერენიტეტის ხელყოფის ერთ-ერთ სერიოზულ საფრთხეს. არსებობს გაყინული კონფლიქტების განახლების რისკი, ან სხვა პროვოკაციული ქმედებების საშიშროება რეგიონში ვითარების დასაძაბავად. განსაკუთრებით ჩვენი გეოგრაფიული მდებარეობის და რელიეფის პირობებში საჰაერო საშიშროება შენარჩუნებული იქნება.

## 3. საჰაერო თავდაცვის ფუნდამენტური საფუძვლები

### 3.1 საჰაერო თავდაცვის მიზნები და ამოცანები

ყოველ დამოუკიდებელ სახელმწიფოს გააჩნია საკუთარი ტერიტორიის თავზე სახელმწიფო საზღვრის ფარგლებში საჰაერო სივრცის სუვერენიტეტის უფლება. სახელმწიფო, აქედან გამომდინარე, ისევე როგორც სახმელეთო და საზღვაო საზღვრებს, საჰაერო სივრცის სუვერენიტეტს უნდა იცავდეს და აკონტროლებდეს საკუთარი ძალებით დამოუკიდებლად ან

ეროვნული ბიბლიოთეკა

მეგობარ ქვეყნებთან ერთობლივად.

საჰაერო თავდაცვა უნდა იყოს ერთიანი და განიხილებოდეს როგორც სახელმწიფოს თავდაცვის ერთიანი სისტემის შემადგენელი ნაწილი.

საჰაერო თავდაცვა არის ერთიანი გეგმით და ჩანაფიქრით გაერთიანებული საჰაერო თავდაცვის, ასევე სპეციალურად გამოყოფილი ძალების და საშუალებების მოქმედებების და ღონისძიებათა კომპლექსი, მოწინააღმდეგის ავიაციისა და მართვადი რაკეტების მოქმედებების ეფექტიანობის შემცირების ან მინიმუმამდე დაყვანის მიზნით.

**საჰაერო თავდაცვის მიზანია:**

– მშვიდობიანობის დროს – საჰაერო სივრცის სუვერენიტეტის დაცვა და საჰაერო მოძრაობის უსაფრთხოების უზრუნველყოფა შესაბამის სამოქალაქო სტრუქტურებთან ურთიერთქმედებაში;

– ომიანობის დროს – საჰაერო მოწინააღმდეგის შეტევითი ძალისხმევის დაყვანა ისეთ დონემდე, რომელიც უზრუნველყოფს საკუთარი ჯარების თავისუფალ მოქმედებებს და სამხედრო-პოლიტიკური მართვის სისტემის ფუნქციონირებას.

ამ მიზნების მისაღწევად საჰაერო თავდაცვისათვის გამოყოფილი ძალები და საშუალებები ასრულებენ შემდეგ ამოცანებს:

**ა) მშვიდობიანობის დროს:**

– დაზვერვის მუდმივი წარმოება, საჰაერო მოწინააღმდეგის შესახებ ჯარების და სახელმწიფო ორგანოების შეტყობინება;

– სამხედრო ძალების მშვიდობიანობის პერიოდიდან საომარ პერიოდზე გადასვლის საჰაერო უსაფრთხოების უზრუნველყოფა;



რუსილი საზენიტო-სარაკეტო კომპლექსი С-300

– ქვეყნის საჰაერო სივრცეში საჰაერო ხომალდების არასანქცირებული ფრენების აღკვეთა;

– საჰაერო სივრცის გამოყენებაზე ერთობლივი კონტროლი შესაბამის სამოქალაქო სტრუქტურებთან ერთად;

– საჰაერო ვითარების შესახებ შეტყობინებათა ქსელში ინფორმაციის გაცემა.

ამ ამოცანების შესასრულებლად მუდმივი მზადყოფნის ნაწილებიდან უნდა გამოიყოს საჭირო ძალები და საშუალებები საბრძოლო მორიგეობის ორგანიზებისათვის.

**ბ) ომიანობის დროს:**

– მოწინააღმდეგის საჰაერო თავდასხმის საშუალებათა წინააღმდეგ ბრძოლა;

– ადმინისტრაციულ-პოლიტიკური ცენტრებისა და სამრეწველო-ეკონომიკური რაიონების საჰაერო თავდაცვა;

– დისლოკაციის (ბაზირების), გაშლისა და საბრძოლო მოქმედებათა ადგილებში ჯარების დაჯგუფებების (ფლოტის ძალების), ასევე აეროდრომების, მართვის პუნქტებისა და სხვა მნიშვნელოვანი ობიექტების დაფარვა საჰაერო დარტყმებისაგან.

**დასავლური წარმოების მობილური რადიოლოკაციური სადგური**



### 3.2. პასუხისმგებლობა საჰაერო თავდაცვაზე

ახლო პერსპექტივაში საქართველოს შეიარაღებულ ძალებს მოუწევს მოქმედებები საჰაერო თავდაცვის როგორც აქტიური, ისე პასიური საშუალებების მკვეთრი უკმარისობის პირობებში. ამიტომ შეიარაღებული ძალების ყველა სახეობის საჰაერო თავდაცვის ქვედანაყოფები უნდა მოქმედებდნენ ერთობლივად, ერთიანი მიზნებითა და გეგმით, ერთი მეთაურის ხელმძღვანელობით.

როგორც მშვიდობიან, ისე საომარ პერიოდში, პასუხისმგებლობა საჰაერო თავდაცვაზე ეკისრება საჰაერო ძალების სარდალს, რომელსაც უშუალოდ ან ოპერატიულად ექვემდებარება საჰაერო თავდაცვის ყველა საშუალება. ასეთი დაქვემდებარება უზრუნველყოფს საკუთარი ავიაციის მაქსიმალურ უსაფრთხოებას და მოწინააღმდეგის საფრენი საშუალებების წინააღმდეგ ეფექტიან ბრძოლას.

საჰაერო ძალების სარდალი ვალდებულია სამხედრო ძალების უმაღლესი მთავარსარდლის და გაერთიანებული შტაბის უფროსის მითითებების შესაბამისად შეიმუშაოს სხვა სახეობებთან ერთობლივად ქვეყნის მთელი ტერიტორიის, მნიშვნელოვანი ობიექტების და ჯარების დაჯგუფებების დაცვის, ავიაციის და საჰაერო თავდაცვის საშუალებათა გამოყენების პრინციპები და წესები, მოამზადოს გაერთიანებული შტაბის განკარგულებები საჰაერო თავდაცვის შესახებ.

საჰაერო ძალები პასუხისმგებელია სხვა სახეობებთან ურთიერთქმედებაში დაიცვას ქვეყნის საჰაერო სივრცის სუვერენიტეტი.

**სახმელეთო ჯარები პასუხისმგებელია:**

– საჰაერო თავდაცვის საშტატო ნაწილების მომზადებაზე, აღჭურვასა და უზრუნველყოფაზე;

– შეიარაღებული ძალების სხვა სახეობებთან ურთიერთქმედებაში ჯარების დაჯგუფებების საჰაერო თავდაცვაზე;

– გაერთიანებული შტაბის მითითებების საფუძველზე ქვეყნის მნიშვნელოვანი ობიექტების საჰაერო თავდაცვისათვის საჭირო ძალებისა და საშუალებების გამოყოფაზე.

**საზღვაო ძალები პასუხისმგებელია:**

– საზღვაო და სანაპირო ბაზირების საჰაერო თავდაცვის საშტატო ნაწილების მომზადებაზე, აღჭურვასა და უზრუნველყოფაზე;

– შეიარაღებული ძალების სხვა სახეობებთან ურთიერთქმედებაში საზღვაო და სანაპირო ბაზირების საზენიტო საშუალებების გამოყენებით ფლოტის ძალების საჰაერო თავდაცვაზე;

– გაერთიანებული შტაბის მითითებების საფუძველზე საჰაერო თავდაცვის ინტერესებისათვის საჭირო ძალებისა და საშუალებების გამოყოფაზე.

გაერთიანებულ სარდლობებში პასუხისმგებლობა საჰაერო თავდაცვაზე ეკისრება ერთ პირს, როგორც წესი, საჰაერო ძალების კომპონენტის მეთაურს.

ყველა დონის მეთაურები პასუხს აგებენ საკუთარი შენაერთების, ნაწილების და ქვედანაყოფების საჰაერო თავდაცვაზე საშტატო და კუთვნილი საზენიტო საშუალებების გამოყენებით. მეთაურებმა უნდა გაითვალისწინონ თუ რა ზეგავლენას მოახდენს საჰაერო საფრთხე მათი გეგმებისა და ამოცანების შესრულებაზე.

*ამირან სალუქვაძე*
*სამხედრო-საჰაერო ძალების სარდალი 2003-2005 წწ.*

# კვალიფიციური რჩევები

*„არსენალი“ აგრძელებს რუბრიკას, რომელშიც კვალიფიციურ პასუხს გავცემთ ყველა დაინტერესებულ პირს მათთვის საინტერესო საკითხებზე. კითხვებზე უპასუხებს ასოციაცია „სამართალი და თავისუფლება“, რომელიც უფასო იურიდიულ მომსახურებას სთავაზობს წვევამდელებსა და სამხედრო მოსამსახურეებს. საკონტაქტო ტელეფონი: 95-89-80*

— **სამსახურებრივი მივლინებით წარგზავნილი ვიყავი ქ. ქუთაისში. ვის უნდა მივმართო ჩემ მიერ გაწეული ხარჯების ასანაზღაურებლად?**

– სამსახურებრივი მივლინების დროს გაწეული ხარჯების ასანაზღაურებლად უნდა მიმართოთ შესაბამისი უწყების საფინანსო სამსახურს და წარადგინოთ ხარჯების დამადასტურებელი საბუთები.

— **რა სახის ხარჯების ანაზღაურება ხდება ქვეყნის შიგნით სამსახურებრივი მივლინებისას?**

– სამივლინებო ხარჯები მოიცავს სადღეღამისო, მგზავრობისა და საცხოვრებელი ფართის დაქირავებისთვის გადახდილ თანხებს.

ქვეყნის შიგნით სამსახურებრივი მივლინების სადღეღამისო ხარჯების ნორმაა – დღეში 15 ლარი.

მგზავრობის ხარჯები ანაზღაურდება შესაბამის მარშრუტზე არსებული ღირებულების გათვალისწინებით, ხოლო საცხოვრებელი ფართის დაქირავების ხარჯების ანაზღაურებისთვის სამხედრო მოსამსახურეს ეძლევა თანხა არა უმეტეს საშუალო კლასის სასტუმრო ნომრის ღირებულებისა.

— **შეუნარჩუნდება თუ არა სამხედრო მოსამსახურეს მივლინებაში ყოფნის პერიოდში ხელფასი?**

– სამსახურებრივი მივლინების პერიოდში სამხედრო მოსამსახურეს უნარჩუნდება დაკავებული თანამდებობა და ხელფასი.

— **მივლინებიდან დაბრუნების შემდეგ ამინაზღაურეს მხოლოდ მგზავრობის ხარჯები, ხოლო სხვა ხარჯების ანაზღაურებაზე უარი მითხრეს, იმ მიზეზით, რომ მივლინება ერთდღიანი იყო. რამდენად კანონიერია აღნიშნული ქმედება?**

– 30 კმ-მდე მანძილზე მივლინებისას, თუ შესაძლებელია სამუშაო ადგილზე იმავე დღეს დაბრუნება, სამხედრო მოსამსახურეს აუნაზღაურდება მხოლოდ მგზავრობის ხარჯები.

— **წარგზავნილი ვიყავი სასწავლებლად თურქეთში, ამინაზღაურდება თუ არა საცხოვრებელი ბინის დაქირავების ხარჯები?**

– თურქეთში მივლინებისას საცხოვრებელი ფართის დაქირავების ხარჯების ანაზღაურების ყოველდღიური ნორმაა 75 აშშ დოლარი.

— **სამსახურებრივი მივლინებიდან დაბრუნების შემდეგ უწყება არ ახდენს გაწეული ხარჯების ანაზღაურებას, როგორ უნდა მოვიქცე?**

– სამივლინებო ხარჯების ანაზღაურების შესახებ უწყების უარი შეგიძლიათ გაასაჩივროთ სასამართლოში.

— **5 წელი ვიმსახურე საქართველოს შეიარაღებულ ძალებში. შვებულებაში ყოფნის პერიოდში რეორგანიზაციისა და შტატების შემცირების მიზეზით დამითხოვეს სამსახურიდან. კანონიერია თუ არა ჩემი სამსახურიდან დათხოვნა?**

– სამხედრო მოსამსახურე არ შეიძლება გათავისუფლდეს სამსახურიდან შტატების შემცირების გამო იმ პერიოდში, როდესაც მისი სამსახურებრივი ურთიერთობები შეჩერებულია, მაგალითად, თუ მოსამსახურე იმყოფება ანაზღაურებად შვებულებაში. აღნიშნულიდან გამომდინარე, თქვენი სამსახურიდან დათხოვნა უკანონოა.

— **ვარ სამხედრო მოსამსახურე. მაინტერესებს ანაზღაურებადი დეკრეტული შვებულების ხანგრძლივობა.**

– მოსამსახურეს ეძლევა ანაზღაურებადი დეკრეტული შვებულება 126 კალენდარული დღის ოდენობით. აღნიშნული შვებულება თქვენი შეხედულებისამებრ შეგიძლიათ გადაანაწილოთ მშობიარობამდე და მშობიარობის შემდგომ პერიოდზე.

— **ოჯახური მდგომარეობის გამო ვიმყოფებოდი 10-დღიან შვებულებაში, შემიძლია თუ არა ვისარგებლო მორიგი ყოველწლიური შვებულებით?**

– მოკლევადიანი შვებულება მორიგი შვებულების ანგარიშში არ ითვლება. შეგიძლიათ სრულად ისარგებლოთ მორიგი 30-დღიანი შვებულებით.

— **10 თვეა, რაც ვმუშაობ საქართველოს თავდაცვის სამინისტროში. შემიძლია თუ არა ვისარგებლო 30-დღიანი შვებულებით?**

– სამხედრო მოსამსახურეს შვებულების მოთხოვნის უფლება აქვს მუშაობის დაწყებიდან თერთმეტი თვის შემდეგ. აღნიშნულიდან გამომდინარე, ჯერჯერობით ვერ ისარგებლებთ შვებულებით.

ეროვნული ბიბლიოთეკა

**„არსენალი“ და „საინფორმაციო ცენტრი NATO-ს შესახებ“ თანამშრომლობას იწყებენ. ჩვენს ჟურნალში დაიბეჭდება მასალები ამ ცენტრის საქმიანობის შესახებ, რომლის მთავარი მიზანია საქართველოს მოსახლეობას გააცნოს თუ რეალურად რას წარმოადგენს ჩრდილოატლანტიკური ალიანსი და რატომ მიისწრაფვის საქართველო NATO-ში გასაწევრებლად**



რამდენიმეთვიანი პაუზის შემდეგ „საინფორმაციო ცენტრმა **NATO**-ს შესახებ“ განაახლა მუშაობა, მაგრამ შეიცვალა თითქმის მთლიანი გუნდი და ადმინისტრაციული ცენტრის მაკონტროლებელი ორგანო, ასევე ცენტრის ადგილმდებარეობაც. ეს იმას ნიშნავს, რომ საგარეო საქმეთა სამინისტროს ნაცვლად ცენტრს თავდაცვის სამინისტრო დააფინანსებს. ეს ეტყობოდა პრეზენტაციასაც, რომელსაც მხოლოდ ამ უკანასკნელი უწყების პირველი პირები დაესწრნენ...

# «საინფორმაციო ცენტრი NATO-ს შესახებ»

პრეზენტაცია თბილისში, ნაფარეულის ქუჩაზე მდებარე შენობაში გაიმართა. აქ 4 ივნისიდან, უკვე ოფიციალურად, „საინფორმაციო ცენტრი NATO-ს შესახებ“ მუშაობს. სამოქმედო გეგმა სამგვერდიანია. გეგმის გაცნობისას თვალში მოგხვდებათ სიტყვები: „არასამთავრობო ორგანიზაცია“, „სტუდენტები“ და „საზოგადოება“. მთავრობა ცენტრის ხედვისა და გეგმის ბოლო პუნქტია. ბოლო — არა ცუდი გაგებით, უბრალოდ, ახლა უფრო მეტად საჭიროა, ხალხმა გაიგოს, რით არის ჩრდილოატლანტიკური ალიანსი ასე მიმზიდველი. არასამთავრობო ორგანიზაციები კი, როგორც ჩანს, ცენტრს დამხმარე აუდიტორიად მიაჩნია. სამოქმედო გეგმას



პრეზენტაციას თავდაცვის მინისტრი დავით კეზერაშვილი და მისი მოადგილე ბათუ ქუთელია ესწრებოდნენ




პრეზენტაცია ცენტრის ხელმძღვანელმა ქალბატონმა ჟორჟოლიანმა გახსნა...

პრეზენტაციაზე მიწვეული არასამთავრობო ორგანიზაციები, პოლიტიკური პარტიები, დიპლომატიური კორპუსი და სტუდენტები გაეცნენ. სტუდენტები, რომელთაც მაისურები ეცვათ წარწერით: „მშვიდობა გვინდა? — NATO-ში გვინდა! 26 ქვეყანა ერთისთვის! — ეს NATO-ა“ და ა.შ. ცენტრის ოფისის შესასვლელთან იყვნენ თავმოყრილი. ცენტრთან უკვე 60-მდე სტუდენტი თანამშრომლობს...

სტუდენტები იყვნენ კოჯორშიც, წვეულებაზე, რომელიც თბილისის მერიამ და ცენტრმა ერთობლივად მოაწყვეს. იყვნენ იმიტომ, რომ შემდეგ თანატოლებისთვის



სენაკის ბაზა საამაყოა თითოეული ჩვენგანისთვის. გაუგებარია, რატომ იყო მისი კარი ამდენი ხნის განმავლობაში დახურული.

გაეზიარებინათ თავიანთი აზრი NATO-ს შესახებ. სტუდენტებს, რომლებიც ჯერ-ჯერობით ცენტრთან არ თანამშრომლობენ, დაურიგდათ სპეციალური ბუკლეტები და ფლაერები, რომელთა მეშვეობით ისინი მიიღებენ დეტალურ ინფორმაციას „საინფორმაციო ცენტრ NATO-ს შესახებ" გეგმებზე.

მანამდე კი იყო სენაკის ბაზა. ცენტრმა ბაზაზე ის ჟურნალისტები და არასამთავრობო ორგანიზაციების წარმომადგენლები შეიყვანა, რომლებსაც დიდი ხანია აინტერესებთ, რა შეიცვალა ამ ხნის განმავლობაში ქართულ ჯარში.

„რადიო თავისუფლების" ჟურნალისტმა კობა ლიკლიკაძემ, ჟურნალ „არსენალის" რედაქტორმა ირაკლი ალადაშვილმა და არასამთავრობო ორგანიზაციამ „ახალი თაობა — ახალი ინიციატივა" დაათვალიერეს სენაკის სამხედრო ბაზა. ნანახმა მოლოდინს გადააჭარბა, რადგან სენაკის ბაზა NATO-ს სტანდარტებთან მართლაც ძალზე მიახლოებულია, აქედან გამომდინარე, საამაყო თითოეული ჩვენგანისთვის და გაუგებარია, რატომ იყო მისი კარი ამდენი ხნის განმავლობაში დახურული.

ცენტრი ამგვარ ღონისძიებებს მომავალშიც ჩაატარებს — დაინტერესებულ პირებს შესაძლებლობა ექნებათ ყველა სამხედრო ბაზა დაათვალიერონ. სენაკის ბაზაზე ცენტრის თანამშრომლებმა ჯარისკაცებს NATO-ს შესახებ საინფორმაციო ბუკლეტები დაურიგეს და უპასუხეს მათ კითხვებს.

ამ და სხვა ღონისძიებების შესახებ „საინფორმაციო ცენტრმა NATO-ს შესახებ" უკვე უამბო დიპლომატიურ კორპუსს. ელჩებს, რომელთა ქვეყნებიც უკვე დიდი ხანია ჩრდილოატლანტიკური ალიანსის წევრები არიან, ცენტრის თანამშრომლებმა დეტალურად გააცნეს სამოქმედო გეგმა. იყო უამრავი კითხვა და ინტერესიც, რას გააკეთებს განახლებული ცენტრი, რომელსაც საკმაოდ ამბიციური გეგმები აქვს. ცენტრის თანამშრომლები ყველაფერს გააკეთებენ იმისათვის, რომ საქართველოს მოსახლეობამ გაცილებით უფრო მეტი იცოდეს NATO-ს შესახებ. დიპლომატიური კორპუსი ამ გეგმების შესრულების მოლოდინშია, „საინფორმაციო ცენტრი NATO-ს შესახებ" კი მათი მხარდამჭერის.

ახლა კი ცენტრი თავად არის შედეგის მოლოდინში, რადგან ჟურნალისტებს სთხოვა სტატიის დაწერა საქართველო-ნატოს ურთიერთობის შესახებ. მეოთხე ხელისუფლების ხედვაც და როლიც ამ გზაზე რომ ძალზე მნიშვნელოვანია, სადავო აღარ არის. მედიის წარმომადგენლებს საშუალება აქვთ ჩრდილოატლანტიკური ალიანსის შესახებ აზრი საჯაროდ გამოხატონ. გამარჯვებული ათი სტატია სპეციალურ ბუკლეტებში დაიბეჭდება. აქვე განთავსდება ავტორის ფოტო და დასახელდება ის ორგანიზაციაც, რომელსაც ჟურნალისტი წარმოადგენს. ბუკლეტები შეხვედრებისას უკვე საზოგადოებას დაურიგდება.

ცენტრის კარი ღიაა ყველასთვის. ოფისიც ამ პრინციპით შეირჩა. აქ უნდა შემოვიდეს ყველა, ვისაც კითხვებზე პასუხის მიღება სურს. გარდა იმისა, რომ ოფისი მთლიანად შემინულია (ჩვენ გამჭვირვალობის პრინციპს პირდაპირი გაგებით ვიცავთ), არ იხურება ოფისის კარიც. ველოდებით ყველას, ვისაც აინტერესებს, რა გზა უნდა გაიაროს საქართველომ იმისათვის, რომ ნატოში გაწევრდეს.



შეხვედრა დიპლომატიურ კორპუსთან

ეროვნული ბიბლიოთეკა

შეგახსენებთ, რომ „არსენალის“ ინიციატივით და თავდაცვის სამინისტროს მხარდაჭერით გთავაზობთ ახალ რუბრიკას, რომელშიც საქართველოს თავდაცვის სამინისტრო მისთვის აქტუალურ ინფორმაციას მოგაწვდით.

# აუცილებელია, რეფორმები შეუქცევად ხასიათს ატარებდეს... ამ პროცესს ხალხის მუდმივი მხარდაჭერა სჭირდება...

## ინტერვიუ რუმინეთის ელჩთან NATO-ში სორინ დუკარუსთან

*ინტერვიუ შედგა NATO-ს შტაბბინაში, ბრიუსელში, ჩრდილოატლანტიკური საბჭოს (26+1) სხდომის დამთავრების შემდეგ.*

**— თქვენი შთაბეჭდილება ჩრდილოატლანტიკური საბჭოს სხდომის შესახებ, რომელიც 26+1 ფორმატში გაიმართა?**

– 26+1 ფორმატში გამართული შეხვედრა დადებითად შეფასდა. NATO-საქართველოს ურთიერთობა წარმატებით მიმდინარეობს. რეფორმების ეფექტიანად გატარებას დადებითი შედეგი მოაქვს ქვეყნისათვის. უნდა აღინიშნოს, რომ საქართველოს ამბიციებს გაწევრების საკითხებზე დიდი საჯარო მხარდაჭერა აქვს. ეს განპირობებულია გააზრებული მიდგომითა და ქმედებებით, რომ ქვეყანამ აუცილებლად უნდა შეასრულოს მასზე ნაკისრი ვალდებულებები. NATO-ში გაწევრება ბევრ ფაქტორზეა დამოკიდებული, მაგრამ კარგად გატარებული რეფორმები ყოველთვის დადებითი შედეგის მომტანია ქვეყნისთვის.

**— როგორ მიმდინარეობს ნატო-საქართველოს ურთიერთობა? რა პერსპექტივებსა და წინააღმდეგობებს ხედავთ ნატოსკენ მიმავალ გზაზე?**

— საქართველო ერთ-ერთი საუკეთესო მაგალითია იმ პარტნიორი ქვეყნებიდან, რომელმაც ეფექტიანად გამოიყენა ნატოსთან ურთიერთობის მექანიზმები. განსაკუთრებით უნდა აღინიშნოს ინტენსიური დიალოგის ფორმატი. საქართველო უსაფრთხოების მიმწოდებელი ქვეყანაა. იგი აქტიურად მონაწილეობს NATO-ს ეგიდით ჩატარებულ ოპერაციებში. ყურადღება მინდა გავამახვილო იმ ფაქტზე, რომ საქართველო აპირებს წვლილი შეიტანოს ავღანეთის ოპერაციაში, რაც კიდევ ერთხელ ადასტურებს ქვეყნის პოლიტიკურ მზაობასა და განვითარების დონეს.

რეფორმებისა და ოპერაციებში მონაწილეობის გარდა, ძალზე მნიშვნელოვანია NATO-სა და საქართველოს შორის მიმდინარე წარმატებული პოლიტიკური დიალოგი. მათ შორის განხილვის საგანს ისეთი საკითხები წარმოადგენს, როგორიცაა: პარტნიორ ქვეყნებთან ურთიერთობა, ალიანსის მისიებში მონაწილეობა, რეგიონული თანამშრომლობა.






როგორც შავი ზღვის აუზის ქვეყანა, ჩვენ მხარს ვუჭერთ შავი ზღვის ქვეყნების თანამშრომლობის საკითხს. რუმინეთი ამ თემას მეტად სერიოზულად უყურებს. საქართველო ერთ-ერთი ქვეყანაა, რომელმაც მნიშვნელოვანი წვლილი უნდა შეიტანოს ამ რეგიონის დარეგულირების პროცესში. ყველა ეს ელემენტი დიდ როლს ასრულებს ქვეყნის განვითარების საკითხში. ასევე მეტად პროდუქტიული პერიოდია საქართველოს NATO-ში გაწევრების წინა ეტაპი.

რაც შეეხება წინააღმდეგობებს ნატოსკენ მიმავალ გზაზე, პირველ რიგში, აუცილებელია, მიმდინარე რეფორმები შეუქცევად ხასიათს ატარებდეს. ეს უნდა იყოს მდგრადი პროცესი, რომელსაც ხალხის მუდმივი მხარდაჭერა სჭირდება. ეს, რა თქმა უნდა, გრძელი და რთული პროცესია, მაგრამ აუცილებელია, რომ ნატოში გაწევრებამდე ყველა ქვეყანამ გაიაროს ეს გზა. აღსანიშნავია, რომ ქვეყნის წინააღმდეგობები და პერსპექტივები გეოგრაფიულ ელემენტებთან არის დაკავშირებული, რომელიც ეროვნული ინდივიდუალობიდან მომდინარეობს. ყველა ქვეყანა თავისი ეროვნული დამახასიათებელი ნიშან-თვისებებით გამოირჩევა,

რომელიც ზოგჯერ ეხმარება ქვეყანას და ზოგჯერ კი პირიქით — ხელს უშლის პოლიტიკურ ასპარეზზე. მინდა ხაზი გავუსვა, რომ რუმინეთი საქართველოს თავისი ტერიტორიით, ისტორიით, ტრადიციებითა და კულტურით აღიქვამს როგორც ევროპულ ქვეყანასა და ტრანსატლანტიკური ოჯახის წევრს. საქართველოს NATO-ში გაწევრების გზაზე ერთ-ერთ სირთულეს ის გარემოება წარმოადგენს, რომ NATO-ს ყველა წევრი უნდა დააჯეროთ, რომ თქვენ ევროპას მიეკუთვნებით. მსოფლიოში ევროპისა და ტრანსატლანტიკური სივრცის ახალი ცნებაა. საქართველო თავისი დემოკრატიული განვითარებითა და რეფორმებით დიდ ყურადღებას იქცევს. ერთ-ერთი წინააღმდეგობა და სირთულე მდგრადი და შეუქცევადი რეფორმების გაგრძელება და მეზობლებთან ურთიერთობის დარეგულირებაა. საქართველოს უნდა ჰქონდეს ჩამოყალიბებული, ევროპული კონსტრუქციული მიდგომა, რომელმაც ქვეყნის წარმატებები უნდა წარმოაჩინოს.

**— NATO-ს მომდევნო სამიტი რუმინეთში უნდა გაიმართოს. რა საკითხები შეიძლება იყოს განხილული? თქვენი პროგნოზი მომავალ სამიტთან დაკავშირებით?**

— მოხარულები ვართ, რომ NATO-ს გენერალურმა მდივანმა ოფიციალურად გამოაცხადა ალიანსის მომავალი სამიტის ადგილმდებარეობა. სამიტი რუმინეთში გაიმართება. როგორც მომავალი მასპინძელი ქვეყანა ჩვენ ვაცნობიერებთ იმ დიდ პასუხისმგებლობას, რომელიც რუმინეთმა თავზე უნდა აიღოს. პასუხისმგებლობას თან ერთვის შესაძლებლობებიც, რომელიც ქვეყანამ სასიკეთოდ უნდა გამოიყენოს. სამიტის გამართვა არა მარტო კარგად შესრულებულ ლოგისტიკურ სამუშაოს ითხოვს, არამედ გააზრებულ მიდგომასა და პასუხისმგებლობას. ჩვენ ძალიან სერიოზულად ვუყურებთ მომავალი სამიტის დღის წესრიგის საკითხს. მასპინძელი ქვეყანა მნიშვნელოვან როლს ასრულებს დღის წესრიგის შემუშავების საკითხში. სამიტის ადგილმდებარეობასა და დღის წესრიგს შორის ყოველთვის არსებობს კავშირი. ერთგვარი სიმბოლური დატვირთვაც აქვს, რომელიც დიდ როლს ასრულებს საჯარო აზრის ჩამოყალიბებაში. NATO-ს მომავალ სამიტზე განსახილველი საკითხების მთელი ნუსხაა. მათ შორის მეტად მნიშვნელოვანია ის საკითხები, რომელიც NATO-ს მისიებისა და ოპერაციების ჩატარებასთან არის დაკავშირებული. ალიანსის ტრანსფორმაციის საკითხიც NATO-ს დღის წესრიგში დგას. განხილული იქნება როგორც NATO-ს შიდაურთიერთობები, ასევე თანამშრომლობის ისეთი პროგრამები, როგორიცაა: პარტნიორობა მშვიდობისათვის, ხმელთაშუა ზღვის დიალოგი, სტამბოლის თანამშრომლობა და ასევე ურთიერთობა ისეთ ქვეყნებთან, რომლებსაც თავისი წვლილი შეაქვთ ოპერაციებში. მაგ: იაპონია, ახალი ზელანდია, სამხრეთ კორეა. სამიტზე ასევე განხილული იქნება ბირთვული იარაღის საკითხიც. ყველა ეს კომპონენტი მნიშვნელოვან როლს შეასრულებს ალიანსის მომავალი მუშაობისა და გაფართოების პროცესში. ალიანსი თანამშრომლობს ისეთ ქვეყნებთან, რომლებიც გაწევრების სამოქმედო გეგმისა და ინტენსიური დიალოგის ფორმატში არიან. მაგ: საქართველო, რომელიც მალე გაწევრების სამოქმედო გეგმის ფორმატზე უნდა გადავიდეს. აღნიშნული მექანიზმი NATO-ში გაწევრების წინა პირობას წარმოადგენს. NATO არ ქმნის წინაღობებს. ალიანსი აშენებს თანამშრომლობის ხიდებს, ეს არის ალიანსის გზავნილი. NATO თანამშრომლობს რუსეთსა და უკრაინასთან. ჩვენ გვაქვს ნატო-რუსეთისა და NATO-უკრაინის საბჭოები. ჩვენ გვინდა ნათელი გავხადოთ, რომ ალიანსი არა მარტო ატარებს ოპერაციებს, ებრძვის ტერორიზმს, არამედ ქმნის უფრო სტაბილურ გარემოს და აშენებს ხიდებს მეზობლებს შორის.

**— ბოლო პერიოდში საქართველომ საიმედო პარტნიორის სახელი დაიმკვიდრა საერთაშორისო საზოგადოებაში. თქვენი შეფასება ამასთან დაკავშირებით?**

— საქართველო უსაფრთხოების მიმწოდებელ ქვეყნად ჩამოყალიბდა, რომელიც მნიშვნელოვან როლს ასრულებს სტაბილურობის შექმნის პროცესში. საქართველოს სამხედრო კონტინგენტი მონაწილეობს ოპერაციებში. ეს კონტინგენტი მეტად საიმედოა, რაც ნიშნავს იმას, რომ საქართველო საიმედო პარტნიორს წარმოადგენს. როდესაც ქვეყანას ჩამოყალიბებული, კონსტრუქციული მიდგომა აქვს თავისი მეზობლების მიმართ და ცდილობს მშვიდობიანი გზით გადაწყვიტოს პრობლემები, ეს ნიშნავს, რომ ქვეყანა საიმედო პარტნიორია. ეს არის გზა, რომლითაც საქართველომ უნდა იაროს. თქვენ უნდა გააგრძელოთ იმ დადებითი და კონსტრუქციული სამუშაოს შესრულება, რომელსაც ეწევით როგორც ქვეყნის შიგნით, ასევე ალიანსთან თანამშრომლობაში.




WWW.MOD.GOV.GE

## ახალქალაქის სამხედრო ბაზა საქართველოს გადმოეცა

ახალქალაქის 62-ე სამხედრო ბაზა ოფიციალურად საქართველოს კუთვნილებაა. სამხედრო ბაზის გადმოცემის მიღება-ჩაბარების აქტს ხელი საქართველოს თავდაცვის მინისტრის პირველმა მოადგილემ და ამიერკავკასიაში რუსეთის ფედერაციის ჯარების დაჯგუფების სარდალმა მოაწერეს.

ახალქალაქის რუსული სამხედრო ბაზის დაცლის პროცესი 2006 წელს დაიწყო. მას შემდეგ ბაზის ტერიტორიას რუსული სამხედრო ტექნიკა, მატერიალურ-ტექნიკური საშუალებები და პირადი შემადგენლობა პერმანენტულად ტოვებდა.

ახალქალაქის №1 სამხედრო ქალაქის, შემდგომში 62-ე სამხედრო ბაზის მშენებლობას საფუძველი 1910 წელს ჩაეყარა. საქართველოს გასაბჭოებიდან



კი სამხედრო ბაზამ მნიშვნელოვანი ცვლილება განიცადა. 128,24 ჰექტარ მიწის ნაკვეთზე ეტაპობრივად, 196 შენობა-ნაგებობა აიგო, მათ შორის: შვიდი შტაბი, ამდენივე ყაზარმა, სამი სასადილო, ერთი ოფიცერთა სახლი, ჰოსპიტალი, 2 სკოლა, მათ შორის ერთი მუსიკალური, ერთი საბავშვო ბაღი, ორი მუსიკალური კლუბი და სხვა ტექნიკური დანიშნულების შენობა-ნაგებობები.

ქართულ-რუსული შეთანხმების მიხედვით საქართველოს ტერიტორიიდან რუსული სამხედრო ბაზების გაყვანის პროცესი სრულად 2008 წლის ბოლომდე დასრულდება.

# „გაიგზავნოს თვითმფრინავები მთიელთა დასახმარებლად“

## — ანუ რატომ ჩავიდა დაღესტანში ქართული საექსპედიციო რაზმი



„საქართველო დაგვეხმარება! მთიელი ხალხების იმედიანი მზერა საქართველოსკენაა მიპყრობილი, ქართველები არ გაგვწირავენ"... – 1919 წლის დასაწყისში ასეთი სათაურებით ხშირად ქვეყნდებოდა სტატიები ქართულ და რუსულ პრესაში, განსაკუთრებით კი თბილისში გამომავალ გაზეთ „ვოლნი გორეცში", რომელიც მთიელთა რესპუბლიკის ემიგრანტული მთავრობისა და პარლამენტის ოფიციალურ ბეჭდვით ორგანოს წარმოადგენდა. სულ რაღაც ორი თვის შემდეგ საქართველოდან დაღესტნისაკენ ქართული საექსპედიციო რაზმი გაიგზავნა, რომელსაც პოლკოვნიკი ლეო კერესელიძე მეთაურობდა. რა ხდებოდა ჩრდილოეთ კავკასიაში, საქართველოს საზღვრებთან? რატომ გახდა აუცილებელი ქართული სამხედრო ქვედანაყოფის გადასროლა უცხოეთში? და საერთოდ, ისედაც რთული საშინაო თუ საგარეო სამხედრო-პოლიტიკური ვითარების ფონზე, რამდენად გამართლებული იყო საზღვარგარეთ საარმიო ქვედანაყოფის გაგზავნა?

### კავკასიური ძმობა დენიკინელთა წინააღმდეგ

როგორც ცნობილია, რუსეთის იმპერიაში ბოლშევიკური სახელმწიფო გადატრიალების შემდეგ, კავკასიის რეგიონის ხალხებმა, იქ არსებულმა პოლიტიკურმა ძალებმა და ადგილობრივმა საზოგადოებამ ბოლშევიზმი არ მიიღეს და შესაბამისად, საბჭოთა რუსეთისაგან დამოუკიდებლად საკუთარი სახელმწიფოებრიობის ჩამოყალიბებას შეუდგნენ. ასე შეიქმნა 1918 წლის 11 მაისს ჯერ ჩრდილოეთ კავკასიის მთიელთა კავშირის რესპუბლიკა, მოგვიანებით კი საქართველოს, სომხეთისა და აზერბაიჯანის დემოკრატიული რესპუბლიკები. ვერ ვიტყვით, რომ მათ შორის ყველაფერი უპრობლემოდ წყდებოდა, განსაკუთრებით სასაზღვრო-ტერიტორიული საკითხები, მაგრამ ის კი ნათელია, რომ საქართველოს, აზერბაიჯანსა და მთიელთა რესპუბლიკას ერთმანეთთან შედარებით კეთილმეზობლური დამოკიდებულება ჰქონდათ, ვიდრე სომხეთს მათთან. ალბათ, ამაში გარკვეული როლი შეასრულა საგარეო-პოლიტიკურმა ორიენტაციამაც – თბილისმა, ბაქომ და თემირ-ხან-შურამ (მთიელთა დედაქალაქი) ხომ თავდაპირველად პროგერმანულ-პროთურქული კურსი აირჩიეს.

1918 წლის მეორე ნახევარში ყოფილი რუსეთის იმპერიის სამხრეთში თანდათან ძლიერდება მოხალისეთა არმია (თეთრი გვარდია) გენერლების: ანტონ დენიკინის, მიხაილ ალექსეევისა და ანდრეი ლუკომსკის ხელმძღვანელობით. არ გაუვლია სამ-ოთხ თვეს, რომ თეთრგვარდიელებმა მოახერხეს რეგიონში სოკოებივით მომრავლებული მიკროსაბჭოთა რესპუბლიკების დამხობა, განსაკუთრებით დონზე და ყუბანში. ასეთი ვითარება თითქოს მომგებიანი უნდა ყოფილიყო ქართველებისათვის, აზერბაიჯანელებისა და მთიელებისათვის, რომ არა ერთი მაგრამ: დენიკინის მოხალისეთა არმიის ლოზუნგი იყო „ერთიანი და განუყოფელი რუსეთი“, შესაბამისად – მონარქიის აღდგენა. აი, ეს კი სრულიად მიუღებელი აღმოჩნდა როგორც ქართველი მენშევიკური, ასევე აზერბაიჯანელი მუსავატური და მთიელთა ნაციონალისტურ-სოციალისტურ-ისლამისტური ხელისუფლებისთვისაც.

1919 წლის გაზაფხულზე დაპყრობის საფრთხე დაემუქრა ჩრდილოეთ კავკასიის დასავლეთ ნაწილსაც – ჩეჩნეთს, ინგუშეთსა და დაღესტანს, რომლებზეც მთიელთა რესპუბლიკის იურისდიქცია ვრცელდებოდა. იმავე ხანებში თემირ-ხან-შურიდან თბილისში ჩამოვიდა პარლამენტის რამდენიმე წევრი, რომლებმაც მთიელთა მთავრობის სახელით თხოვნით მიმართეს საქართველოს მთავრობის თავმჯდომარე ნოე ჟორდანიას: „... დაუყოვნებლივ შედგეს საქართველოს სპეციალური საექსპედიციო რაზმი მთიელი ძმების დასახმარებლად დენიკინის წინააღმდეგ; ნება მოგვეცეს საქართველოს ტერიტორიაზე შევადგინოთ პარტიზანული რაზმები მათი ჩრდილოეთ კავკასიაში გადასაყვანად; საქართველოს მთავრობას უმორჩილესად

ვთხოვთ გადმოგვცეს იარაღი, არტილერია, ჭურვები და სამხედრო ტანსაცმელი პარტიზანული რაზმებისათვის; ნება მოგვეცეს, რათა დავაარსოთ ფონდი ჩრდილოეთ კავკასიის თავისუფლებისა და დამოუკიდებლობისათვის, ამ მიზნით საქართველოს ტერიტორიაზე მივიღოთ შემოწირულებები, გავმართოთ კონცერტები, ჩავატაროთ ლექციები და სხვა ზომები მივიღოთ“.

საქართველოს ხელისუფლებამ მთიელთა თხოვნა დააკმაყოფილა, რადგან მათთვის დახმარების გაწევა ოფიციალური თბილისის ინტერესებშიც შედიოდა. მით უმეტეს, რომ დიდი დრო არ გასულა, რაც მოხალისეთა არმიამ სოჭის ოლქი დაიპყრო და შესაბამისად, ქართველი ხალხისათვის ანტიდენიკინურ სამხედრო-პოლიტიკურ აქციაში მონაწილეობა ერთგვარად ადეკვატური ზომების მიღებასაც ნიშნავდა. შედეგმაც არ დააყოვნა: დაკმაყოფილდა მთიელთა რესპუბლიკის დიპლომატიური წარმომადგენლის თხოვნა სამხედრო-ტექნიკური დახმარების თაობაზე. შესაბამისად, 1919 წლის მარტში, საქართველოს მთავრობის დადგენილების საფუძველზე, ჩრდილოეთ კავკასიაში გაიგზავნა ორი თვითმფრინავი, ორი საბარგო და ორიც მსუბუქი ავტომანქანა. გარდა ამისა, მთიელთა წარმომადგენელს მნიშვნელოვანი ფასდაკლებით გადაეცა იმ დროისათვის საკმაოდ მძლავრი, სავსებით ახალი საბაზისო სამხედრო რადიოსადგური ანძითურთ. ასეთი რადიოსადგურები საკმაოდ ბევრი ინახებოდა რუსეთის ჯარების ყოფილი კავკასიის ფრონტის საწყობში, რომელიც თბილისში იყო განთავსებული. მოგვიანებით, დაღესტანში კვლავ გაიგზავნა 80 ტყვიამფრქვევი, ორი მილიონი ვაზნა და საველე ტელეფონის აპარატები. თუ იმდროინდელ ფასებს მივიღებთ მხედველობაში, ზემოაღნიშნული საბრძოლო, სამხედრო-სატრანსპორტო და კავშირგაბმულობის საშუალებები მთიელებს, ფაქტობრივად, უანგაროდ გადაეცათ. ცხადია, ჩრდილოკავკასიელებს ერთმორწმუნე აზერბაიჯანის მთავრობაც ეხმარებოდა.

1919 წლის მაისის ბოლოს მთიელთა მთავრობამ და პარლამენტმა, რესპუბლიკის ტერიტორიის მოხალისეთა არმიის მიერ დაპყრობის გამო, მოქმედება შეწყვიტა. მათი წევრების ნაწილმა საქართველოში ემიგრირება გადაწყვიტა და თბილისში ჩამოვიდა, რათა აქედან მოეხდინათ ანტიდენიკინური აჯანყების ორგანიზება. შესაბამისად, კიდევ უფრო გაფართოვდა საქართველოს დახმარება. ამ მხრივ ასევე საყურადღებოა 23 ივნისს გამართული საქართველოს დროებითი სამხედრო საბჭოს სხდომა, რომელზეც დაადგინეს, იარაღითა და ცხენებით დახმარებოდნენ ინგუშეთის ტერიტორიაზე მოქმედ პარტიზანულ რაზმს... გარდა ამისა, ივლისის ბოლოს, თბილისში დაარსებულ ჩრდილოეთ კავკასიის მთიელთა კომიტეტში შექმნილ სამხედრო განყოფილებაში სამუშაოდ მივლინებულ იქნენ საქართველოს სახალხო გვარდიისა და სამხედრო სამინისტროს შტაბის ინსტრუქტორები. როგორც არქივში შემონახული ცნობით ირკვევა, მთიელთა კომიტეტში ქართველი ინსტრუქტორების ჯგუფს გენერალი ჯაფარიძე ხელმძღვანელობდა.

აქ უნდა აღვნიშნოთ კიდევ ერთი მნიშვნელოვანი მიზეზი საქართველოს აქტიურობისა მოხალისეთა არმიის წინააღმდეგ. კერძოდ, გენერალმა ანტონ დენიკინმა დაიკავა ქალაქები ვლადიკავკაზი, ალაგირი და მთლიანად თერგის ოლქი, სადაც მრავალი ქართველი ცხოვრობდა. სამწუხაროდ, დიდმა ნაწილმა სამშობლოში ევაკუირება ვერ მოასწრო. თუ გავითვალისწინებთ იმას, რომ მოხალისეთა არმიის სარდლობას საქართველო გულზე არ ეხატებოდა, ადვილი წარმოსადგენია, რა დღეში ჩავარდებოდა იქაური ქართველობა...

ახლა კი მოვიდა დრო ვისაუბროთ მთავარზე — დაღესტანში ქართული საექსპედიციო რაზმის გაგზავნის მიზეზებსა და მის მიერ ჩატარებული სამხედრო ოპერაციებზე.




## ქართული ლეგიონის მეთაურობიდან ჩრდილოეთ კავკასიის ჯარების მთავარსარდლამდე

1919 წლის აგვისტოში თბილისში მოქმედ მთიელთა რესპუბლიკის ემიგრანტული მეჯლისის (პარლამენტის) დაბეჯითებული თხოვნით საქართველოში ჩამოყალიბდა სპეციალური სამხედრო-საექსპედიციო ქვედანაყოფი, რომლის მეთაურად პოლკოვნიკი ლეო კერესელიძე დაინიშნა. იგი სამხედრო საქმის პროფესიონალი იყო. საკმარისია ითქვას, რომ ლეო კერესელიძის ხელმძღვანელობით, ჯერ კიდევ პირველი მსოფლიო ომის დროს, 1914-15 წლებში კავკასიაში ანტირუსული აჯანყების მოსაწყობად, გერმანიის დახმარებით, თურქეთის ტერიტორიაზე (ჭანეთში) ყალიბდებოდა ქართველი სამხედრო ტყვეებისაგან და მოხალისეებისაგან შედგენილი ლეგიონი, რომელიც რუსეთის ჯარების კავკასიის ფრონტის ზურგში უნდა გადმოსროლილიყო. მართალია, ლეგიონის გამოყენება პოლიტიკური ვითარების შეცვლის გამო, საჭირო აღარ შეიქნა, მაგრამ პოლკოვნიკმა სამხედრო სფეროში დიდი გამოცდილება შეიძინა. როგორც მისი თანამედროვენი იხსენებენ, „ლეო კერესელიძე, ჩოხა-ახალუხში გამოწყობილი, არწივივით მომზირალი თვალებით, მუდამ შემართული და დაუდგრომელი პიროვნება იყო“.

1919 წლის 13 აგვისტოს, საქართველოს სამხედრო მინისტრის ბრძანებით, საექსპედიციო რაზმისათვის, რომელიც მაინცდამაინც მრავალრიცხოვნობით არ გამოირჩეოდა, პირველ ეტაპზე გამოიყო ორმოცდაათი შაშხანა, ორი ტყვიამფრქვევი, ცხენები, ორთვალები და სხვა ამუნიცია, აგრეთვე საკვები პროდუქტები. ეს ყველაფერი ბაქოსაკენ მიმავალ ეშელონის ვაგონებში ჩაიტვირთა, რათა იქ უკვე აზერბაიჯანის მთავრობასაც ეზრუნა მასზე. თავის მხრივ, მუსავატებმა ივალდებულეს სამი მილიონი მანეთის გამოყოფა ამ სამხედრო ქვედანაყოფის საჭიროებისათვის. მართალია, დაფინანსების საკითხის გადაჭრა ოდნავ გაჭიანურდა, მაგრამ იმავდროულად მიმდინარეობდა

ეროვნული ბიბლიოთეკა

პირადი შემადგენლობის გაზრდა, რაზმი კორპუსად გარდაიქმნა — მასში ჩაერთვნენ თურქები და აზერბაიჯანელი ინსტრუქტორებიც. უკვე სექტემბრის ბოლოს საექსპედიციო კორპუსი დერბენდის გავლით დაღესტანში ჩავიდა.

რა ჰქონდა მიზნად საექსპედიციო კორპუსს? უპირველესად, როგორც დასახელება მიგვანიშნებს, ეს იყო სამხედრო მოქმედებათა რაიონში სიტუაციის შესწავლა, მისი ანალიზი, მთიელების დახმარება სამხედრო ოპერაციების დაგეგმვა-ჩატარებაში, ჯარისკაცთა წრთვნის საკითხებში და ა. შ. უკიდურეს შემთხვევაში, თუ ვითარება მოითხოვდა, კორპუსს შეეძლო ბრძოლაში მონაწილეობა, ისიც მხოლოდ საკუთარი უსაფრთხოების დაცვის მიზნით. აქვე შევნიშნავთ, რომ ამ სპეცქვედანაყოფში რამდენიმე ქართველი საშტაბო მაღალჩინოსანი ოფიცერიც ირიცხებოდა, მაგალითად, თუხარელი, ჭავჭავაძე... მასში იყვნენ აგრეთვე რუსეთის ყოფილი კავკასიის ფრონტზე ნამსახურები ჩრდილოკავკასიელი სამხედრო მოსამსახურეებიც.

დაღესტანში ჩასვლისთანავე ლეო კერესელიძემ, რომელსაც მთიელთა რესპუბლიკის მთავრობის გადაწყვეტილებით გენერლის წოდება მიენიჭა და ჩრდილოეთ კავკასიისა და დაღესტნის ჯარების მთავარსარდლად დაინიშნა, ადგილობრივ მოსახლეობას მიმართა:

„ჩრდილოეთ კავკასიისა და დაღესტნის ხალხებს! თქვენი წარმომადგენლების თხოვნით მე დავთანხმდი მათ წინადადებას დავინიშნო ჩრდილოეთ კავკასიისა და დაღესტნის ჯარების უმაღლეს მთავარსარდლად. მოვუწოდებ მთელ მოსახლეობას საძულველი დენიკინის რეჟიმის წინააღმდეგ აჯანყებისათვის... მან ბრძოლა უკვე წააგო და ახლა უკანასკნელ ძალებს იყენებს კავკასიის შესანარჩუნებლად, რათა აქ სურსათი და ცოცხალი ძალა შეივსოს... კავკასიელებო, ჩვენ მამაცი ხალხი ვართ, ჩვენს წინაპრებს არ ეშინოდათ მტრისა და განა ახლა დავფრთხებით უკვე დამარცხებული და მომაკვდავი დენიკინის ჯარის წინაშე? ამ ბრძოლაში მეც თქვენთან ერთად ვარ, არ მივცეთ მტერს ჩვენი მიწა, არ დავემონოთ, არ ჩავუგდოთ ხელში ჩვენი წინაპრების საფლავები... სიმართლე ჩვენს მხარესაა და ღვთის ნებით გავიმარჯვებთ!

გაუმარჯოს მთიელთა კავშირის თავისუფალ რესპუბლიკას! გაუმარჯოს თავისუფალ კავკასიას!“

თავდაპირველად, გენერალ ლეო კერესელიძის კორპუსის ინსტრუქტორები აჯანყებულ მთიელებს დიდ დახმარებას უწევდნენ, თუმცა პირადი შემადგენლობის შემცირების კვალობაზე (თურქები და აზერბაიჯანელები ბაქოში დაბრუნდნენ), ამ დახმარების შედეგი ნაკლებეფექტიანი ჩანდა. გარდა ამისა, როგორც ჩრდილოკავკასიელი ლიდერების მოხსენებები მოწმობს, გაზშირდა კრიტიკული დამოკიდებულება ქართველი ინსტრუქტორებისადმი. მაგალითად, დაღესტანში აჯანყებულთა მიერ შექმნილი ისლამური სახელმწიფოებრივი წარმონაქმნის — „ჩრდილოეთ კავკასიის ემირატის“ დიდვეზირი (პრემიერ-მინისტრი — ს.კ.) მაჰომედ კიანულ-ხან არსანუკაევ-დიშნინსკი 1919 წლის 8 დეკემბერს საქართველოს რესპუბლიკის მინისტრთა საბჭოს თავმჯდომარისთვის დროებითი დედაქალაქ ვედენოდან (ამჟამად ჩეჩნეთის ტერიტორიაზეა — ს.კ.) გაგზავნილ წერილში წერს: „ჩვენთან დასახმარებლად გამოგზავნილმა გენერალმა ლეო კერესელიძემ და მისმა თანმხლებმა ოფიცრებმა უკვე დატოვეს ჩრდილოეთ კავკასიის ემირატის ტერიტორია, რაც ძალზე სამწუხაროად მიგვაჩნია. მას ამის ნებართვა არც ემირისგან და არც ჩემგან არ ჰქონია, ამიტომ მოსახლეობა ძალზე უნდობლად მოეკიდა მის გადაწყვეტილებას. უფრო მეტიც — ჩვენ უპატივცემულობად აღვიქვით საექსპედიციო რაზმის წასვლა... ისე გამოდის, რომ გენერალი კერესელიძე აქ საქართველოს მთავრობამ კი არ გამოგზავნა, არამედ მოხალისედ წამოვიდა რომელიღაც კომიტეტისა თუ თბილისში არსებული მთიელთა მეჯლისის თხოვნით... (დიდვეზირი არ ცნობდა თბილისში თავშეფარებულ მთიელთა ემიგრანტულ მთავრობას. — ს.კ.). გარდა ამისა, სანამ საქართველოში დაბრუნდებოდა, მე გენერალ კერესელიძეს შევხვდი და კატეგორიულად განვუცხადე, რომ მისმა უნებართვოდ უკან დახევამ ჩეჩენ-აულთან (სოფელი ქალაქ გროზნოსთან ახლოს — ს.კ.) გამართული ბრძოლის დროს ჩვენს მებრძოლებში ერთგვარი პანიკა გამოიწვია... უეჭველია, ეს მომენტი ჩვენს სამომავლო ურთიერთობებში შესაბამისად აისახება. მე მათ სრული უსაფრთხოება აღვუთქვი, ვუთხარი, რომ არ დაეჯერებინათ რაღაც ხმებისათვის, თითქოსდა მათი დაპატიმრება და დენიკინისთვის გადაცემა გვქონდა განზრახული. საუბრის დროს კერესელიძემ აღმითქვა, რომ იგი პირველი არმიის ფრონტზე გაემგზავრებოდა, ხოლო თუხარელი და ჭავჭავაძე — მე-5 არმიის წინა ხაზზე, მაგრამ ნაცვლად იმისა, რომ ჩვენი მხედრები გაემხნევებინათ, ისინი პირდაპირ საქართველოში წამოვიდნენ. ჩრდილოეთ კავკასიის ემირატისა და საქართველოს რესპუბლიკის საზღვარზე გადასვლისას მათ შეხვდა ადგილობრივი მოსახლეობა, მოლების ჩათვლით, სთხოვეს, უკან დაბრუნებულიყვნენ, რათა ხალხში პანიკა არ დაწყებულიყო, მაგრამ ამაოდ. რაზმის მხრიდან ეს მოქმედება სიმხდალის გამოვლენას ჰგავს.

მესმის, რომ არაა გამორიცხული, ხმები მათი შესაძლო დაპატიმრების შესახებ მართალიც ყოფილიყო, მაგრამ განა სადმე გაგონილა, რომ ჩვენთან, ჩრდილოეთ კავკასიაში, საერთაშორისო სამართლის ნორმებიც რომ არ არსებობდეს, სტუმრის დაპატიმრების ნებას ვინმეს მივცემდით? მრავლისმეტყველია ის ფაქტიც, რომ საქართველოს ტახტის მაძიებელი ალექსანდრე ბატონიშვილი სწორედ ჩეჩნეთში იმალებოდა“...

როგორც ვხედავთ, დიდვეზირი აღშფოთებულია ქართველი გენერლის გადაწყვეტილებით საქართველოში დაბრუნების თაობაზე, მაგრამ მოდი, განვსაჯოთ, რატომ მოიქცა ასე კერესელიძე. პირველ რიგში, ალბათ, უმთავრესი მიზეზი ის იყო, რომ აჯანყების შედეგად გათავისუფლებულ ტერიტორიაზე ჩრდილოეთ კავკასიაში ხელისუფლება შეიცვალა და შედარებით დემოკრატიული მთიელთა რესპუბლიკის ნაცვლად ისლამური სახელმწიფოებრივი წარმონაქმნი ჩამოყალიბდა, რომლის ხელმძღვანელი (იმამი, უზენაესი ამირა) შეიხი უზუნ-ჰაჯი ჰაირხანი გახდა. უზუნ-ჰაჯის მთავრობა, როგორც თვითონ დიდვეზირი აღნიშნავს, თბილისში ემიგრირებულ მთიელთა ლიდერებს არ ცნობდა; მეორე მიზეზად, ვფიქრობთ, უნდა ჩაითვალოს რაზმის უსაფრთხოების დაცვის დონის გაუარესება — ისინი სულ უფრო ხშირად მონაწილეობდნენ გააფთრებულ ბრძოლებში (მაგალითად, ბოთლიხთან დაწყებული შეტევისას), ეს კი მათ ფუნქციებში არ შედიოდა; მესამე მიზეზი — ქართველი გენერლის თანამდებობის ერთგვარი გაუფერულება თუ გაუბრალოება (არსანუკაევ-დიშნინსკი არა მარტო დიდვეზირი, არამედ იმავდროულად ჩრდილოეთ კავკასიის ჯარების მთავარსარდალიც გახდა და ფელდმარშლის სამხედრო წოდებას ატარებდა, (ყოველ შემთხვევაში, ასე აქვს მითითებული მას თავისი ტიტული ნოე ჟორდანიასთვის გაგზავნილ წერილში); არანაკლებ მნიშვნელოვანი იყო კიდევ ერთი მომენტიც — რაზმის

ოფიცრებისა და ჯარისკაცების მატერიალური და ჯანმრთელობის მდგომარეობის გაუარესება, რაც უცხო მხარეში ხანგრძლივმა ყოფნამ და მძიმე საველე პირობებმა განაპირობა. სწორედ ამიტომ იყო, რომ ლეო კერესელიძე 1920 წლის თებერვლის დასაწყისში ნოე ჟორდანიასთვის გაგზავნილ მოხსენებაში ითხოვს რაზმის პირადი შემადგენლობისათვის თანხის გადახდას, ოფიცრებისა და ჯარისკაცების ავადმყოფობისა და მძიმე მატერიალური მდგომარეობის გამო.

### „ყველა მთიელი საქართველოს დამცველთა რიგებში!"

ქართული საექსპედიციო რაზმის სამშობლოში დაბრუნება არ ნიშნავდა იმას, რომ საქართველო ჩრდილოკავკასიელ მთიელებს დახმარებას უწყვეტდა. რეგიონში სამხედრო-პოლიტიკური ვითარების შეცვლის კვალობაზე (დაღესტანსა და ჩეჩნეთ-ინგუშეთში, მოხალისეთა არმიის დამარცხების შემდეგ, წითელი არმია შევიდა, უზუნ-ჰაჯი ბრძოლებში მოკლეს, დიდვეზირი კი დააპატიმრეს და დახვრიტეს), თბილისმა სამხედრო საჭურვლის მიწოდება გააორმაგა. ეს ხდებოდა დასავლეთევროპული სამხედრო მისიების, უმთავრესად კი თბილისში მყოფი ფრანგული სამხედრო წარმომადგენლობის ხელშეწყობითა და დაფინანსებით. ჩრდილოეთ კავკასიაში კვლავ იფეთქა აჯანყებამ, ამჯერად უკვე ბოლშევიკების წინააღმდეგ, ნაჯმუტდინ გოცინსკის ხელმძღვანელობით. რუსული საბჭოთა საარქივო წყაროების ცნობით, „საქართველოს მენშევიკურმა მთავრობამ ლაგოდეხში შექმნა მთიელთა დამხმარე შტაბი, რომელიც ეწეოდა აგენტების შეგზავნას, იარაღის მიწოდებას, ანტისაბჭოთა პროკლამაციების გავრცელებას, აგიტაციას მოსახლეობაში და ასე შემდეგ. ქართველებმა 600 ცხენოსანი მთიელი შეიარაღეს და გოცინსკის გაუგზავნეს... გარდა ამისა, თუ საჭირო გახდებოდა, თბილისი სამხედრო ნაწილებით დახმარებაზეც არ ამბობდა უარს. „აჯანყების მსვლელობის უშუალოდ გაცნობის მიზნით 1920 წლის ოქტომბერში აულ გიდატლში ნაჯმუტდინ გოცინსკისთან ჩავიდა საქართველოს მთავრობის წარმომადგენელი ჯაბრაშვილი, რომელიც ამბოხებულებს ქმედითი დახმარების გაწევას დაჰპირდა", — ნათქვამია რუსეთის შეიარაღებული ძალების (ყოფილი საბჭოთა არმიის) ცენტრალური სახელმწიფო არქივის ფონდებში დაცულ ერთ-ერთ დოკუმენტში. იმავე დოკუმენტის თანახმად, 1920 წლის ნოემბერში საქართველოდან დაღესტანში გაიგზავნა 2400 შაშხანა, ოთხი ტყვიამფრქვევი და ასეულათასობით ვაზნა. რა თქმა უნდა, ყოველივე ეს საიდუმლოდ, ფარულად კეთდებოდა, მაგრამ საქართველოში ლეგალურად მოქმედი კომუნისტები არ თვლემდნენ — სხვადასხვა გზით მათ ხელში შესაბამისი ცნობები ხვდებოდა და ისინი რუსეთის საელჩოს მეშვეობით მოსკოვში იგზავნებოდა. თბილისის ასეთი მოქმედება კრემლის აღშფოთებას იწვევდა, იგზავნებოდა საპროტესტო ნოტები...

თავის მხრივ, ჩრდილოკავკასიელმა მთიელებმა, როცა საქართველოს საბჭოთა რუსეთი თავს დაესხა, 1921 წლის 17 თებერვალს თბილისში ჩამოაყალიბეს „აზერბაიჯან-ჩრდილოეთ კავკასიის კომიტეტი" ჰეიდარ ბამატის თავმჯდომარეობით, რომელმაც მიმართა საქართველოში მყოფ მთიელებს ჩამდგარიყვნენ მოძმე ქართველების დამცველთა რიგებში. ცნობილია, რომ მათ აქტიური მონაწილეობა მიიღეს თბილისის დაცვის ბრძოლებში, მაგრამ, სამწუხაროდ, კომიტეტის ძალისხმევამ ნაყოფი ვერ გამოიღო — წითელმა არმიამ საქართველოს ოკუპირება მოახდინა.

*სიმონ კილაძე*


- მომსახურების მაღალი ხარისხი
- ჟურნალ-გაზეთების ფართო არჩევანი
- ყველაზე დაბალი ფასები

გამოიწერეთ!

და ეს ყველაფერი სახლიდან გაუსვლელად!

| გამოცემის დასახელება | 1 ეგზ ფასი | 6 თვე |
|---|---|---|
| 1. არსენალი | 1,50 | 9,00 |
| 2 Вог мужской GQ | 12,00 | 72,00 |
| 3 Конный Мир | 12,00 | 72,00 |
| 4 Мастер Ружье | 8,00 | 48,00 |
| 5 Охота и охотничье хозяйс | 5,00 | 30,00 |
| 6 XXЛ | 10,00 | 60,00 |
| 7 Forbes | 9,00 | 54,00 |

აგრეთვე ნებისმიერი სხვა დასახელების ჟურნალ-გაზეთები

პრესის გავრცელების სააგენტო შ.პ.ს. „ელვასერვისი"

ქ. თბილისი
იოსებიძის ქ. № 49
ტელ: 42-43-40;
38-26-73; 38-26-74.
ფაქსი: 38-26-74
E-mail: elva@kvirispalitra.com



2003 წელს ერაყში სამხედრო მოქმედებები, ძირითადად, ქვეყნის დასავლეთ და სამხრეთ-დასავლეთ ნაწილებში მიმდინარეობდა, სადაც იორდანიიდან და ქუვეითიდან ანგლოამერიკული კოალიციის ჯარები უტევდნენ. მსოფლიოს ყურადღება მიპყრობილი იყო ბასრის, ქერბალისა და ფალუჯისთვის გაცხარებული ბრძოლებისაკენ. ამიტომ ჩრდილოეთის ფრონტის გახსნა თითქმის შეუმჩნეველი გახლდათ. 26 მარტს, დილაადრიან, შეერთებული შტატების არმიის 173-ე საჰაერო-სადესანტო ბრიგადის 1000 ჯარისკაცმა ხუთსაათიანი ფრენის შემდეგ მოახდინა მეორე მსოფლიო ომის შემდეგ ყველაზე მასობრივი დესანტირება მტრის ზურგში.

# ციური ჯარისკაცები

## გამოუვალი მდგომარეობა

საჰაერო-სადესანტო ჯარების ისტორიის მანძილზე ყველაზე მასობრივი გადასხმა პარაშუტების მეშვეობით, როცა ოპერაციაში ერთდროულად რამდენიმე ქვედანაყოფი მონაწილეობდა, არცთუ ისე ბევრია და მეორე მსოფლიო ომის დროს ხდებოდა. გავიხსენოთ კუნძულ კრეტის დასაპყრობად გადასხმული გერმანელი პარაშუტისტების დესანტი; წითელი არმიის დესანტი 1942 წელს ვიაზმასა და 1943 წელს ჩერკასკის რაიონში; ასევე, ინგლის-ამერიკული ძალების დესანტირება ნორმანდიასა და ჰოლანდიაში 1944 წელს. შედარებით შედეგიანი მხოლოდ პირველი გამოდგა, რადგან მიუხედავად დიდი დანაკარგისა, ოპერაციამ მიზანს მიაღწია — დესანტმა პლაცდარმი დაიკავა და შეინარჩუნა. დანარჩენ შემთხვევაში მედესანტეებმა აიძულეს მოწინააღმდეგე მსხვილი ძალები გადმოესროლათ მათთან საბრძოლველად და მნიშვნელოვანი ზიანი მიეყენებინათ მათთვის.

ასე რომ, საჰაერო დესანტის გამოყენება იმ დროს გამოწვეული იყო მძაფრი ოპერატიული აუცილებლობით, რადგან სხვა გამოსავალი სარდლობას არ ჰქონდა.

ჩვენს დროში კი, როცა შვეულმფრენები და დესანტის საჰაერო გადასროლის სხვა ხერხები გაჩნდა, შეიცვალა შეიარაღებული დაპირისპირების ხასიათი და მეთოდები, თითქოს მოიხსნა დიდი ქვედანაყოფების პარაშუტებით დესანტირების საჭიროება. ეს აზრი ნაწილობრივ დაადასტურა გრენადაში, პანამასა და 1991 წელს ერაყში ჩატარებულმა სამხედრო ოპერაციებმა, სადაც დესანტის გადასხმის საჰაერო-საიერიშო მეთოდი იქნა გამოყენებული. ამ მეთოდის გამოყენებისას აღარ იხარჯება დრო მედესანტეების შეკრებასა და გადაჯგუფებაზე — ქვედანაყოფები უმალ ერთვებიან ბრძოლაში, თუმცა გამონაკლისი ყოველთვის არსებობს.

## ჩრდილოეთის ფრონტი

ასეთი გაბედული და რთული ოპერაციის ჩატარებისაკენ ამერიკელებს სამმა ფაქტორმა უბიძგა. პირველი: თურქეთმა უარი განაცხადა საკუთარ ტერიტორიაზე გაეტარებინა ამერიკელი სამხედროები. ოპერაციის „თავისუფლება ერაყს“ დაწყებამდე ამერიკის გაერთიანებული ცენტრალური სარდლობის შტაბს განზრახული ჰქონდა დაჯგუფება „ჩრდილოეთის“ შექმნა, რომლის ძირითადი შემადგენელი ნაწილი იქნებოდნენ სახმელეთო ჯარების ოპერატიული შენაერთები, მეოთხე სახმელეთო ჯარების დივიზიისა და მე-5 საარმიო კორპუსის შემადგენლობით, რომელშიც სულ 30 ათასი კაცი იქნებოდა. 30-ზე მეტი ხალხითა და ტექნიკით დატვირთული გემი დაახლოებით ერთი თვის განმავლობაში ელოდა თურქეთის ხმელთაშუა ზღვის პორტ ისკანდერუნსა და მერსინში გარე რეიდზე გზის გახსნას, მაგრამ თურქეთმა პარტნიორი (ნატოდან) თავის ტერიტორიაზე არ გაატარა;

მეორე: პენტაგონის სამხედრო ანალიტიკოსთა უმრავლესობა და მაღალჩინოსანი სამხედროები არცთუ უსაფუძვლოდ ფიქრობდნენ, რომ ჩრდილოეთის ფრონტის გახსნა არ იყო აუცილებელი, რადგან კო-

ალიციას ჰყავდა დიდი რაოდენობის შენაერთები და სამხედრო ტექნიკა დარტყმის მთავარ მიმართულებაზე (ქუვეითის მხრიდან), დაახლოებით ასი ათასი ჯარისკაცი და სამი ათასზე მეტი ერთეული სახმელეთო და საჰაერო ტექნიკური საშუალება, გარდა ამისა, მოკავშირეები სრულად აკონტროლებდნენ საჰაერო სივრცეს. ყოველივე ამის გამო ელვისებურ ბლიცკრიგში ეჭვი არავის ეპარებოდა, მაგრამ პირველი ორი დღის ბრძოლებმა საფუძვლიანად შეცვალა სპეციალისტთა „წინასწარმეტყველებანი". მიუხედავად კოალიციის ჯარების ტექნიკური და რაოდენობრივი უპირატესობისა, 20 მარტს დაწყებული შეტევა ლამის ჩაიფუშა. ერაყის არმიამ მედგარი წინააღმდეგობა გაუწია მოკავშირეთა ჯარებს საზღვრისპირა ქალაქებში, ბასრასა და უმქასრში, რითაც ჩაშალა ამერიკელების ქვეყნის სიღრმეში, კერძოდ, ქალაქ ელ-ომარისკენ გადაადგილების გეგმა. 22 მარტისთვის ამერიკელებს გეგმაში კორექტივის შეტანამ მოუწია — საზღვაო დესანტის რამდენიმე შენაერთი გადააჯგუფეს და სხვა მიმართულებით გადაისროლეს. თავგამოდებულ ქალაქებთან საქმის გარკვევა კი ბრიტანელებს დააკისრეს, რომლებმაც ალყა შემოარტყეს მათ და ბლოკირებული ჰყავდათ ომის მთავარი ფაზის დამთავრებამდე;

მესამე: ეს გახლდათ ქვეყნის ნაწილის დაკარგვის შესაძლებლობა. ქურთმა აჯანყებულებმა საომარი მოქმედებები ამერიკელების შეტევებისთანავე დაიწყეს. მათ ერაყის სამხრეთ მდებარე ყველა ქურთული დასახლებისა და ქალაქის დაპყრობა შეეძლოთ, რის შემდეგაც თავისუფლად გამოიყენებდნენ იქ არსებულ ნავთობის საბადოებს დამოუკიდებელი სახელმწიფოს შესაქმნელად, შემდეგ კი თურქეთის სამხრეთში მცხოვრებ თანამოძმეებს დაეხმარებოდნენ. თურქებმა კარგად იცოდნენ, რა შეიძლებოდა მოჰყოლოდა მოვლენათა ასეთ განვითარებას და ერაყში 40 ათასი ჯარისკაცის შეყვანას გეგმავდნენ. ამ რეგიონის ხელში ჩაგდებით თურქები საბოლოოდ აღმოფხვრიდნენ მტკივნეულ ქურთულ ნაციონალურ საკითხს, თანაც, ნავთობის საბადოებს დაეპატრონებოდნენ, მაგრამ თურქთა გაპარპაშება ამერიკელთა გეგმაში არ შედიოდა.



ყველაზე მასობრივი გადასხმა პარაშუტების მეშვეობით, როცა ოპერაციაში ერთდროულად რამდენიმე ქვედანაყოფი მონაწილეობდა, არცთუ ისე ბევრია და მეორე მსოფლიო ომის დროს ხდებოდა...

დესანტის გამოყენება იყო ერთადერთი სწორი გადაწყვეტილება და რადგან 101-ე და 82-ე საჰაერო-სადესანტო დივიზიები უკვე ბრძოლაში იყვნენ ჩაბმულნი, არჩევანი რეზერვში მყოფ „ციურ ჯარისკაცებზე" შეჩერდა.

## ბრიგადა ომისთვის

„ციური ჯარისკაცები" — ასე ჰქვია 173-ე საჰაერო-სადესანტო ბრიგადას, რომელიც იტალიის პატარა ქალაქ ვიჩენცაშია დისლოცირებული. დიდხანს თადარიგში ყოფნის შემდეგ, 2000 წელს 173-ე საჰაერო-სადესანტო ბრიგადა კვლავ აღდგა.

ეს შენაერთი ყოველთვის საგანგებოდ ემზადებოდა ომისთვის. ბრიგადის ისტორია 1917 წელს დაიწყო, როცა 173-ე ქვეითთა ბრიგადის პირველი ქვედანაყოფები გამოჩნდნენ საფრანგეთ-გერმანიის ფრონტზე. ორი წლის შემდეგ, ისე, რომ ერთი ტყვიაც არ გაუსვრიათ, ჯარისკაცები უკან გაიწვიეს და ბრიგადა გააუქმეს. 1942 წელს სახელწოდება და დანიშნულება შეუცვალეს — ქვედანაყოფი ისევ აღადგინეს მე-3 არმიის 87-ე სადაზვერვო ბატალიონის სახელით, რომელსაც გენერალი ჯორჯ პატონი მეთაურობდა. ქვედანაყოფმა ევროპულ ფრონტებზე ბრძოლებში გამოიჩინა თავი. ომის შემდგომ, 1963 წლამდე, ქვედანაყოფი ისევ რეზერვში დატოვეს. ამავე წლის 26 მარტს კვლავ შეუცვალეს სახელი (ძველი დაუბრუნეს). ცოტა ხნის შემდეგ 173-ე საჰაერო სადესანტო ბრიგადა იაპონიაში განლაგდა. 1965 წელს მისი მედესანტეები ერთ-ერთი პირველები გაიგზავნენ ვიეტნამში. ექვსი წლის განუწყვეტელი ომის დროს მისი ჯარისკაცები მონაწილეობდნენ 14 მსხვილ ოპერაციაში და მთელი ომის განმავლობაში პარაშუტებით მხოლოდ ერთადერთი დესანტირება მოახდინეს. ბრიგადის ჯარისკაცები, ძირითადად, სამძებრო სამუშაოებს ასრულებდნენ — ეძებდნენ მოწინააღმდეგის საბაზო ბანაკებს, ასრულებდნენ სადაზვერვო დავალებებს „ოქროს სამკუთხედის" რეგიონში. იმ პერიოდში ბრიგადამ პირადი შემადგენლობიდან დაკარგა დაახლოებით ორი ათასი



ეროვნული ბიბლიოთეკა

ჯარისკაცი, ცხრა ათასი მებრძოლი კი დაიჭრა. 1971 წელს ბრიგადა სამშობლოში დააბრუნეს და ხელახლა გააუქმეს.

და, აი 2003 წლის გაზაფხულზე აღდგენილ ბრიგადას კვლავ მიეცა თავის გამოჩენის შესაძლებლობა.

## ოპერაცია „ჩრდილოეთის ბარიერი“

ერაყში გასამგზავრებლად მომზადების ბრძანება ბრიგადამ 23 მარტს მიიღო, დილით კი ავიაბაზა ავიანოზე მედესანტეები გასამგზავრებლად მზად იყვნენ, ჩატვირთული იყო ტექნიკა და პარაშუტებიც. 25 მარტის შუადღისთვის ყველაფერი მზად იყო დავალების შესასრულებლად. ზოგიერთი სახელმწიფო მოხელე, არახელსაყრელი მეტეოროლოგიური პირობების გამო, ოპერაციის რამდენიმე დღით გვიან დაწყებას უჭერდა მხარს, მაგრამ ოპერაცია მაინც დათქმულ დროზე დაიწყო.

ოპერაციის დაწყების წინ დესანტის პირადი შემადგენლობა ინსტრუქტაჟისთვის შეკრიბეს. აქვე გააცნეს მათ იმ საომარი ოპერაციის მიზანი, რომლის პირობითი სახელწოდება „ჩრდილოეთის ბარიერი“ იყო. მედესანტეები მტრის ტერიტორიაზე ქალაქ ირბიდიდან ჩრდილოეთით, 45-ე კილომეტრზე უნდა დაშვებულიყვნენ პარაშუტებით, დაეკავებინათ აეროდრომი ბაშური, გამაგრებულიყვნენ და უზრუნველეყოთ პირველი ქვეითთა დივიზიის ჯავშანსატანკო ტექნიკის გადმოყვანა. აგრეთვე, არ უნდა დაეშვათ შესაძლო ინტერვენცია თურქეთის მხრიდან და უზრუნველეყოთ რეგიონში არსებული ნავთობის საბადოების უსაფრთხოება.

შემოწმდა აღჭურვილობა, გაიცა იარაღის გატენის ბრძანება. თითოეულ მედესანტეს დაურიგეს ადგილმდებარეობის რუკა, მონაცემები ქურთი მოსახლეობისა და მათი ენის შესახებ. დაარიგეს მშრალი საკვები.

ბოლოს ჯარისკაცებსა და ოფიცრებს სიტყვით მიმართეს ამერიკის შეერთებული შტატების არმიის სამხრეთევროპული ტაქტიკური დაჯგუფების სარდალმა, გენერალ-მაიორმა თომას ტერნერმა და ბრიგადის მეთაურმა, პოლკოვნიკმა უილიამ მეიველმა. ამ უკანასკნელს ეკუთვნის სიტყვები, რომლებიც ბრიგადის „კლასიკად“ იქცა: „თითოეული ჩემი მედესანტე 10-15 ჩვეულებრივ მებრძოლს უდრის“.

ბოლოს კი თხუთმეტი დატვირთული სატრანსპორტო თვითმფრინავი C-17 ერთმანეთის მიყოლებით აფრინდა ჰაერში. წინ მათ ხუთსაათიანი ფრენა ელოდათ.

## ღამის საფარველქვეშ

ომის დაწყებისას ერაყის ჩრდილოეთში მოქმედებდა აშშ-ის სახმელეთო ჯარების ორი საგანგებო დანიშნულების ბატალიონი და მისი უდიდებულესობა ბრიტანეთის დედოფლის ერთ ასეულზე ნაკლები. ისინი ასრულებდნენ სადაზვერვო დავალებებს და მოკავშირეების ავიაციასა და არტილერიას ერაყის არმიის მნიშვნელოვანი ობიექტებისა და ინფრასტრუქტურის ზუსტ კოორდინატებს გადასცემდნენ. გარდა ამისა, მზად იყვნენ დახმარებოდნენ დესანტს, თუკი მას მოწინააღმდეგის დიდი ძალები შეუტევდნენ. გადმოსხმამდე ოცი წუთით ადრე თვითმფრინავებმა დაშვება დაიწყეს. ნაკვეთურებში ჩვეულებრივი განათება წითელი შუქით შეიცვალა. მედესანტეები ორ მთას შუა მდებარე დაბლობზე გადასხდნენ, პარაშუტისტებს გადმოსახტომად მხოლოდ ერთი წუთი ჰქონდათ, სანამ თვითმფრინავები კვლავ მაღლა აიწევდნენ.

მიწაზე დაშვებულმა მედესანტეებმა ღამით ხედვის მოწყობილობები ჩართეს. ყველაფერი თითქოს ნორმალურად მიდიოდა. მედესანტეების ნაწილი შეკრების პუნქტისკენ გაემართა, ნაწილს კი არ გაუმართლა – დესანტის გადმოსხმამდე ორი დღით ადრე რეგიონში კოკისპირულად წვიმდა, რის გამოც მიწა ატალახებული იყო. ზოგიერთი პარაშუტისტი პირდაპირ ჭაობში დაეშვა, ზოგმაც დათქმულ დროზე გადმოხტომა ვერ მოასწრო, მთაგორიან ადგილზე დაეშვა და მსუბუქად დაშავდა. ჯარისკაცებს ტექნიკის (ჯიპების) ტალახიდან და ჭაობებიდან ამოთრევა მოუხდათ.

შუადღისთვის მედესანტეებმა, ისე, რომ ერთი ტყვიაც არ გაუსვრიათ, ხელში ჩაიგდეს აეროდრომი და მისი მიმდებარე სიმაღლეები. ძალების ნაწილი  გადასროლილ იქნა ქალაქ ირბიდის გზაზე თავდაცვითი პოზიციების დასაკავებლად. დაზვერვის მონაცემებით, ამერიკელებს ამ რეგიონში უპირისპირდებოდა 10 ცალკეული ბატალიონი, მაგრამ დესანტის გადმოსხმის საპასუხოდ ერაყელებმა მოულოდნელად დატოვეს ირბიდი და უკან დაიხიეს, რითაც ქურთმა აჯანყებულებმა მაშინვე ისარგებლეს. ქურთები ამერიკელების გამოჩენას მართალია აღფრთოვანებით არ შეხვედრიან, მაგრამ არც სროლა აუტეხიათ.

მეორე დღეს დესანტმა დაამყარა კავშირი რაიონში მოქმედ სპეცრაზმელებთან და დასახა ურთიერთშეთანხმებული მოქმედებების გეგმა. თვითმფრინავებმა ჩამოიტანეს არტილერია, 105-მილიმეტრიანი ქვემეხების ბატარეამ კი ბრიგადის  პოზიციები მნიშვნელოვნად გააძლიერა. ჩრდილოეთის ფრონტი  გაიხსნა.

## ეპილოგი

საინტერესოა, რომ ყოველი ჩამოფრენილი თვითმფრინავის დაცლას მედესანტეები მხოლოდ 8 წუთს ანდომებდნენ. იმის გამო, რომ ერაყელები საწინააღმდეგო მოქმედებებს არ მიმართავდნენ, ამერიკელი მედესანტეები დაუბრკოლებლად გამაგრდნენ სასურველ პლაცდარმზე, დამკვიდრდნენ და ძალის მოკრება დაიწყეს. 5 აპრილისთვის სახმელეთო ძალების კოალიციური დაჯგუფება „ჩრდილოეთი“ უკვე 4000 კაცს ითვლიდა. შეიარაღებულნი იყვნენ 8 ტანკით, ოცამდე ჯავშანტრანსპორტიორით, 20 ქვემეხითა და ნაღმსატყორცნით, ოცზე მეტი შვეულმფრენით. მალე მოქმედების დროც დადგა.

ავიაციის მხარდაჭერით ბრიგადის ტაქტიკურმა ჯგუფმა რამდენიმე დარტყმა მიაყენა უკან დახეულ ერაყელ სამხედრო შენაერთებს და თავის კონტროლს დაუქვემდებარა ქვეყნის ჩრდილოეთში მდებარე ნავთობით მდიდარი რეგიონი. 2003 წლის 10 აპრილს აიღეს ქალაქი ქირქუქი, 12 აპრილს კი ქალაქი მოსული. დამამთავრებელ ეტაპზე 14 აპრილს ისინი ქალაქ თიქრითისათვის ბრძოლაშიც მონაწილეობდნენ, რასაც მოგვიანებით გიამბობთ...





# МиГ-29 კვლავ რჩება მსოფლიოში ერთ-ერთ საუკეთესო მსუბუქ გამანადგურებელ თვითმფრინავად

# "მიგი", რომელიც სამეგრელოდან მოიპარეს...

**ერთ დროს სამეგრელოში საუკეთესო ჯიშის ცხენებს იპარავდნენ, 1989 წლის 20 მაისის ღამეს კი მაშინდელი ცხაკაიის (დღევანდელი სენაკი) სამხედრო აეროდრომიდან 18-ტონიანი რეაქტიული გამანადგურებელი გაიტაცეს...**

იმ ღამეს 176-ე გამანადგურებელი ავიაციის პოლკის (ეს პოლკი 34-ე საჰაერო არმიის შემადგენლობაში შედიოდა. არმიის შტაბი თბილისში იყო განთავსებული) პირველი კლასის პილოტი, კაპიტანი ზუევი მორიგე პილოტებს მოწამლული ტორტით გაუმასპინძლდა, სატელეფონო კაბელები გადაჭრა, ყარაულში მდგარი ჯარისკაცი პისტოლეტის გასროლით დაჭრა და МиГ-29 ათ წუთში ტრაბზონის აეროდრომზე დასვა.

ცხაკაიიდან გატაცებული МиГ-29 თურქებმა საბჭოთა კავშირს მეორე დღესვე დაუბრუნეს, კაპიტანი ზუევი კი ვერ გახდა მეორე ბელენკო (უფროსმა ლეიტენანტმა ბელენკომ 1976 წლის 6 სექტემბერს შორეული აღმოსავლეთის ერთ-ერთი აეროდრომიდან გატაცებული იმ დროისათვის ზესაიდუმლო გამანადგურებელ-გზაგადამჭრელი МиГ-25П იაპონიაში, კუნძულ ჰოკაიდოზე დასვა), რადგან МиГ-29 საზღვარგარეთისთვის ახალი არ იყო.

1986 წლის ივლისში გასაიდუმლოებული ექვსი МиГ-29 გორბაჩოვის ბრძანებით ფინეთში გადაფრინდა და იქ სადემონსტრაციო ფრენები ჩაატარა, რითაც შოკში ჩააგდო აშშ-ის ცენტრალური სადაზვერვო სამმართველო და ეროვნული უსაფრთხოების სააგენტო.

ამერიკელი მზვერავები ხომ ძალ-ღონეს არ იშურებდნენ, რომ რამენაირად მოეპოვებინათ ახალი საბჭოთა გამანადგურებლების ფოტოები. ამერიკულმა სადაზვერვო თანამგზავრმა 1977 წელს მოსკოვთან ახლოს აეროდრომზე ორი ახალი გამანადგურებელი გადაიღო, რომელთა სახელწოდებებისა და შესაძლებლობების გაშიფვრას ამერიკელი ექსპერტები ცხრა წლის განმავლობაში ამაოდ ცდილობდნენ.

ფინეთში დებიუტის შემდეგ МиГ-29 მთელი მსოფლიოსთვის გახდა ცნობილი, მაგრამ არა საბჭოთა მოქალაქეებისთვის. გაზეთმა „Красная Звезда"-მ МиГ-29-ების პირველი ოფიციალური ფოტო ფინეთში მათი ჩვენებიდან მხოლოდ ერთი წლის შემდეგ გამოაქვეყნა (სტატიის ავტორს კარგად ახსოვს გაზეთის ის ნომერი და ახალი საბჭოთა გამანადგურებლების ფოტოც, სადაც სხვათა შორის, არ იყო მითითებული თვითმფრინავების სახელწოდება).

1988 წლის სექტემბერში დასავლეთი საბჭოთა МиГ-29-ებს სრულფასოვნად გაეცნო დიდ ბრიტანეთში, ფარნბორის ავიასალონზე, სადაც პირველად აჩვენეს საჰაერო მანევრი „კოლოკოლი". ეს МиГ-29-ის საფირმო ფიგურაა — თვითმფრინავი მკეთრად იღებს სიმაღლეს, რამდენიმე წამით ჩერდება ჰაერში და უკან კუდით ეშვება, სწორდება და ჰორიზონტალურ ფრენას აგრძელებს.

ასე რომ, კაპიტანმა ზუევმა ნამდვილად დააგვიანა სამეგრელოდან МиГ-29-ის გატაცება.



ეროვნული ბიბლიოთეკა



აზერბაიჯანის მიერ უკრაინაში წელს ნაყიდი МиГ-29УБ



ამერიკელებს ერაყულ МиГ-29-ბთან ბრძოლა კი არა, მათი ქვიშიდან ამოთხრა გაუჭირდათ...

ცხაკაიის საავიაციო პოლკი ერთ-ერთ პირველი იყო მთელ საბჭოთა კავშირში, როდესაც 1985 წელს იქ უახლესი МиГ-29-ები გამოჩნდნენ. პოლკის შეიარაღებაში 35 ერთეული ამ ტიპის გამანადგურებელი იყო.

პოლკმა საქართველოს ტერიტორია 1992 წელს დატოვა, თუმცა არსებობდა ძალიან დიდი შანსი МиГ-29-ები დაგვეტოვებინა. როგორც ამბობენ, 1991 წლის ბოლოს პოლკის მეთაური გამსახურდიას მთავრობასთან დაკავშირებას ცდილობდა და თანახმა იყო, მფრინავების დიდ ნაწილთან ერთად საქართველოში დარჩენილიყო. მაშინ ქართველი ქართველს არ ინდობდა და МиГ-29-ებისთვის ვისღა ეცალა, ამიტომაც პოლკი მთლიანად რუსეთში გაიყვანეს. არადა რით ვიყავით უკრაინელებზე თუ თურქმენებზე ნაკლები, რომ აღარაფერი ვთქვათ მოლდაველებზე, რომლებმაც ათობით და ასობით МиГ-29 დაიტოვეს...

დღეს საქართველოს არც ერთი გამანადგურებელი თვითმფრინავი არ ჰყავს.

**ჩვენი დოსიე:** МиГ-29-ს ყველაზე გავრცელებული მოდიფიკაციის „9-13"-ის ტაქტიკურ-ტექნიკური მონაცემებია: ფრთების გაშლილობა 11,3 მ, თვითმფრინავის სიგრძე 17,3 მ, სიმაღლე 4,7 მ, ფრთების ფართობი — 38 კვადრატული მეტრი; ცარიელი თვითმფრინავი 11,2 ტონას იწონის, ნორმალური ასაფრენი მასა 15,6 ტონას უტოლდება, მაქსიმალური ასაფრენი მასა კი 18,4 ტონას აღწევს. გამანადგურებლის შიდაავზებში 4540 ლიტრი საავიაციო ნავთი ეტევა, ჩამოსაკიდებელ ავზში კი 1500 ლიტრი. გამანადგურებელს РД-33 ტიპის ორი ტურბორეაქტიული ძრავა აქვს. თითოეულის გაწევის ფორსირებული ძალა 8,3 ტონას აღწევს, მაქსიმალური კი 5 ტონას შეადგენს. თვითმფრინავი მაღალ სიმაღლეზე მაქსიმალურ 2450 კმ/სთ სიჩქარეს ავითარებს, მიწასთან ახლოს 1500 კმ/სთ სიჩქარეს აჩვენებს. დაბალ სიმაღლეზე ფრენის სიშორე არც ისე დიდია — 710 კმ, დიდ სიმაღლეზე ფრენისას კი МиГ-29 1430 კმ-ს ფარავს. გამანადგურებლის მაქსიმალური ფრენა 18 კმ-ს უტოლდება. მისი კონსტრუქცია 9 g გადატვირთვას უძლებს, თუმცა ასეთ გადატვირთვას ყველა მფრინავი ვერ აიტანს.

МиГ-29 შეიარაღებულია ერთლულიანი 30 მმ-იანი ГШ-301 ტიპის ქვემეხით (საბრძოლო კომპლექტში 150 ჭურვია).

საბრძოლო დატვირთვა 2000 კგ-ს შეადგენს და ის ექვს პილონზე იკიდება. მათ შორის შეიძლება იყოს ახლო რადიუსის მოქმედების ექვსი Р-73 ან Р-60М ტიპის რაკეტა, ორი საშუალო სიშორის „ჰაერი-ჰაერი" კლასის მართვადი რაკეტა Р-27Р, აგრეთვე 250 ან 500 კგ-იანი საავიაციო ბომბები, ერთჯერადი კონტეინერები, უმართავი რაკეტების სასროლი უნივერსალური ბლოკები და სხვა.

გამოშვებულია МиГ-29-ის რამდენიმე მოდიფიკაცია, მათ შორის МиГ-29К (ავიამზიდზე ბაზირებისთვის), МиГ-29КУ, МиГ-29С, МиГ-29М МиГ-29СМТ და ა.შ.



მოდერნიზებული МиГ-29М2 ჟუკოვსკში მკვეთრი ვირაჟის გაკეთებას აფრენისთანავე იწყებს



2005 წელს უზბეკეთი გვთავაზობდა 5 МиГ-29-ს, თითოს 3.2 მლნ დოლარად და ერთ ორადგილიან МиГ-29УБ-ს 3.7 მლნ დოლარად...







სერბების მიერ ფანერისგან გაკეთებულ МиГ-29-ის იმიტაციას ამერიკელებმა არაერთი ძვირადღირებული რაკეტა დაახარჯეს

ჩვენმა მეზობელმა აზერბაიჯანმა კი წელს 12 საბრძოლო და ორი სასწავლო-საბრძოლო МиГ-29 იყიდა უკრაინაში, თანაც მოდერნიზებული. სომხეთში არანაკლებ 17 ცალი МиГ-29 ჰყავთ, მართალია, ყველა რუსეთის სამხედრო-საჰაერო ძალების განკარგულებაშია, მაგრამ ძირითადად სომხეთის სამხედრო-პოლიტიკურ ინტერესებს ემსახურება სამხრეთ კავკასიაში.

ერთადერთი საქართველოღაა დარჩენილი, რომელსაც თავისი საჰაერო სივრცის დასაცავად გამანადგურებელი ავიაცია არ გააჩნია.

ირაკლი ალადაშვილი



# МиГ-29

ეროვნული ბიბლიოთეკა

# „შავი კატები“



## ტერორისტთა წინააღმდეგ

იმ ქვეყნებს შორის, რომლებიც სხვებზე მეტად დაზარალდნენ ტერორისგან, ყველაზე ხშირად ამერიკის შეერთებულ შტატებს, ისრაელს, რუსეთის ფედერაციას, იშვიათად ესპანეთსა და დიდ ბრიტანეთსაც მოიხსენიებენ. ინდოეთი კი რატომღაც არ ახსენდებათ. ამ ქვეყანაში აგერ უკვე 50 წელიწადია ისეთი მასშტაბის ტერაქტები ხდება, რომლებიც დუბროვკისა და ბესლანის ტერორისტულ თავდასხმებს არაფრით ჩამოუვარდება.

მიუხედავად იმისა, რომ ინდოეთის არმია (ნაწილობრივ მისი საგანგებო დანიშნულების ქვედანაყოფები) ერთ-ერთი ყველაზე საუკეთესოდ მომზადებული და გაწვრთნილია არა მარტო რეგიონში, არამედ მსოფლიოშიც, ტერორიზმის წინაშე მაინც უძლურია. ქვეყნის ხელისუფლებას თითქმის 40 წელი დასჭირდა იმის მისახვედრად, რომ ტერორს ქვეითთა ქვედანაყოფებით კი არა, საგანგებოდ მომზადებული დაჯგუფებებით უნდა ებრძოლო.

შესაძლოა, ინდოეთს ჯერაც არ ჰყოლოდა ანტიტერორისტული სპეცრაზმები, რომ არა 1984 წელს პენჯაბის შტატში მოწყობილი ტერაქტი. ამ წელს სინქხმა ტერორისტებმა თავიანთი სიწმინდე, – ამრისტერის „ოქროს ტაძარი“ დაიკავეს. ტერორისტთა რაოდენობა 2000 კაცს აჭარბებდა. რამდენიმე დღის განმავლობაში მათ ტაძრის კომპლექსი და მისი მისადგომები შეუვალ ციხესიმაგრედ აქციეს, გათხარეს ხვრელები და გვირაბები, სანგრებში მოაწყვეს მეტყვიამფრქვევეთა და სნაიპერთა საცეცხლე წერტილები. ხანგრძლივი უშედეგო მოლაპარაკების შემდეგ ინდოეთის ხელისუფლებამ ტაძრის იერიშით აღების ბრძანება გასცა. ასე დაიწყო მსოფლიოში ყველაზე მასშტაბური ანტიტერორისტული ოპერაცია „ცისფერი ვარსკვლავი“. ოპერაციაში შედარებით მომზადებული ქვეითთა ნაწილები და კომანდოსები მონაწილეობდნენ. ორდღიანი განუწყვეტელი იერიშის შედეგად დაიღუპა 80 ჯარისკაცი, მათგან 17 სპეცრაზმელი იყო. გაანადგურეს 500 ტერორისტი. ნაწილი ტყვედ ჩავარდა, ნაწილმა კი გვირაბის გავლით ტყეს შეაფარა თავი. ოფიცრები, რომელთა მხრებზეც გადაიარა იერიშის სიმძიმემ, უკმაყოფილონი იყვნენ ოპერაციის ხელმძღვანელობით. უპირველეს ყოვლისა იმის გამო, რომ საარმიო შენაერთების საქმე არ იყო ანტიტერორისტულ ოპერაციებში მონაწილეობა. მიუხედავად იმისა, რომ ჯარისკაცებმა მაღალი საბრძოლო სულისკვეთება და მაღალი დონის მომზადება გამოავლინეს, ისინი დასახლებულ ადგილებში საბრძოლველად მაინც არ იყვნენ მზად. არმიის სპეცრაზმელებს ხომ მთაგორიან ადგილებში, ტყეებსა თუ უდაბნოში საბრძოლველად ამზადებენ, მათ კი ჩაკეტილ სივრცეში მოუწიათ მოქმედება.



ეროვნული ბიბლიოთეკა

ექსპერტებმა გაანალიზეს ოპერაცია და შესაბამისი დასკვნაც გამოიტანეს. ერთი წლის შემდეგ ხელისუფლებამ ეროვნული უშიშროების კანონი დაამტკიცა, რის შემდეგაც გაიცა ბრძანება სეპარატიზმსა და ტერორიზმთან მებრძოლი საგანგებო ჯგუფების შექმნის თაობაზე. 1985 წელს ჩამოყალიბდა საგანგებო ქვედანაყოფი National Security Guard (NSG), არაოფიციალური სახელწოდებით „შავი კატები", რომელიც ქვედანაყოფს იმის გამო ეწოდა, რომ მის ჯარისკაცებს შავი სამხედრო ფორმა ეცვათ. დღეს ინდოეთში სწორედ ამ არაოფიციალური სახელით მოიხსენიებენ NSG-ს მებრძოლებს.

თავიდანვე NSG-ში შეარჩიეს და ჩარიცხეს არმიის, პოლიციისა და სასაზღვრო ჯარების გამოცდილი და მამაცი ოფიცრები, რომელთაც სპეცრაზმის ხერხემლის როლი დაეკისრათ. ახალი შენაერთები წვრთნას გასაიდუმლოებულ ვითარებაში გადიოდნენ, ამიტომ დღემდე უცნობია, ვინ გაწვრთნა ინდოელი მებრძოლები. იმ დროისათვის ამერიკელ და ისრაელელ სპეციალისტებთან, რომლებმაც 90-იან წლებში ინდოელი ჯარისკაცების მომზადებაში დიდი წვლილი შეიტანეს, ინდოეთს მჭიდრო კონტაქტი არ ჰქონდა, ხოლო გერმანელები იშვიათად უზიარებენ გამოცდილებას უცხოელებს. გამოდის, ინდოელებს დახმარების ხელი ინგლისელებმა გაუწოდეს, კერძოდ, SAS-ის მოქმედმა ან ვეტერანმა წევრებმა. ერთ წელიწადზე ნაკლები იყო გასული NSG-ს შექმნიდან, როცა ქვედანაყოფმა პირველი დავალება მიიღო. საქმე ისევ და ისევ „ოქროს ტაძარს" შეეხებოდა. დავალება სპეცრაზმმა მხოლოდ ნაწილობრივ შეასრულა.

1988 წელი ინდოეთში საგანგებო დანიშნულების რაზმების ყველაზე ინტენსიურად გამოყენების წლად აღინიშნა. იმ წელიწადს სინქხებმა არმისტარში კვლავ ჩაიგდეს ხელში „ოქროს ტაძარი", მაგრამ ამჯერად კარგად დაგეგმილი, ორგანიზებული და ზუსტად ჩატარებული ოპერაციის შედეგად „შავმა კატებმა" ისე გაწმინდეს ტაძრის ტერიტორია, რომ ერთი ჯარისკაციც არ დაუკარგავთ. როგორც იერიშის ერთ-ერთმა მონაწილემ კაპიტანმა ნ.ნ.-მა ოპერაციის შემდეგ განაცხადა, ინდოელებს გამოცდილება ერთ-ერთი ევროპული ქვეყნის სპეცრაზმელებმა გაუზიარეს. ამ ოპერაციაში პირველად გამოიყენეს სნაიპერთა ჯგუფები,რომლებზეც დღესაც დიდ იმედს ამყარებენ.

90-იან წლებში NSG კვლავ სინქხი ტერორისტების წინააღმდეგ იბრძოდა და მძევლების გამოსახსნელ არაერთ ანტიტერორისტულ ოპერაციაში მონაწილეობდა. ოცდამეერთე საუკუნეში ტერორიზმთან ბრძოლა კვლავ გაგრძელდა. ანტიტერორისტული ოპერაციები ჩატარდა პენჯაბში, ქაშმირსა და დელიში.

NSG-ს შევსება არმიიდან და პოლიციიდან ხდება. კანდიდატი შესარჩევ კურსებზე შეიძლება ჩაირიცხოს ან საგანგებო რეკომენდაციით, ან თუ იგი NSG-ს შესარჩევმა განყოფილებამ გამოარჩია. გასაუბრებისა და სამედიცინო შემოწმების შემდეგ ყველა კანდიდატი მანესარის სამხედრო ბაზაში იგზავნება.

კურსანტები 90 დღეს დაყოფენ მანქარში, სადაც დიდი ყურადღება ეთმობა საცეცხლე და ფიზიკურ მომზადებას. პრაქტიკულად, შეუსვენებლად აწყობენ მარშნახტომებს განსხვავებულ გეოგრაფიულ და კლიმატურ პირობებში, სწავლობენ ველურ ბუნებაში თავის გადარჩენის მეთოდებს. კურსებს მოსდევს პირველი გამოცდა — 780-მეტრიანი წინაღობების ზოლი, რომელიც 26 ეტაპადაა დაყოფილი. ზოლი კურსანტმა აუცილებლად 18 წუთში უნდა გადალახოს. ახალწვეულებს ამ მონაკვეთის გავლისას უხდებათ მთის ფერდობების, ხევების, ჭაობების, მდინარეებისა და შენობათა გადალახვა, ისე, რომ წინაღობებს თანამიმდევრობა არ აქვს. წინაღობათა ზოლის ბოლოს კურსანტმა საბრძოლო ცეცხლით უნდა დააზიანოს განსაზღვრული რაოდენობის მოძრავი სამიზნე. პარალელურად მიმდინარეობს საფუძვლიანი საცეცხლე მომზადება, რომელიც ტაქტიკური წვრთნების ელემენტებსაც შეიცავს.

მოსამზადებელი ცენტრის ერთ-ერთმა ყოფილმა ინსტრუქტორმა ინდური გაზეთისთვის მიცემულ ინტერვიუში აღნიშნა: „კურსანტების უმრავლესობას საბრძოლო გამოცდილება აქვს, ამიტომ მათ ხელახლა მომზადებას სროლაში აზრი არ აქვს, მაგრამ ჩვენ მოვალენი ვართ გავუუმჯობესოთ საცეცხლე მომზადება. ერთ მაგალითს მოგიყვანთ: ერთ-ერთი ოპერაციის დროს მოულოდნელი რამ მოხდა, იარაღმა არ გაისროლა, რის გამოც დრო ფუჭად დაიხარჯა. კურსანტების უმრავლესობა დიდ დროს ანდომებს იარაღის ხელახლა დატენას, რაც მძევლების გათავისუფლების ოპერაციაში მონაწილეობისას დაუშვებელია".

თვე-ნახევრის განმავლობაში ინტენსიური ვარჯიშების შედეგად კურსანტები სრულყოფენ საბრძოლო ოსტატობასა და ჩვევებს საცეცხლე მომზადებაში. საშტატო იარაღის გარდა სწავლობენ ამერიკული, ჩინური, ებრაული და გერმანული საბრძოლო ტექნიკის მოხმარებას. შედარებით სერიოზული მომზადება ბოლო ეტაპზე იწყება, — უკვე ნასწავლსა და ათვისებულს ჩაკეტილ სივრცესა და საგანგებო სიმულატორებში სრულყოფენ. მაგალითად, კურსანტი ინსტრუქტორთან ერთად ბნელ დერეფანში მიდის. მოულოდნელად ინთება თვალისმომჭრელი სინათლე და გამოჩნდება პირობითი მოწინააღმდეგე. კურსანტმა სამი წამის განმავლობაში ორი გასროლით უნდა დააზიანოს სამიზნე.

შემდეგ უკვე ჯგუფური წვრთნები ტარდება, ცხადია, ვარჯიშებიც რთულდება. ყოველი კარგად ჩატარებული ვარჯიშის შემდეგ მცირდება წამების რაოდენობა, რომელიც პირობითი მტრის დასაზიანებლადაა გამოყოფილი, იმატებს შუქის სიმკვეთრე და დავალება გაცილებით რთულდება. ამასთან, მატულობს გამოკ-



ლებულ კურსანტთა რიცხვიც. კიდევ ერთი მნიშვნელოვანი დეტალი – სწავლებების დროს კურსანტები ისვრიან არა მარტო ანტიტერორისტული ოპერაციების დროს გამოსადეგ იარაღს, არამედ სასროლი იარაღის ყველა სახეობას, რაც კი მათ არსენალშია, ტყვიამფრქვევების ჩათვლით.

მოსამზადებელ ცენტრში აქვთ ელექტრონული სიმულატორი, რომელიც 400 მეტრის სიგრძის ტირს წარმოადგენს და 11 საცეცხლე სექტორადაა დაყოფილი. ამ დისტანციის გადასალახავად 6 წუთზე ოდნავ მეტია გამოყოფილი. ამ დროის განმავლობაში კურსანტმა 29 სამიზნე 58 გასროლით უნდა დააზიანოს. თითოეულ სამიზნეზე მხოლოდ 2 წამია გამოყოფილი. კურსანტები ნამდვილ ტყვიებს ისვრიან. ხშირად ტერორისტების როლს თავად კურსანტები ასრულებენ. ოსტატობის ასამაღლებლად სპეცრაზმელები იყენებენ მეორე, უფრო რთული წინაღობების სასწავლო-საბრძოლო ზოლს, რომელშიც შედის ციცაბო აღმართზე ასვლა, სადაც ხდება ტერორისტებთან შეჯახების იმიტაცია, ამ დროს თითო ტერორისტზე ორ-ორი ტყვიაა გამოყოფილი. აღმართის სიმაღლიდან დაშვება მოსდევს. ამ დროისათვის სნაიპერთა წყვილებმა უნდა მოასწრონ სათვალთვალო და საბრძოლო ადგილების შერჩევა-ორგანიზება. მოიერიშეთა ჯგუფს კი წინ დანაღმული ველის გადალახვა და შენობის შტურმი ელის.

იერიშის დაწყების ნიშანი სნაიპერების გასროლაა. დავაზუსტებთ: წვრთნა საომარი ტყვიებით, სრული სამხედრო აღჭურვილობით მიმდინარეობს.

სამთვიანი მომზადების კურსი წვრთნის მხოლოდ ერთი ეტაპთაგანია.




თითქმის ყველა კურსანტი დესანტთა მომზადების სკოლაში Parachute Traning School და რთულ კლიმატურ პირობებში ბრძოლის სასწავლო ცენტრში გადის წვრთნას.

პარაშუტით გადმოხტომებთან ერთად, კურსანტების საგანგებო-საიერიშო ნაწილები დესანტირებას ახდენენ უმცირესი სიმაღლიდან, პარაშუტების იძულებითი გახსნის რეჟიმში. სამთო მომზადება მოიცავს ალპინისტურ, სათხილამურო სწავლებებს, აგრეთვე საგანგებო საცეცხლე მომზადებას და თავის გადარჩენას მთაგორიანი ლანდშაფტის პირობებში.

ამ შესარჩევ და მოსამზადებელ ციკლს კურსანტების 30-40% თუ უძლებს, პირველი ხელშეკრულების დამთავრებამდე (3-5 წელიწადი) კი 10-15%, რაც მსოფლიოს ბევრი ქვეყნის სპეცრაზმებისთვის საშუალო სტატისტიკური მონაცემია.

სპეციალიზებული წყაროების მონაცემებით, NSG-ში დაახლოებით 7500 მეომარია. შენაერთები ორ ჯგუფად იყოფა: Special Actions Group – SAG (საგანგებო მოქმედებების ჯგუფი) და Special Ranger Group SGR (რეინჯერთა საგანგებო ჯგუფი). SAG-ში ძირითადად ირიცხებიან არმიის ქვედანაყოფების ვეტერანები, SGR-ში კი – პოლიციის, სასაზღვრო ჯარებისა და ტერიტორიული ქვედანაყოფების ჯარისკაცები. ოფიციალურად SAG-ი უშუალოდ ტერორისტულ მოქმედებებში მონაწილეობს, SGR-ი კი უშიშროებას უზრუნველყოფს. იმავე წყაროების მონაცემებით, SAG-ი პასუხს





**ინდოელი სპეცსამსახურების შეიარაღებაში „მამისმკვლელი სიფათების“ გარდა ბევრი თანამედროვე იარაღი და მოწყობილობაა**

აგებს ანტიტერორისტულ მზადყოფნასა და კონტრპარტიზანულ მოქმედებებზე. ჯგუფი დელიშია დისლოცირებული და საჭიროებისამებრ გადაისვრიან ქვეყნის ცხელ წერტილებში. SAG-ი მე-11, მე-12 და მე-13 ჯგუფებისგან შედგება და პასუხისმგებლობის ზონების მიხედვით არ არის დაყოფილი.

ყოველი ჯგუფი შედგება რაზმებისგან, რომლებშიც 60-დან 100-მდე ოპერატორი ირიცხება. როგორც წესი, ეს სავსებით საკმარისია სპეცოპერაციის ჩასატარებლად. თავის მხრივ, რაზმები ხუთი მებრძოლისაგან შედგენილ გუნდებად იყოფა. ასეთ გუნდში შემავალ თითოეულ მებრძოლს აქვს მედიკოსის,სნაიპერის,გამნაღმველისა და იარაღის სპეციალისტის კვალიფიკაცია. გუნდის მეთაურია კაპიტანი.

იარაღს დავალების სირთულისდა მიხედვით არჩევენ. იარაღისა და ამუნიციის შერჩევა ხუთეულის მეთაურის უფლებაა. „შავი კატების“ არსენალია სტანდარტული – AK, ავტომატური შაშხანა M-16, გრძელი და მოკლელულიანი პისტოლეტები „ზიგ“ და „გლოკი“, „ჰეკლერ და კოხის“ მოდიფიკაცია (მძევლების გასათავისუფლებელ ოპერაციებში მთავარი იარაღი) მინი და მიკრო-„უზები“; საფანტის თოფები,სნაიპერის შაშხანა PSG-1. მებრძოლებს შავი კომბინეზონები აცვიათ და შავი მუზარადები ახურავთ, თითოეულ მათგანს აქვს კავშირის ინდივიდუალური საშუალება.

NSG ურთიერთშეთანხმებულად მოქმედებს ინდოეთის არმიისა და სამხედრო ფლოტის სპეცრაზმებთან. ინდოეთის პრესის მონაცემებით, NSG თანამშრომლობს გერმანულ GSG-სა და აშშ-ის არმიის სპეცრაზმებთან. დაუმოწმებელი მონაცემების თანახმად, „შავმა კატებმა“ ერთობლივი წვრთნა ფრანგებთანაც გაიარეს. ასევე, ცნობილია, რომ გასული საუკუნის 90-




იანი წლების ბოლოს ინდოელ სპეცრაზმელებთან ისრაელელი ინსტრუქტორები მუშაობდნენ, რომლებიც კოლეგებს ჩაკეტილ სივრცეში ბრძოლის წარმოებასა და საცეცხლე წვრთნების მაქსიმალურად ეფექტიანად ჩატარებას ასწავლიდნენ.

NSG მებრძოლთა ამოცანების მოკლე ჩამონათვალი ასეთია:

– მძევლების გათავისუფლება ზღვაზე და ჰაერში (საზღვაო მიმართულება ევალება სწრაფი რეაგირების ჯგუფებს, რომლებიც სამხედრო-საზღვაო ფლოტის სპეცდანიშნულების სამსახურში შედიან);

– ტერორისტული მუქარის ნეიტრალიზაცია – პრევენციული ოპერაციები;

– პარტიზანებისა და აჯანყებულების წინააღმდეგ ბრძოლა;

– მონაცემთა ანალიტიკური დამუშავება (NSG-ს შტაბში შექმნილია საგანგებო არქივი, სადაც თავმოყრილია სხვადასხვა ობიექტის მონაცემები, დოკუმენტები ტერორისტული დაჯგუფებების შესახებ, ასაფეთქებელი ნივთიერებების ტიპები, რომლებსაც ტერორისტები ხმარობენ და სხვა საჭირო მონაცემები);

– პოლიციისა და სასაზღვრო ჯარების პირადი შემადგენლობების ტერორიზმთან საბრძოლველად მომზადება;

– განსაკუთრებით მნიშვნელოვანი პირებისა და ობიექტების დაცვა.

დაარსების დღიდან „შავმა კატებმა“ ასზე მეტი ტერორისტული ოპერაცია ჩაატარა. გარდა ამისა, სპეცრაზმელებმა წარმატებით გაართვეს თავი ანტიპარტიზანულ და დივერსიულ გამოხდომებს ჯამუსა და ქაშმირში. პირველი შეტაკება 1987 წელს მოხდა, ოპერაცია „შავი ქარის“ დროს, როცა „შავი კატები“ შვეულმფრენებიდან პენჯაბში გადასხეს ტერორისტული დაჯგუფების გასანადგურებლად. მაშინ „შავის კატების“ ერთ-ერთმა ხუთეულმა ტერორისტთა ორი ლიდერი გაანადგურა.

ამას მოჰყვა 1988 წელს ჩატარებული ოპერაცია „შავი ელვა-2“ (ისევ „ოქროს ტაძრის“ გათავისუფლება), ოთხმოცდაათიანი წლებიდან კი „შავი კატების“ ოფიცერთა და სერჟანტთა კადრებმა პენჯაბში პოლიციის ანტიტერორისტული სპეცრაზმების მომზადება დაიწყეს, რომლის დროსაც დაიხვეწა განსაკუთრებით სახიფათო ტერორისტების დაპატიმრების ტაქტიკა. NSG-ს ერთ-ერთი ყოფილი ოფიცერი იხსენებს: „თავიდან „შავ კატებს“ ყველაფერი კარგად არ გამოსდიოდათ, რის შედეგადაც ტერორისტი ან იღუპებოდა, ან ხელიდან უსხლტებოდათ, ხოლო როცა იძულებული შეიქნენ ტაქტიკა შეეცვალათ და სპეცოპერაციებში რამდენიმე ათეული მეომრის ნაცვლად მცირე გუნდების ორიდან 10 კაცამდე ჩაბმა დაიწყეს (ოპერაციის გეგმასაც თვითონ ადგენდნენ), ყველაფერი გამოსწორდა. ერთ-ერთი ოპერაციის დროს ორი მოთვალთვალე თითქმის ორი დღე-ღამის განმავლობაში აკვირდებოდა სახლს, რომელშიც სინქხი ტერორისტი აფარებდა თავს. მოთვალთვალე სპეცრაზმელებმა სინქხების ტანსაცმელი ჩაიცვეს და ტერორისტი იოლად დააკავეს, მაშინ, როცა ის შენობიდან გამოდიოდა. NSG-ს დანიშნულება მაინც მძევლებისა და ტყვეების გათავისუფლებაა. სწორედ ამისთვის ამზადებენ „შავ კატებს“, მძევლების გათავისუფლებაა სპეცრაზმელისთვის უმთავრესი გამოცდა. პირველად ასეთი გამოცდა 1993 წლის აპრილში გაიარეს, – ხელყუმბარებითა და სასროლი იარაღით აღჭურვილმა მარტოხელა ტერორისტმა ინდოეთის ავიახაზების „ბოინგ 737“ ჩაიგდო ხელთ. სანამ მოლაპარაკება მიმდინარეობდა, SAG ერთ-ერთი ჯგუფის ოპერატორები, მოქმედების გეგმას ადგენდნენ. როცა ტერორისტს თითქმის უმტყუნა ნერვებმა, რამდენიმე ხუთკაციანმა ჯგუფმა თვითმფრინავზე იერიში მიიტანა – სალონში ხმაურის გამომცემი ხელყუმბარა შეაგდეს, რასაც ორი-სამი ზუსტი გასროლა და ტერორისტის ლიკვიდაცია მოჰყვა. მაშინ 141 მგზავრი იხსნეს სპეცრაზმელებმა. ამ წარმატებულ ოპერაციას კი წინ უძღოდა „შავი კატების“ მრავალწლიანი მომქანცველი წვრთნა.

რამდენიმე წლის შემდეგ „შავმა კატებმა“ ჯამუსა და ქაშმირში წარმატებით ჩაატარეს კიდევ ერთი სპეცოპერაცია. მაშინ ტერორისტები სამხედრო დასახლებაში შეიჭრნენ, დახოცეს სამი სამხედრო მოსამსახურე და ერთი ქალი, მძევლად კი 12 კაცი აიყვანეს. ერთი დღე-ღამის განმავლობაში „შავი კატების“ სნაიპერული წყვილები და რამდენიმე ხუთეული მოთმინებით ელოდნენ საიერიშოდ შესაფერის დროს. როცა ორი ტერორისტი შენობიდან გამოვიდა, იმავე წამს მოხვდა თითოს სნაიპერის თითო ტყვია – ერთს მკერდში, მეორეს – თავში. დაიწყო ელვისებური იერიში, შენობის გასუფთავებისას კიდევ ერთი ტერორისტი მოკლეს და თორმეტივე მძევალიც გაათავისუფლეს. რამდენიმე წუთის შემდეგ, ყუმბარსატყორცნის გასროლის შედეგად, დაიღუპა უკანასკნელი ტერორისტიც, რომელიც გაქცევას ცდილობდა.

1993-1999 წლებში „შავმა კატებმა“ რამდენიმე ოპერაცია ჩაატარეს, მათ შორის ერთ-ერთი დელიში. შენობა, სადაც ორი კარგად შეიარაღებული ტერორისტი გამაგრდა, სპეცრაზმელებმა იერიშით აიღეს. კარის აფეთქებისას ოდნავ შეყოვნდნენ და სწორედ ამ დროს ტერორისტმა სპეცრაზმელს ესროლა. საბედნიეროდ, ააცდინა. საპასუხოდ გაისმა ორი გასროლა, რომელმაც, რა თქმა უნდა, სამიზნე გაანადგურა. არ გასულა ერთი წუთიც და იგივე ბედი ეწია მეორე ტერორისტსაც. ოპერაციის მსვლელობისას მრავალბინიანი სახლის არც ერთი მცხოვრები არ დაშავებულა.

NSG-ს ისტორიაში უსიამოვნო მოგონებებიც გამოერევა ხოლმე: 1999 წლის

ეროვნული ბიბლიოთეკა

დეკემბერში ინდოეთში სკანდალი ატყდა — ტერორისტებმა თვითმფრინავი ჩაიგდეს ხელთ და რამდენიმე საათის შემდეგ ავღანეთში, ყანდაარში გაიტაცეს. მიზეზთა გამო არც NSG-ს და არც სხვა საგანგებო რაზმს, რომელთაც ანტიტერორისტული დანიშნულება ჰქონდათ, არ დართეს ნება მძევლების გასათავისუფლებელი ოპერაცია ჩაეტარებინათ, რის შემდეგაც სპეცსამსახურებისა და სხვა სამხედრო უწყებების მაღალჩინოსანმა ოფიცრებმა სახელმწიფო მოხელეებს ბრალი დასდეს უნებისყოფობასა და არაკომპეტენტურობაში — სახელმწიფო მოხელეებმა ტერორისტთა მოთხოვნით გაათავისუფლეს მათი სამი თანამებრძოლი, რომლებიც NSG-ის მეომრებმა თავიანთი სიცოცხლის ფასად დააპატიმრეს რამდენიმე ხნით ადრე.

NSG წარმატებულ ოპერაციებს ატარებს აჯანყებულ შტატებში, ქაშმირსა და ჯამუში. ქაშმირის ტერიტორია, კარგა ხანია, არა პრობლემურ ან კონფლიქტურ ზონად, არამედ სამხედრო მოქმედებების რაიონად ითვლება. ტერაქტები და დივერსიები ამ შტატის ცხოვრების განუყოფელ ნაწილად იქცა. 1997-98 წლებში სიტუაციამ აქ კრიტიკულ ზღვარს მიაღწია. ტერორისტებმა, რომლებმაც მომზადება პაკისტანსა და ავღანეთში გაიარეს, აქ ასობით ტერაქტი და დივერსია მოაწყვეს. იღუპებოდა ასობით სამხედრო მოსამსახურე და მშვიდობიანი მოქალაქე. მიუხედავად საარმიო შენაერთების გმირული წინააღმდეგობისა, ტერორისტთა მოქმედებები სულ უფრო თავხედური და რაც მთავარია, შედეგიანი ხდებოდა. ინდოეთის შინაგან საქმეთა სამინისტროს ხელმძღვანელობამ გადაწყვიტა, არმიის შენაერთებთან ერთად ჩაეტარებინა მსხვილმასშტაბიანი ოპერაცია, თუმცა დიდ საომარ ოპერაციას ქაშმირის შტატში იშვიათად მოჰქონდა სასურველი შედეგი. ამიტომ შემუშავდა ახალი ტაქტიკა, რომლის შესახებაც კაპიტანი ნ.ს. გვიამბობს: „ადგილი, სადაც ოპერაცია მიმდინარეობდა, ტყიანი და მთაგორიანია, დასერილი უამრავი ხევით, მდინარითა და ნაკადულით. ასეთ ადგილას მრავალრიცხოვანი ძალებით მოქმედებას აზრი არ აქვს. ამიტომ შინაგან საქმეთა სამინისტროს ხელმძღვანელებმა, რომლებიც ოპერაციას უძღვებოდნენ, გადაწყვიტეს არმიის სპეცრაზმის გამოცდილების გამოყენება. ტერორისტთა ბაზირების რაიონში საყრდენი წერტილების შესაქმნელად გაიგზავნა NSG-ს რამდენიმე მცირე გუნდი, რომლებიც სადაზვერვო მონაცემებსაც შეკრებდნენ“.

თავიდან სპეცრაზმელებს აგენტურის იმედი ჰქონდათ, რომელმაც რამდენიმე სამალავი მოაწყო შესაბამისი საბრძოლო მასალითა და სურსათით. მალე „შავმა კატებმა“ შექმნეს რამდენიმე საყრდენი ბაზა და სათვალთვალო პუნქტი.

ორი კვირის განმავლობაში უთვალთვალებდნენ მზვერავები ტერორისტთა თავშეყრის ადგილებს, გადმოჰქონდათ და აბინავებდნენ იარაღს და აღჭურვილობას; ამზადებდნენ შვეულმფრენთა დასაშვებ ადგილებს, ოქტომბერში კი ოპერაციის ძირითადი ეტაპი დაიწყო.

ტერორისტთა ბაზას ყველა შენაერთმა ერთობლივად შეუტია. ამავე დროს საჰაერო და სახმელეთო გზით ოპერაციის რაიონში ჩაიყვანეს სპეცრაზმელთა ათეულობით გუნდი და კარგად მომზადებული ქვეითთა რაზმები, შედარებით ძნელადმისადგომ ადგილებს ავიაცია ბომბავდა. ოპერაციამ წარმატებით ჩაიარა, მაგრამ იყო დანაკარგიც. მიუხედავად ამისა, მიზანი მაინც იქნა მიღწეული — რაიონში ტერორისტთა აქტივობა მკვეთრად შემცირდა.

სამწუხაროდ, მალე იმავე მაღალჩინოსანთა „უცნაურმა“ გადაწყვეტილებამ არმიის აქტივობა შეანელა და არ გასულა ერთი წელი, რომ ტერორისტებმა სახელმწიფოს გაცილებით დიდი დარტყმა მიაყენეს.

NSG-მ ახალი საუკუნის პირველივე წლებში მოასწრო რამდენიმე ოპერაციაში მონაწილეობა. ერთ-ერთში გუჯარათის შტატში ტაძრის კომპლექსში მძევლების გათავისუფლებისას დაიღუპა ერთი „შავი კატა“, მეორე კი მძიმედ დაჭრეს. სამაგიეროდ, გაანადგურეს ყველა ტერორისტი, მძევლები კი გაათავისუფლეს. ბოლო წლებში „შავმა კატებმა“ ახალი, შედარებით თანამედროვე ბაზა მიიღეს. ცვლილება მოხდა ჯგუფის გამოყენების წესდებაშიც. კერძოდ, ახლა ავიარეისების უმრავლესობას სამოქალაქო ტანსაცმლით მოსილი ორი სპეცრაზმელი მიაცილებს. გარდა ამისა, NSG-ს ჯგუფები მუდმივად მზადყოფნაში იმყოფებიან ინდოეთის ექვს მსხვილ აეროპორტში. ეს გადაწყვეტილება მთავრობამ „ბოინგის“ ყანდაარში გატაცების შემდეგ მიიღო. ოპერატიულ ჩარევასთან ერთად NSG-ს სპეცრაზმელებს საშუალება აქვთ სრულყონ მძევლების გათავისუფლების ოსტატობა, მაგრამ არსებობს პრობლემებიც: საგრძნობია სატრანსპორტო საშუალებების უკმარისობა. მაგალითად, „ბოინგის“ ყანდაარში გატაცებისას სპეცრაზმელები საგზაო საცობში აღმოჩნდნენ. საჭიროა არსენალისა და განსაკუთრებით სპეცსაშუალებების განახლება. სხვა პრობლემაა NSG-ს სტრუქტურა, კადრების დენადობისა და დაქვემდებარების საკითხი. თუ SAGანგებო ქვედანაყოფების შემადგენლობის სიმრავლე ქვეყნის სიდიდიდან გამომდინარეობს, მათი საქმეში ეფექტიანად გამოყენების მიზნით სხვადასხვა რეგიონთან მიმაგრების საკითხი გადაუწყვეტელი რჩება — კვლავ დელიდან ელოდებიან ანტიტერორისტული მაშველის ჩასვლას სხვადასხვა რეგიონის მცხოვრებნი. გაუგებარია აგრეთვე მებრძოლებთან ხელშეკრულების გაგრძელების სისტემაც. მათ უმრავლესობას 3-5 წლის სამსახურის შემდეგ ისევ ძველ ნაწილებში აბრუნებენ. ეს ვითომდა ამ ნაწილების საბრძოლო მომზადების ასამაღლებლად კეთდება. პირიქით კი ხდება, NSG — ბრძოლისუნარიანობის დაცემას იწვევს.

სამაგიეროდ, ოფიცერთა და სერჟანტთა საბრძოლო ხერხემალი შენარჩუნებულია ისეთ ქვედანაყოფებში, რომლებიც ქაშმირისა და დელის ანტიტერორისტულ ოპერაციებში მონაწილეობდნენ. შინაგან საქმეთა სამინისტროსადმი დაქვემდებარებაც კარგს არაფერს უქადის „შავ კატებს“. ერთი სიტყვით, როგორც ჩანს, NSG-ს წინ დიდი ბრძოლა აქვს გადასატანი და არა მარტო ტერორისტების წინააღმდეგ.



# ახალი ტიპის ქართული მასრა

**თელავის სახელმწიფო უნივერსიტეტში ალექსანდრე ხარიბეგაშვილის ხელმძღვანელობით ჩამოყალიბდა ჯგუფი ივანე ბუჩუკურის, გიორგი საფარიშვილის, არკადი ტალიურის, აკაკი ხითარიშვილის შემადგენლობით, რომელიც უკვე რამდენიმე წელიწადია მუშაობს სამხედრო ტექნიკის სხვადასხვა პრობლემაზე. ჯგუფს კონსულტაციებს უწევს საქართველოს დამსახურებული ინჟინერი სამხედრო დარგში დავით ფირცხალავა. ერთ-ერთ ასეთ პრობლემას, რომელზეც ჯგუფი მუშაობს, წარმოადგენს ცეცხლსასროლი იარაღის საექსპლუატაციო ვადის გაზრდა.**

ცეცხლსასროლი იარაღის ექსპლუატაციის ვადის გახანგრძლივება დიდად მნიშვნელოვანია შეიარაღებაზე დანახარჯების დაზოგვისათვის. ცეცხლსასროლი იარაღის ექსპლუატაციის ვადა, ძირითადად, განისაზღვრება ლულის ექსპლუატაციის ვადით, რადგან როდესაც იარაღი უვარგისი ხდება ლულის გაცვეთის გამო, მისი მექანიკა (საკეტი, ზამბარა, საცემი და ა.შ.) ჩვეულებრივ მუშაობს და ცვეთა არ აღენიშნება. პირველ რიგში ეს პრობლემა ეხება ავტომატურ იარაღსა და განსაკუთრებით ისეთ სისტემებს, სადაც სროლის ტემპი წუთში 800 და მეტ გასროლას აღემატება. ვგულისხმობთ 20, 23, 25, 30 მმ კალიბრის საავიაციო და საზენიტო ქვემეხებს.

ვთქვათ, თუ ცეცხლსასროლი იარაღის სროლის რესურსი 5000 გასროლაა, მისი გაზრდა 10000 გასროლამდე, ანუ გაორმაგება, ორჯერ აიაფებს იარაღს. ერთი ასეთი იარაღით შესაძლებელია იმდენი გასროლა, რასაც ადრე ორი იარაღი სჭირდებოდა; ანუ, რამდენი პროცენტითაც იზრდება სროლის რესურსი, იმდენადვე იაფდება იარაღი, თუ, რასაკვირველია, სროლის რესურსის გაზრდა არაა დაკავშირებული მნიშვნელოვან ხარჯებთან. ეს განსაკუთრებით ითქმის ისეთ ძვირად ღირებულ იარაღებზე, როგორიცაა, მაგალითად, ავტომატური საზენიტო და საავიაციო ქვემეხები.

ლულის ცვეთა განპირობებულია მასზე სამი ფაქტორის ზემოქმედებით: მექანიკური, ქიმიური და თერმობარული. მექანიკური ფაქტორი წარმოდგენილია ტყვიის ზემოქმედებით ლულაზე ხახუნის მეშვეობით, თერმობარული – დენთის ნაწილაკების წვის შედეგად წარმოქმნილი მაღალი ტემპერატურის და წნევის ზემოქმედებით ლულის არხის კედლებზე, ქიმიური – დენთის ნამწვავისა და ატმოსფეროში არსებული ტენის ერთობლივი ზემოქმედებით ლულის არხის კედელზე.

თერმობარული ზემოქმედებისას ხდება ლულის არხის პერიოდული გაფართოება და საწყის მდგომარეობაში დაბრუნება, რაც იწვევს გახურების ბადის წარმოქმნას და ქრომის ახლეჩის ადგილებში ლულის არხის ზედაპირის მცირე შედნობას. გარდა ამისა, თერმული ფაქტორი აძლიერებს მექანიკური და ქიმიური ფაქტორების ზემოქმედებას.

თელავის სახელმწიფო უნივერსიტეტში შეიმუშავეს გაუმჯობესებული მასრა, რომლის მიზანია ლულის ცვეთის შემცირება და შესაბამისად, იარაღის ექსპლუატაციის ვადის გახანგრძლივება ლულაზე თერმობარული ფაქტორის თერმული კომპონენტის ზემოქმედების შემცირების შედეგად. ეს მასრა აღიარებულია გამოგონებად და მასზე გაცემულია პატენტი №3693 საქართველოს ინტელექტუალური საკუთრების ეროვნული ცენტრის „საქპატენტის“ მიერ.

სადღეისოდ გავრცელებულია მასრა, რომელსაც აქვს ცილინდრული ფორმა, რომლის ძირშიც განთავსებულია ფისტონი, ხოლო მასრაში მოთავსებულია დენთი (ნახ. 1).

ამ მასრის ნაკლი ის არის, რომ ფისტონის აფეთქებისას მასრის ძირში განთავსებული დენთის ქვედა ფენის აალების შედეგად წარმოქმნილი პირველადი აფეთქების ტალღა დენთის დაუწვავ ნაწილაკებს აკრავს ტყვიის ფსკერს (ბოლოს) და ტყვიასთან ერთად აგდებს ლულაში, სადაც ხდება მათი (ნაწილაკების) საბოლოო დაწვა (ნახ. 2).

გაუმჯობესებული მასრა ასევე ცილინდრული ფორმისაა, რომლის ძირშიც განთავსებულია ფისტონი, ხოლო მასრაში კი მოთავსებულია დენთი, მაგრამ ამ შემთხვევაში ფისტონს გრძელი ცილინდრის სახე აქვს, რომლის ერთი ბოლოც განთავსებულია ტყვიის უკანა ზედაპირთან (ნახ. 3).

ფისტონის აფეთქების შედეგად ფისტონის ალი გამოიტყორცნება ტყვიის უკანა ზედაპირთან განთავსებული ფისტონის ბოლოდან და აალებს ტყვიის უკანა ზედაპირთან განთავსებულ დენთის ფენას. ამ დენთის ფენის პირველადი აფეთქების ტალღა დენთის დაუწვავ ნაწილაკებს ჭირხნის მასრის ძირში, სადაც ხდება მათი დაწვა (ნახ. 4).

**ნახ. 1**



**1 – მასრა;**
**2 – ფისტონი;**
**3 – დენთი;**
**4 – ტყვია.**

**1 – ლულა; 2 – მასრა; 3 – ფისტონი; 4 – ტყვია; 5 – დენთის დაუმწვარი ნაწილაკები; 6 – დენთის ცეცხლმოკიდებული ნაწილაკები; 7 – ფისტონის აფეთქების ალი.**



**ნახ. 2**

# სამხედრო ლექსიკონი

**მოგეხსენებათ, ხშირია შემთხვევები, როდესაც ქართველი სამხედრო თუ სამოქალაქო პირები რუსულ სამხედრო ტერმინოლოგიას იყენებენ. ეს იმიტომ ხდება, რომ მათ ამ სიტყვების ქართული შესატყვისი არ იციან. ამ ხარვეზის გამოსასწორებლად „არსენალი" აგრძელებს რუსული სამხედრო ტერმინების ქართული შესატყვისების გამოქვეყნებას.**

маркировка – ნიშანდება
марля – მარლა, დოლბანდი
мародер – მაროდიორი
марш – მარში, სვლა
марш вдоль фронта – ფრონტის გასწვრივ მარში
марш ночной – ღამის მარში
марш отступательный – უკუქცევითი მარში
марш торжественный – საზეიმო მარში
марш форсированный – ფორსირებული მარში
марш-бросок – მარშ-ნახტომი
маска – ნიღაბი
маска противогаза – აირწინაღის ნიღაბი
маска-веер – ნიღაბ-მარაო
маскировка – შენიღბვა
маскировка акустическая – აკუსტიკური შენიღბვა
маскировка дымовая – კვამლით შენიღბვა
маскировка звуковая – ბგერითი შენიღბვა
маскировка световая – შუქშენიღბვა
масленка – საზეთური
масса критическая – კრიტიკული მასა
масса начальная – საწყისი მასა
мастер – ხელოსანი, ოსტატი
мастер оружейный – იარაღის ხელოსანი
мастерская – სახელოსნო
мастерская авиаремонтная – ავიასარემონტო სახელოსნო
мастерская подвижная – მოძრავი სახელოსნო
масштаб условный – პირობითი მასშტაბი
масштаб численный – რიცხობრივი მასშტაბი
материал подручный – ხელმისაწვდომი მასალა
материалы смазочные – საპოხი მასალები.

ნახ. 4




1 – ლულა; 2 – მასრა; 3 – ფისტონი; 4 – ტყვია; 5 – დენთის დაუმწვარი ნაწილაკები; 6 – დენთის ცეცხლმოკიდებული ნაწილაკები; 7 – ფისტონის აფეთქების ალი.

ნახ. 3




1 – მასრა;
2 – ფისტონი;
3 – დენთი;
4 – ტყვია.

ჩვეულებრივი მასრიდან გასროლისას დენთის ნაწილაკის დაწვა იწყება ტყვიის უკანა ზედაპირზე პირველადი აფეთქების ტალღით მიწნეხილი დენთის დაუწვავი ნაწილაკების მასის უკანა ფენაში და მხოლოდ ამის შემდეგ ცეცხლმოკიდებული დენთის ნაწილაკი მისი წვის შედეგად წარმოქმნილი აირების ზემოქმედების შედეგად იწყებს გადაადგილებას უკან, ლულაში (ნახ. 2).

შემოთავაზებული მასრიდან გასროლისას დენთის ნაწილაკის დაწვა იწყება მასრის ძირში პირველადი აფეთქების ტალღით ჩაწნეხილი დაუწვავი დენთის ნაწილაკების წინა ფენაში და მხოლოდ ამის შემდეგ ცეცხლმოკიდებული დენთის ნაწილაკი მისი წვის შედეგად წარმოქმნილი აირების ზემოქმედებით იწყებს გადაადგილებას წინ, ლულაში (ნახ. 4).

მასრაში დენთის ჩაწვას ხელს შეუწყობს მასრაში ჩაწნეხილი დენთის განთავსება. ასე დაწნეხილი დენთი გამოიყენება უმასრო ვაზნებში (უმასრო ვაზნაზე მუშაობა დაიწყო აშშ-ში, 1966 წელს, და მას შემდეგ მრავალ ქვეყანაში გრძელდება. სიძნელეს წარმოადგენს დენთის ვარგისიანობის ვადისა და დენთის აირების ობტურაციის შემცირება მასრის არქონის გამო).

ამრიგად, შემოთავაზებულ მასრაში ხდება დენთის წვით წარმოქმნილი თერმული ფაქტორის ზემოქმედების სიმძიმის გადაწევა ლულიდან მასრაში, რაც ამცირებს ლულის ცვეთას და ახანგრძლივებს მის საექსპლუატაციო ვადას. ასევე ლულის ტუჩთან დენთის დაუწველი ნაწილაკების მოხვედრის შემცირება მკვეთრად შეამცირებს ცეცხლის ალს, რომელიც შეინიშნება ლულის ტუჩთან. შედეგად, აღარ იქნება საჭირო ლულაზე ალსაქრობის დაყენება ან მკვეთრად გაიზრდება მისი ეფექტიანობა.

წარმოდგენილი მასრის დადებითი ეფექტი უფრო გამოხატული იქნება მსხვილკალიბრიან ვაზნებსა და გრძელლულიან ცეცხლსასროლ იარაღში.

ახალი მასრის სრულყოფილად დამუშავება საჭიროებს ექსპერიმენტულ კვლევას. ექსპერიმენტისას შექმნილი პრობლემები შეიძლება სწრაფად გადაიჭრას, თუმცა არც ისაა გამორიცხული, რომ მუშაობა დიდხანს გაგრძელდეს.

ახალი მასრის წარმოება, რასაკვირველია, მოითხოვს საწარმოო ხაზში ცვლილებების შეტანას, მაგრამ ეს ყოველთვის თან სდევს ახალი იარაღის შექმნას. მაგალითად, უმასრო ვაზნის შექმნა საჭიროებს ცვლილებების შეტანას როგორც იარაღის კონსტრუქციაში, ისე საწარმოო ხაზში.

წარმოდგენილი მასრა მოითხოვს ცვლილებებს მხოლოდ ფისტონის წარმოებაში. ფისტონის დასაგრძელებლად არაა აუცილებელი თითბერი ან სხვა ძვირად ღირებული ლითონის მასალა. ფისტონი შეიძლება დავაგრძელდეს, მაგალითად, მუყაოს მილაკის ჩამოცმით და დამაგრებით ფისტონზე, რაც მცირე ხარჯს მოითხოვს. თუკი ფისტონი შესრულებული იქნება საკმაოდ წვრილი (მცირე დიამეტრის) ღეროთი, მაშინ ფისტონი დიდად არ შეამცირებს მასრის მოცულობას. დენთის შემადგენლობის მცირე ცვლილება შესაძლებლობას მოგვცემს მოვათავსოთ მასრაში დენთის იმავე სიმძლავრის მუხტი, რომელიც გამოიყენება უკვე არსებულ მასრებში. შედეგად, ამჟამად წარმოებული იარაღის ვაზნების ზომები არ შეიცვლება.

# სამდინარო ბატალიები მისისიპიდან მტკვრამდე

სამდინარო ფლოტილიებს დიდი ხნის წარსული აქვს. ჯერ კიდევ ძველ დროში რომაელები ხომალდებს დუნაიზე, რაინზე, ევფრატსა თუ სხვა მდინარეებზე ჯარების, პროვიანტის, აღალისა და საალყო მანქანების ტრანსპორტირებისათვის იყენებდნენ.

საბრძოლო მოქმედებათა მასშტაბების გაზრდამ და ცეცხლსასროლი იარაღის გამოჩენამ სამდინარო ფლოტილიებს სამოქმედო არეალი ბევრად გაუფართოვა და მასში შევიდა: მოწინააღმდეგის საზღვაო, სახმელეთო, საზღვაო-სახმელეთო და სამდინარო ძალებთან ბრძოლა, მოწინააღმდეგის ზურგში გასვლა და პოზიციების საცეცხლე დამუშავება, დესანტის გადასხმა, ხიდებისა და სატრანსპორტო მიმოსვლის საშუალებათა განადგურება, ჯარების გადაყვანა, ნაღმებიანი ღობურების დაყენება, მდინარეების განაღმვა, დივერსიული ოპერაციები, სატრანსპორტო გემების გაცილება და ა.შ..

ფლოტილიებმა შესამჩნევი როლი ითამაშეს რუსეთ-თურქეთის 1828 წლისა და 1877-78 წლების ომებში, ამერიკის 1861-65 წლების სამოქალაქო ომში, პირველ და მეორე მსოფლიო ომებში, საბჭოთა სამოქალაქო ომში და სხვ..

მდინარეებზე სამოქმედო სივრცის შეზღუდულობა ხომალდების სიჩქარესა და მანევრულობაზე მოქმედებდა, ხოლო მოპირდაპირე მხარეს, პირიქით, უპირატესობასა და სახმელეთო არტილერიის ეფექტიანად გამოყენების პირობებს უქმნიდა.

ამერიკის სამოქალაქო ომში პირველად გამოჩნდა მსხვილკალიბრიანი 500 მმ-იანი და 375 მმ-იანი გლუვლულიანი ქვემეხები, რომლებიც შესაბამისად 453 კგ-იან და 180 კგ-იან ჭურვებს ისროდა. ამ მასის ცეცხლგამჩენი ან ფეთქებადი ჭურვის ხისკორპუსიანი გემისათვის მოხვედრა რასაც ნიშნავდა, ადვილი მისახვედრია.



მისისიპის სამდინარო სამხედრო ფლოტი ორთქმავალი გემებით იყო შეიარაღებული

სწორედ ამერიკის სამოქალაქო ომმა მოიტანა ხომალდების დაცვის ახალი საშუალებები, რითაც სამხედრო გემთმშენებლობაში ახალი ეპოქა დაიწყო.

საომარ მოქმედებებში მდინარე მისისიპი აჯანყებული სამხრეთის შტატებისათვის მთავარი სატრანსპორტო არტერიის ფუნქციას ასრულებდა და მასზე გასვლა ჩრდილოელების ერთ-ერთი მთავარი მიზანი იყო.

მისისიპამდე მისაღწევად ჯერ სხვა, შედარებით თავთხელი მდინარეების გადალახვა იყო საჭირო, მაგრამ მდინარეთა არასაკმარისი სიღრმეები ხრახნიანი გემების გამოყენებას გამორიცხავდა. გამოსავალი ბორბლიანი გემები იყო, მაგრამ მათ ბორტებზე ან კიჩოებზე დამაგრებული წამყვანი ბორბლები არტილერისტებისათვის საუკეთესო სამიზნეს წარმოადგენდა და ერთი ზუსტი გასროლა გემის შესაჩერებლად სრულიად საკმარისი იყო.

ამიტომ გადაწყდა ხის მასალისაგან აგებული ხომალდების რკინის ჯავშნით შემოსვა.

1861 წლის 20 აპრილს სამხრეთელებმა ჩრდილოელებს სამხედრო-საზღვაო ბაზა გოსპორტი წაართვეს, სადაც დაზიანებული რამდენიმე ხომალდი აღმოჩნდა. ერთ-ერთ მათგანს ორთქლისძრავიან ძველ ფრეგატ „მერიმაკს“ ისტორიამ ახალი ტიპის ხომალდად გადაკეთება არგუნა. ბრიტანელთა დახმარებით ხომალდის გემბანი და ქვემეხების სადგომები გარედან დახრილი რკინის ფილებით შეიმოსა. მოიხსნა ანძები, იალქნები და ტაკელაჟი. ცურვას ორთქლზე მომუშავე არცთუ საიმედო ორი ორცილინდრიანი ძრავა უზრუნველყოფდა, რომლითაც უკეთეს შემთხვევაში 9 კვანძის ჩვენება ხერხდებოდა.

ჯავშნოსანს სახელად „ვირჯინია“ დაერქვა, ზემოდან ის რკინის სკივრს კი ჩამოჰგავდა, მაგრამ მის სახომალდო არტილერიას – ექვს 228 მმ-იან, ორ 178 მმ-იან და ორ 152 მმ-იან ქვემეხს ფედერალების მთელი ფლოტის განადგურება შეეძლო. „ვირჯინიის“ შეიარაღებას აგვირგვინებდა ანტიკური ხანის ხომალდების მთავარი ატრიბუტი 60 სანტიმეტრი სიგრძისა და 1,5 ტონის ტარანი.

„ვირჯინიის“ ამბავი ჩრდილოელებისათვის ცნობილი გახდა და ასეთივე ხომალდის შექმნის პროექტი ნიჭიერ შვედ ინჟინერს, ჯონ ერიქსონს დაევალა.

ჩრდილოელთა ჯავშნოსანი „მონიტორი“ სწრაფად აიგო – ის 1862 წლის 15 თებერვალს ცურვისათვის მზად იყო. სიახლე იყო მბრუნავ კოშკურაში დაყენებული ორი 279 მმ-იანი ქვემეხი, რითაც ხომალდს ხელსაყრელი პოზიციის დასაკავებლად რთული მანევრების შესრულება აღარ დასჭირდებოდა.

1862 წლის 9 მარტს ჰემპტონის რეიდზე, ათასობით კაცის თვალწინ, ერთმანეთს ორი დაჯავშნული ხომალდი დაუპირისპირდა. ჩრდილოელთა „მონიტორისა“ და სამხრეთელთა „ვირჯინიის“ ოთხსაათიანმა დუელმა ხომალდები ძალზე დაა-



ამერიკის სამოქალაქო ომის დროინდელი ჯავშნოსანი „ესექსი“

ეროვნული ბიბლიოთეკა



კაზაკების თანამედროვე შთამომავალი ბათუმის სიახლოვეს



კაზაკების ნავი „სპასი“ წყალში ჩაშვების წინ

ზიანა, მაგრამ ჩაძირვას ორივე გადაურჩა. პირველად საზღვაო ომების ისტორიაში ჯავშანმა ჭურვს აჯობა.

ჰემპტონის ბრძოლამ და ჯავშნის შესაძლებლობებმა გემთმშენებლობაზე უზარმაზარი გავლენა იქონია. გემთსაშენები რკინისა და დაჯავშნული ხომალდების აგებაზე გადავიდნენ.

1862 წლის აპრილში ჩრდილოელთა შეკვეთით სამდინარო დაჯავშნული ხომალდის „ოზორიკის“ პროექტი მომზადდა. ორი 279 მმ-იანი ქვემეხი დაჯავშნულ კოშკურაში, ერთი 254 მმ-იანი ქვემეხი გემბანზე და სამი 229 მმ-იანი ქვემეხი ხომალდის დაჯავშნულ კაზემატებში დაიდგა. 1,5 მეტრი წყალჯდომის მქონე ხომალდი ოთხი 2,13 მეტრი დიამეტრის მქონე ხრახნებით დაცურავდა და თითოეული წყლის ზედაპირიდან 70 სანტიმეტრით იყო ამოწეული.

ჩრდილოელთა სამდინარო ჯავშნოსნების პირველი მნიშვნელოვანი ოპერაცია მდინარე ტენესის მარჯვენა ნაპირზე მდებარე და ძლიერად დაცული ფორტ ჰენრის შტურმში სახმელეთო ჯარებთან ერთობლივი მონაწილეობა იყო.

1862 წლის 3 მარტს მდინარეების მისისიპისა და ტენესის შესაყართან, ქალაქ კეიროდან ჩრდილოელთა ხომალდების რაზმი მდინარე ტენესის აუყვა. მეორე დღეს სამდინარო ჯავშნოსნებმა „ესექსმა“, „ცინცინატიმ“, „კარონდელმა“ და „დე კალბმა“ დაახლოებით 450 მეტრიდან ფორტის მიმართულებით ძლიერი ცეცხლი გახსნეს. საპასუხო ცეცხლმა მწყობრიდან გამოიყვანა „ესექსი“, რომელსაც ჭურვი საქვაბე განყოფილებაში მოხვდა. ხომალდმა სვლა დაკარგა და მდინარის დინებამ წაიღო.

სხვა ჯავშნოსნები სროლას განაგრძობდნენ. ხომალდებს ბევრი ჭურვი მოხვდა, მაგრამ ჯავშნის გარღვევა ვერც ერთმა ვერ შეძლო.

მდინარე მისისიპიზე ომის სიმძიმის დიდმა ნაწილმა სამდინარე ჯავშნოსანმონიტორებზე გადაიარა და სამი მათგანი დაიღუპა. მათ შორის იყო „კეირო“, რომელიც 1862 წლის 12 დეკემბერს მისისიპის შენაკად იაზუზე, ვიკსბერგის მახლობლად, ნაპირიდან მართვადი ნაღმით ააფეთქეს და ისტორიაში ნაღმზე აფეთქებულ პირველ საბრძოლო ხომალდად შევიდა. დარჩენილი ხომალდები საარტილერიო ცეცხლმა გაანადგურა.

მრავალრიცხოვანი სამდინარო ბატალიებით აღინიშნა რუსეთ-თურქეთის 1877-78 წლების ომი. ევროპის უდიდეს მდინარე დუნაიზე თურქებმა ძლიერი და მრავალრიცხოვანი ფლოტილია შექმნეს, რომელიც 2 მონიტორს, 2 კორვეტს, 5 დაჯავშნულ საკანონერო ნავს, 4 ბორბლებიან ორთქლმავალს, 4 ხის საკანონერო ნავს, 1 რკინით დაჯავშნულ საკანონერო ნავს, 9 სატრანსპორტო ორთქლმავალს, 17 პატარა გემსა და სხვა მცურავ საშუალებებს აერთიანებდა.

ფლოტილიის ნეიტრალიზაციის გარეშე რუსეთის არმია დუნაის ფორსირებას ვერ აჰერხებდა. არადა ძალებით შეზღუდულ რუსებს მხოლოდ ნაღმების ღობურების, ბუქსირებადი ნაღმებით აღჭურვილი კატარღებისა და სანაპირო მძიმე არტილერიის გამოყენება შეეძლოთ.

ამ ძალებით რუსებმა რამდენიმე გამარჯვებას მაინც მიაღწიეს. 1877 წლის 29 აპრილს დუნაიზე მაჩინის ტოტში შემოსულ თურქულ დაჯავშნულ კორვეტს „ლიუფტი ჯელილს“ (წყალწყვა 2500 ტონა, შეიარაღება ორი 9-დუიმიანი და 3 მცირეკალიბრიანი ქვემეხი, ბორტი 127 მმ-იანი ჯავშნით იყო დაცული) სანაპირო არტილერიამ ცეცხლი გაუხსნა. ორი ჭურვი კორვეტს მოხვდა და ააფეთქა. 218-კაციანი ეკიპაჟიდან გადარჩენა მხოლოდ ერთმა მატროსმა მოახერხა.

13-14 მაისს რუსულმა სანაღმო კატარღებმა „ცესარევიჩმა“ „ქსენიამ“, „ჯიგიტმა“ და „ცარევნამ“ ისევ მაჩინის ტოტში დამალულ თურქულ ხომალდებს შეუტიეს. „ცარევიჩი“ მონიტორ „სეიფისკენ“ (წყალწყვა 410 ტონა, შეიარაღება ორი 121 მმ-იანი ქვემეხი, ბორტს 102 მმ-იანი ჯავშანი იცავდა) დაიძრა. თურქებმა კიჩოს მხრიდან ცეცხლის გახსნა სცადეს, მაგრამ ქვემეხმა სამჯერ უმტყუნა და გასროლა არ მოხდა. რუსმა მეზღვაურებმა ჭოკზე დამაგრებული ნაღმით მონიტორის კორპუსი ააფეთქეს. გაისმა ძლიერი ხმა და წყლის უზარმაზარმა სვეტმა კატარღა ლამის ჩაძირა. მეორე ნაღმი „ქსენიამ“ აუფეთქა და მონიტორი დუნაის ფსკერისაკენ წავიდა.

XX საუკუნის დასაწყისისათვის სამდინარო ფლოტილიების მთავარი საბრძოლო ძალა მონიტორები და საკანონერო ნავები იყვნენ.

მონიტორი იყო დაჯავშნული ხომალდი, რომელიც ცურვის პირობებისა თუ გადასაწყვეტ ამოცანათა გათვალისწინებით კოშკურებში მსხვილკალიბრიან 105 მმ-იან, ან 120 მმ-იან, ან 152 მმ-იან ქვემეხებსა და ჰაუბიცებს ატარებდა.

საკანონერო ნავებს მიეკუთვნებოდა არტილერიით აღჭურვილი ყველა არა საკმარისად დაჯავშნული ხომალდი.

სამდინარო ხომალდებიდან მონიტორებზე უფრო ძლიერ არტილერიას მცურავი ბატარეები ფლობდა, მაგრამ ის ჯავშნით დაცული არ იყო. მონიტორის ერთგვარ შემცირებულ ვარიანტს ჯავშანკატარღა წარმოადგენდა.

დასახელებული კლასის ხომალდების გარდა სამდინარო ფლოტილიების შემადგენლობაში შედიოდა: შეიარაღებული სამოქალაქო გემები, სადარაჯო გემები და კატარღები, მცურავი ბაზები, მცურავი სახელოსნოები და ა.შ.

პირველი მსოფლიო ომის წინ ევროპის ქვეყნებიდან სამდინარო მონიტორებს მხოლოდ ავსტრია აგებდა. ავსტრიული მონიტორების წყალჯდომა 1 მეტრზე ოდნავ მეტი იყო, იცავდა ჯავშანი და საკმაოდ ძლიერი, 120 მმ-იანი ქვემეხებით იყო აღჭურვილი.

ავსტრიელთა მონიტორებისათვის ომი 1914 წლის 28 ივლისის ღამეს დაიწყო. ხომალდები სახმელეთო ჯარების სარდლობის დაქვემდებარებაში იყვნენ და სხვადასხვა ოპერაციაში მონაწილეობდნენ. 1914 წლის აგვისტოში მდინარე სავაზე ავსტრიელთა მე-5 არმიის გადაყვანასა და საცეცხლე მხარდაჭერას უზრუნველყოფდნენ, რომელიც ხშირად სერბთა ბატარეებთან გააფთრებული ბრძოლით მთავრდებოდა. სიძნელეს ქმნიდა მდინარის ის ადგილები, სადაც არასაკმარისი სიღრმის გამო მონიტორებს ცურვა არ შეეძლოთ.

სერბები მონიტორებთან ბრძოლის საშუალებებს ეძებდნენ და არჩევანი ნაღმებზე შეაჩერეს. წარმატებას 1914 წლის 22 ოქტომბერს მიაღწიეს, როცა რუსულ ნაღმზე მონიტორი „ტემეში" აფეთქდა. ხომალდი ჩაიძირა და ეკიპაჟიდან 30 კაცი დაიღუპა.

მონიტორებმა ავსტრიელ ქვეითებს დიდი დახმარება გაუწიეს დუნაის ფორსირებასა და 1915 წლის 6-7 ოქტომბერს ბელგრადის აღებაში, როცა ცეცხლით სერბთა ბატარეებს ანეიტრალებდნენ და ქვეით ნაწილებს რადიოკავშირით ეხმარებოდნენ.

ავსტრიელებმა მეორე მონიტორი „ინი" 1917 წლის 22 სექტემბერს რუმინეთში ბრაილოვთან ისევ ნაღმზე აფეთქების შედეგად დაკარგეს.

1918 წლის გაზაფხულზე ავსტრიელთა სამდინარო ხომალდების რაზმმა 4 მონიტორისა და 2 საპატრულო ხომალდის შემადგენლობით უკრაინის პორტები: ოდესა, ნიკოლაევი, ოჩაკოვო და ხერსონი შემოიარა. ზოგიერთი ხომალდი მდინარეების ბუგისა და დნეპრის სათავეებს აუყვა, მაგრამ რუსულ ხომალდებთან ბრძოლებზე არაფერია ცნობილი.

სამდინარო მონიტორებიდან ყველაზე დიდი და ძლიერი ხომალდები საბჭოთა კავშირში აიგო და 1942 წელს ამურის სამდინარო ფლოტილიას გადაეცა. 2400 ტონა წყალწყვის „ჰასანის", „პერეკოპისა" და „სივაშის" საცეცხლე შესაძლებლობებს 130 მმ-იანი 6 ქვემეხი უზრუნველყოფდა, მაგრამ ხომალდები ჯართად ისე დაიჭრა, რომ ძალის დემონსტრირების საშუალება არ მიეცათ.

არქაულმა და მოუქნელმა სამდინარო ჯავშნოსნებმა საზღვაო-სამდინარო სამსახური დიდი ხანია დაასრულეს, თუმცა XXI საუკუნეში ზოგიერთ მდინარეზე მონიტორები ისევ დაცურავენ და საბრძოლო დავალებებს ასრულებენ.

რუმინეთის დუნაის ფლოტილიის მთავარ დამრტყმელ ძალას მონიტორების საკმაოდ მრავალრიცხოვანი რაზმი შეადგენს. ბოლო „კოგალნიჩეანუს" სერიის 3 ხომალდი (წყალწყვა 550 ტონა) რუმინელებმა მწყობრში 1993-94 წლებში შეიყვანეს.

შედარებით მოძველებულია „ბრუტარის" (წყალწყვა 320 ტონა) სერიის 4 და V 76 პროექტის 18 (წყალწყვა 127 ტონა) ხომალდი.

რუმინული მონიტორების წყალჯდომი 0,9-დან 1,6 მეტრამდე მერყეობს და ქვეყნის ტერიტორიაზე დუნაის მთელ სიგრძეზე ცურვა შეუძლიათ. შეიარაღებაში 100 მმ-იანი ორი სატანკო კოშკურა ან 76 მმ-იანი ქვემეხები შედის. ზოგიერთ მონიტორზე „გრადის" დანადგარია დაყენებული.

ბრაზილიის ფლოტის ვეტერანი მონიტორი „პარანაიბა" (წყალწყვა 720 ტონა, წყალჯდომი 1,6 მეტრი, შეიარაღება ერთი 76 მმ-იანი ქვემეხი) მდინარე ამაზონზე 1936 წლიდან დაცურავს.

საქართველოს მდინარეებზე სამხედრო ფლოტილიის შექმნის აუცილებლობა არასოდეს დამდგარა. მტერი შემოჭრისას მეტწილად სახმელეთო გზებს ირჩევდა, ხოლო მდინარეების პატარა სიღრმეები ქვეყნის სიღრმეში დიდი წყალწყვის ხომალდებით ცურვის საშუალებას არ იძლეოდა.

საკმაოდ ძნელი იყო ნიჩბებიანი ხომალდების ხანაში აღმა ცურვა, რასაც დაკლაკნილ კალაპოტთან ერთად ჩქარი დინება, მოტაცებული ხეები, მიწა და ქვები სიძნელეს ქმნიდა.

1984 წელს ცნობილი ირლანდიელი მოგზაურის ტიმ სევერინის ცურვა „არგოთი" რიონზე დასავლეთ საქართველოს ამ უდიდესი მდინარის შესაძლებლობებზე წარმოდგენას იძლევა.

რიონზე აგებულმა ჰიდროტექნიკურმა და სატრანსპორტო ნაგებობებმა ცურვის პირობები ძველი დროისაგან განსხვავებით ბევრად შეცვალა. არგონავტების ლეგენდარული ხომალდის ასლის წყალწყვა 6 ტონა, სიგრძე 16 მეტრი და წყალჯდომი 0,3 მეტრი იყო და ასეთი ხომალდით ირლანდიელმა მოგზაურმა მხოლოდ ვანამდე მიაღწია, ზოგიერთ ადგილას ეკიპაჟსა და მოხალისეებს „არგოს" ხელით გადატანა მოუხდა.

1046 წელს რიონში ვიკინგების რაზმი ცნობილი „დრაკარებითა" და „სნეკარსებით" შემოცურდა. რაზმმა დინების საწინააღმდეგო მხარეს დაახლოებით 108 კილომეტრი გაცურა და ახლანდელი სამტრედიის რაიონის სოფელ ბაშთან გადმოსხდა.

ვიკინგების დიდი ხომალდები სიგრძეში 23,3 მეტრი და სიგანეში 5,2 მეტრი იყო. იტევდა 70 კაცს და, რაც ყველაზე საინტერესოა, მაქსიმალური 18 ტონა დატვირთვისას ხომალდის წყალჯდომი 0,9 მეტრს არ აღემატებოდა.

ხომალდებს იალქან-ნიჩბების აღჭურვილობა ჰქონდა და ნიჩბებს ვიწრო ფარვატერებში, ზღვაში არასასურველი ქარისა და ბრძოლის დროს ნაპირიდან სწრაფად



ამგვარი „დრაკარი" გამოჩნდა იმერეთის სამეფოსთან შორეულ 1046 წელს



საბრძოლო ნავი „ლიდია" რომლითაც რუსები კასპიის ზღვასა და მტკვარზე ლაშქრობდნენ

ეროვნული ბიბლიოთეკა

გაცლისათვის იყენებდნენ. რიონზე ცურვისათვის ვიკინგები, ალბათ, ნიჩბებით სარგებლობდნენ.

კაზაკებმა სახელი გაითქვეს თურქების ქალაქებსა და ციხეებზე უშიშარი თავდასხმებით შავ ზღვაში. ლაშქრობების დროს კაზაკები სანაპიროს გასწვრივ დაცურავდნენ და ხანდახან საქართველოს ტერიტორიაზე ჩერდებოდნენ.

1615 წელს ზაპოროჟიელი და დონელი კაზაკები 70 „ჩაიკით" შავი ზღვის სამხრეთ სანაპიროსაკენ დაეშვნენ და დროებით ტრაპიზონი დაიკავეს. 1616 წელს ზაპოროჟიელებმა სინოპი დალაშქრეს. 1617 წელს კაზაკები სტამბოლის კედლებთან გადმოსხდნენ. ამ პერიოდის ერთ-ერთი ლაშქრობის შემდეგ დაახლოებით 2 ათასი კაზაკი ოდიშის სანაპიროს მოადგა და იმერეთის მეფესთან შესახვედრად 40 კაზაკი „ჩაიკით" მდინარე რიონს აუყვა.

მაღალი ზღვაოსნური თვისებების მქონე კაზაკთა ხომალდებისათვის საქართველოს სანაპიროსთან ცურვა სირთულეს არ წარმოადგენდა. ამის თვალსაჩინო დემონსტრირება სულ ახლახან კაზაკების შთამომავლებმა მოახდინეს.

ლვოველმა ენთუზიასტებმა სამ წელში ააგეს XVI-XVII საუკუნეების „ჩაიკის" მსგავსი ანალოგი და სახელად „სპასი" უწოდეს. ამ სიტყვას ფართო მნიშვნელობა აქვს და მხსნელს, მაცხოვარს, ზაპოროჟიელი კაზაკებისათვის თავდაცვით მოქმედებებს ნიშნავს.

2007 წლის 20 მაისს სევასტოპოლიდან, მრავალრიცხოვან გულშემატკივართა თანდასწრებით, „სპასს" საქართველოსაკენ პირველი ლაშქრობა უკრაინის სამხედრო-საზღვაო ძალების სარდალმა, ვიცე-ადმირალმა იგორ ტენიუხმა დაულოცა.

კაზაკებს წინაპრების მსგავსად ეცვათ და იმ ეპოქის იარაღით იყვნენ აღჭურვილნი. მათ შორის იყო 6 პატარა ზარბაზანი ფალკონეტი. ბათუმამდე მისაღწევად „სპასის" ეკიპაჟს მირონ გუმენეცკოს მეთაურობით სამი დღე დასჭირდა.

XIX საუკუნის დასაწყისში, ყველაზე პატარა წყლის დროსაც კი, რიონის ფარვატერი სოფელ ბაშამდე სიგანეში 2-17 მეტრისა და სიღრმეში 1,2-8,0 მეტრის ფარგლებში იცვლებოდა, ხოლო ზოგიერთ ადგილზე სიღრმე 1 მეტრამდე კლებულობდა.

1800-1810 წლებში რიონი ვარციხემდე სანაოსნოდ ვარგისი იყო. 1804 წელს საქართველოს მთავარმართებელმა ციციანოვმა ფოთის გვერდის ავლით, რომელიც მაშინ თურქებს ეკავათ, რედუტ-ყალე მდინარეებით ხობი, ცივი და ცია პატარა არხით ჭალადიდთან რიონს დაუკავშირა. ამ გზით ყირიმიდან შემოსული რუსის ჯარი რიონით სოფელ ბაშამდე ადიოდა და შემდეგ გზას ხმელეთით აგრძელებდა.

რიონზე 1857-72 წლებში ფოთსა და ორპირს (ცხენისწყლის რიონთან შეერთების ადგილზე მდებარე ახლანდელი სოფელი საჯავახო) შორის ბორბლებიანი გემები „აკერმანი" და „ნადეჟდა" დაცურავდნენ. ორივე გემის წყალჯდომი 1,5 მეტრი იყო და კომპანია „როსიისკოე ობშჩესტვო პაროხოდსტვო ი ტორგოვლის" ეკუთვნოდა. მოგვიანებით ამავე ხაზზე გემი „კნიაზ ბარიატინსკი" გამოვიდა, რომლის წყალჯდომი 1 მეტრს არ აღემატებოდა. იგეგმებოდა მიმოსვლის გაფართოება და ამისათვის ბრიტანეთში ახალი გემი „რიონი" იგებოდა.

„აკერმანი" ბრიტანეთში იყო აგებული და მწყობრში 1857 წლის 13 სექტემბერს შევიდა. ჰქონდა 35 ცხენისძალიანი ორთქლის ძრავა. 1877 წელს თურქეთთან ომის გამო გემი სამხედრო დანიშნულებისათვის იქნა მობილიზებული.

გემები ფოთიდან სამშაბათს, ხუთშაბათსა და პარასკევს დილის 7 საათზე და ორპირიდან ოთხშაბათს, პარასკევს, შაბათსა და კვირას დილის 8 საათზე გამოდიოდნენ. რეისები ჩვეულებრივ შუადღისათვის მთავრდებოდა.

1873 წელს რკინიგზის გახსნით რიონმა სანაოსნო ღირებულება დაკარგა და მიმოსვლა შეწყდა.

ნაოსნობისათვის ბევრად უკეთესი პირობები არსებობდა მტკვრის ქვედა წელში, რასაც ისტორიული მოვლენებიც ადასტურებს. 943-944 წლებში რუსები შავი ზღვიდან ქერჩის სრუტით აზოვის ზღვაში შევიდნენ, აუყვნენ მდინარე დონს სათავისაკენ, ნავები მდინარე ვოლგაში გადაიტანეს და კასპიის ზღვისაკენ დაეშვნენ. ლაშქრობების მიზანი სიმდიდრე, ტყვეები და დიდების მოხვეჭა იყო.

რამდენიმე ხნის შემდეგ რუსებმა ნავებით მდინარე მტკვარში შემოცურეს, მოწინააღმდეგის ლაშქარი გაანადგურეს და დაიკავეს ქალაქი ბარდა. საქარავნო გზების შესაყარზე მდებარე ბარდა მაშინ მდიდარ და მსხვილ სავაჭრო-სახელოსნო ქალაქად ითვლებოდა. რუსებმა ქალაქი გაძარცვეს და მშვიდობიანი ხალხი გაწყვიტეს. ამის შედეგად ბარდამ სავაჭრო მნიშვნელობა დაკარგა.

1174 წელს რუსებმა ისევ ილაშქრეს და 73 ხომალდით კასპიის ზღვაში კუნძულ რუინასთან გამოჩნდნენ. ცურვა მტკვარზე გააგრძელეს და ქალაქ ლემბერანამდე შემოაღწიეს. გადამწყვეტ ბრძოლაში ბაქოს მახლობლად რუსები დამარცხდნენ, რასაც ფლოტის დაწვა და შირვანიდან მათი გაძევება მოჰყვა.

მტკვარზე სამდინარო ბატალიების ახალი პერიოდი 1918-21 წლებში დადგა. 1918 წლის ზაფხულში აზერბაიჯანელმა მუსავატისტებმა თურქების დახმარებით ბორბლებიანი პატარა გემები „დემოსფენი" და „ბეკეტოვი" შეაიარაღეს და ბაქოს ბოლშევიკური კომუნის წინააღმდეგ ბრძოლებში ჩართეს.

ვალში არც ბოლშევიკები რჩებოდნენ და მოწინააღმდეგეს მფრინავი ნავების საჰაერო დარტყმებით პასუხობდნენ. დაბომბვებს, როგორც მაშინ ამბობდნენ, ტერორისტული ხასიათი ჰქონდა და მუღანლოს ველზე მცხოვრები რუსი გლეხების დიდი მხარდაჭერით სარგებლობდა.

1920 წლის შემოდგომა-1921 წლის ზამთარში ირანის საზღვრის ახლოს მიმდინარე საბრძოლო მოქმედებებმა მტკვარზე სამდინარო ფლოტილიის შექმნა ისევ მოითხოვა.

1920 წლის ივნისში კასპიის ზღვის საზღვაო ძალებთან მტკვრის საზღვაო რაზმი ჩამოყალიბდა, რომელიც მე-11 არმიის ოპერატიულ დაქვემდებარებაში შედიოდა. მთავარი ბაზა სოფელ პეტროპავლოვსკოეში მდებარეობდა.

მტკვრის სამდინარო ფლოტილიის შემადგენლობაში შევიდა: საკანონერო ნავები „სალიანეცი" (ფლაგმანი) და „ბაკინეცი", შეიარაღებული გემი „ბეკეტოვი", მზვერავი კატარღები „სერეჟა", „ბარი" და „ფილატოვი", 4 შეიარაღებული ბარჟა და რამდენიმე დამხმარე გემი. ფლოტილიას ჰყავდა სადესანტო რაზმი და 1 საარტილერიო ბატარეა.

ფლოტილიის მოვალეობა მდინარე მტკვრისა და არაქსის კალაპოტებში ირანთან საზღვრის დაცვა, ქვედანაყოფების გადაყვანა, დესანტის გადასხმა, სადარაჯო სამსახური, დაზვერვა და ა.შ. იყო.

ფლოტილიისათვის განსაკუთრებით დაძაბული 1920 წლის სექტემბერ-ნოემბერი გამოდგა, როცა ირანიდან ბაგრამტაპას რაიონში 1500 ცხენოსანი შემოიჭრა. საკანონერო ნავებმა რაზმი ჯერ საარტილერიო ცეცხლში მოაქციეს და შემდეგ მატროსებმა ქვეითად შეუტიეს.

მტკვრის ფლოტილიამ არსებობა 1921 წლის თებერვალში შეწყვიტა და საქართველოს წინააღმდეგ დაწყებულ ბოლშევიკების მე-11 არმიის აგრესიაში არ მონაწილეობდა.

*თემურ ჩაჩანიძე*

# სამთო ნაწილები

**მთებში საბრძოლო მოქმედებების თავისებურებებმა სპეციალურად მომზადებული სამთო ქვედანაყოფების შექმნა მოითხოვა. ევროპის რამდენიმე ქვეყნის არმიაში ამის დიდი ტრადიციები არსებობს და მალე მათ ჩვენი ჩრდილოეთელი მეზობელიც შეუერთდება. ეს, ალბათ ერთგვარი სიგნალიც უნდა იყოს ჩვენთვის...**

2007 წლის ბოლოს რუსეთის არმიის ჩრდილო კავკასიის სამხედრო ოლქს სრულად დაკომპლექტებული ახალი შენაერთები: 33-ე და 34-ე ცალკეული სამთომსროლელი ბრიგადები დაემატება. პირველი ბრიგადა საქართველო-რუსეთის საზღვრის დაღესტნის მონაკვეთზე ბოთლიხის რაიონში, ხოლო მეორე კი – სტანიცა ზელენჩუკსკაიაში ყარაჩაი-ჩერქეზეთში განთავსდება.

ბრიგადების შტატები 4566 სამხედრო მოსამსახურეზეა გათვლილი, საიდანაც პირადი შემადგენლობის 90% უკვე შერჩეულია. მიმდინარეობს ტექნიკის, შეიარაღებისა და მატერიალურ საშუალებათა მარაგის შევსება-მიღება. ორივე შენაერთი სამხედრო ტექნიკისა და შეიარაღების 1500 ერთეულით უნდა შეივსოს. ძირითადი ობიექტები მწყობრში აგვისტოში ჩადგება. ივნისისათვის დაგეგმილია პირველი ქვედანაყოფების მიღება, რომელთა ფორმირება ოთხ სამხედრო ოლქში მიმდინარეობს.

სამთო მომზადებაში ბრიგადების პირად შემადგენლობას დახმარებას რუსეთის ალპინისტთა კავშირი უწევს. გარდა ამისა, ოფიცერთა ჯგუფმა მომზადება საფრანგეთში გაიარა. კიდევ ერთი ჯგუფი მომზადებას უზბეკეთში, საბჭოთა არმიის ყოფილ სასწავლო ცენტრში გადის.


გერმანელი სამთომსროლელი

დიდი ყურადღება დაეთმო პირადი შემადგენლობის ეკიპირებას, რისთვისაც შეირჩა საუკეთესო იტალიური სამთო ფეხსაცმელები, ფრანგული ალპინისტური დამზღვევი მოწყობილობები, შვეიცარიული მზის სათვალეები და ა.შ. რუსული წარმოების იქნება კარვები, საძილე ტომრები, კამუფლირებული ტანსაცმელი, დათბუნილი ქურთუკები, შალის საცვლები და აშ..

ერთი სამთო მსროლელის კომპლექტი 140 ათასი რუბლი, ანუ 5.400 დოლარი დაჯდა, რაც ცოტა არ არის. ალპინისტურ აღჭურვილობას სპორტსმენი-ალპინისტები, ფორმის ტანსაცმელს კი ჯარისკაცები ირჩევდნენ.


„ედელვაისის“ მოტორიზებული ქვედანაყოფი მარშის დროს

1967 წელს საბჭოთა კავშირში სამთომსროლელი შენაერთები გაუქმდა და მისი ფუნქციები ჩვეულებრივ მოტომსროლელ ქვედანაყოფებზე გადავიდა. ამ გადაწყვეტილების უარყოფითი შედეგი ძალიან მალე ავღანეთის ომში გამოვლინდა. მდგომარეობის გამოსწორებას საჰაერო-სადესანტო ჯარების ხარჯზე შეეცადნენ, მაგრამ ამან სასურველი ეფექტი არ მოიტანა.

მთებისათვის სპეციალურად მომზადებულ სამთომსროლელებს რომ ჩვეულებრივ ქვეითებთან შედარებით დიდი უპირატესობა აქვთ, ამის ძალიან კარგი გაკვეთილი მეორე მსოფლიო ომის დროს გერმანელებმა საბჭოთა არმიას კავკასიისათვის ბრძოლებში ჩაუტარეს.

1942 წლის აგვისტოში კავკასიასთან გერმანიის არმიის 49-ე სამთო კორპუსის 1-ლი და მე-4 სამთომსროლელი დივიზიები გამოჩნდნენ. 1-ლი დივიზია მარუხის, ქლუხორის, ჩიპერ-აზაუს უღელტეხილების რაიონებში და მე-4 დივიზია პსეაშხა-სანჩაროს მიმართულებით მოქმედებდა.

დივიზიათა პირადი შემადგენლობის დიდ ნაწილს პროფესიონალი ალპინისტები შეადგენდნენ, რომლებსაც 1939-40 წლების ბალკანეთისა და ნორვეგიის კამპანიები მოვლილი ჰქონდათ. ფლობდნენ მთებსა და დაღარულ რელიეფზე სამოქმედოდ აუცილებელი ცოდნა-გამოცდილება, ხოლო ეკიპირებაში იარაღთან ერთად ალპინისტური აღჭურვილობაც შედიოდა. ფიზიკურად კარგად მომზადებული გერმანელები მაღალკალორიულ საკვებს იღებდნენ და სამთო პირობებისათვის მოსახერხებელ ფორმის ტანსაცმელს ატარებდნენ. თავზე კეპები ეხურათ მთის შროშანის, ედელვაისის გამოსახულებით.

მთებში სამთომსროლელებისათვის გადაულახავი სიძნელეები არ არსებობდა და საბჭოთა ქვეითები ერთი შეხედვით მიუდგომელი ადგილებიდან მოულოდნელ დარტყმებს ხან ფლანგებზე და ხან ზურგში იღებდნენ.

1942 წლის 21 აგვისტოს 1-ლი დივიზიის სამთომსროლელთა რაზმმა ჰაუპტმან გროტას მეთაურობით იალბუზზე სვასტიკიანი დროშა აღმართა.

გერმანელთა წარმატებებს საბჭოთა სარდლობის დაუდევრობაც ხელს უწყ-

ეროვნული ბიბლიოთეკა

ობდა. საბჭოთა გენერლები კავკასიის მთებს გადაულახავად თვლიდნენ და უღელტეხილების ნაწილი სუსტად დაცული ან საერთოდ დაუცველი დატოვეს. ამიერკავკასიის სამხედრო ოლქის სამთო დივიზიები ჯერ კიდევ ომის დასაწყისში სხვადასხვა ფრონტის გასაძლიერებლად გაიგზავნა.

გერმანული სამთომსროლელი დივიზია დაახლოებით 14 ათას კაცს ითვლიდა. მასში ორი სამთომსროლელი და ერთი საარტილერიო პოლკი, ტანკსაწინაალმდეგო დივიზიონი, აგრეთვე კავშირის, მესანგრეთა, საველე-სათადარიგო, ზურგის, თვითმგორავთა ბატალიონები შედიოდა.

მთებში ბრძოლისათვის პირადი შემადგენლობა ძირითადად შაშხანებსა და კარაბინებს იყენებდა, ხოლო საცეცხლე მხარდაჭერას დაზგის ტყვიამფრქვევები, 37 მმ-იანი ტანკსაწინაალმდეგო თოფები, 50 მმ-იანი და 81 მმ-იანი ნაღმსატყორცნები, 75 მმ-იანი და 150 მმ-იანი სამთო ქვემეხები, 105 მმ-იანი და 150 მმ-იანი სამთო ჰაუბიცები, 29 მმ-იანი საზენიტო და 7,92 მმ-იანი ოთხლულიანი ავტომატები უკეთებდა. ეს შეიარაღება გერმანელებს საბჭოთა მებრძოლებზე ნებისმიერი ადგილიდან ზემოქმედების საშუალებას აძლევდა.

სამთო ნაღმსატყორცნები და ქვემეხები დაშლილ მდგომარეობაში სასაპალნე ცხოველებს გადაჰქონდათ. დივიზიას შტატით 4300 ცხენი და 550 ჯორი ეკუთვნოდა. კიდევ 1500 ცხენი ხალხის გადასაყვანად გამოიყენებოდა.

კავკასიისათვის ბრძოლებში გერმანელთა 1-ლი სამთომსროლელი დივიზიის შემადგენლობაში კავკასიური ფორმირებების 796-ე ქართული და 808-ე სომხური ბატალიონები შევიდა. ბატალიონებს სამთო მომზადების კურსი ჰქონდათ გავლილი, მაგრამ ფრონტზე მოხვედრის შემდეგ რეორგანიზაცია ჩაუტარდა და ჩვეულებრივ ქვეით ნაწილებად გადაკეთდა.

სოხუმის მიმართულებით მე-4 სამთომსროლელი დივიზიის შემადგენლობაში კავკასიური ფორმირებების 804-ე აზერბაიჯანული ბატალიონი მოქმედებდა და დიდი დანაკარგებიც განიცადა.

1942 წლის სექტემბერში გერმანელებმა მოზდოკის რაიონში „ბერგმანის" ბატალიონის IV ქართულ-სომხური ასეული გადმოიყვანეს, რომელსაც იალბუზის მიდამოებში უნდა ემოქმედა. საქართველოს სამხედრო გზის დაკავებაში „ბერგმანის" V ასეულისა და პოლკ „ბრანდენბურგ 800"-ის ერთობლივი მოქმედება იყო დაგეგმილი.

კავკასიურ ფორმირებებში გერმანელთა მხარეს გადასული და ემიგრანტი ქართველები, აზერბაიჯანელები, სომხები და სხვა კავკასიური ერების წარმომადგენლები მსახურობდნენ, ხოლო სამეთაურო თანამდებობები გერმანული სამთომსროლელი დივიზიების ოფიცრებს ეკავათ.



გერმანული ზარბაზნები კავკასიონს გადმოჰყურებდნენ

შეიარაღებაში შედიოდა: საბჭოთა ნადავლი იარაღი, 7,92 მმ-იანი კარაბინი „მაუზერი" 98K (იოლად დგებოდა ოპტიკური სამიზნე), 7,92 მმ-იანი თვითდამტენი შაშხანა „ვალტერი" G-41(W), ხელის მსუბუქი ტყვიამფრქვევი MG-34/41 (სამთო ნაწილებისათვის მსუბუქი და მოკლელულიანი მზადდებოდა), 1936 წლის მოდელის 50 მმ-იანი ნაღმსატყორცნი (იყო ადვილად გადასატანი და ზუსტად ისროდა).

კავკასიის მისადგომებთან 1942 წლის ზაფხულში გერმანელთა მხარეს რუმინელთა მე-2 სამთომსროლელი დივიზიის ნაწილებიც იბრძოდნენ.

მომზადებისა და შეიარაღების მხრივ საბჭოთა სამთომსროლელი და ჩვეულებრივი მსროლელი დივიზიები ერთმანეთისაგან ბევრი არაფრით განსხვავდებოდა, ბრძოლებში დიდ დანაკარგს განიცდიდნენ, უკან იხევდნენ და მთებში ბრძოლის ხერხებს უშუალოდ საბრძოლო მოქმედებებისას ითვისებდნენ.

სამთო პირობების თავისებურებებმა და განცდილმა მარცხმა სასწრაფოდ სპეციალური ფორმირებების შექმნა მოითხოვა. მაშინდელ შინაგან საქმეთა სახალხო კომისარ ლავრენტი ბერიას მითითებით 1942 წლის აგვისტოში ბაკურიანში სამხედრო ალპინიზმისა და სამთოსათხილამურო სკოლა ჩამოყალიბდა. სკოლას სათავეში ცნობილი ალპინისტი ევგენი აბალაკოვი ჩაუდგა. იქ ქართველი ალპინისტებიც, ბექნუ და გაბრიელ ხერგიანები ასწავლიდნენ.

ფრონტის ყველაზე რთულ მონაკვეთებზე სამოქმედოდ იქმნებოდა ცალკეული სამთო რაზმები გამოცდილი ინსტრუქტორ-ალპინისტების ხელმძღვანელობით, სადაც ფიზიკურად ძლიერი და მომზადებული მებრძოლები მსახურობდნენ.

1942 წლის 5 სექტემბერს, სოხუმზე გასვლის მიზნით, გერმანელთა 1-ლი სამთომსროლელი დივიზია მარუხის მიმართულებით შეტევაზე გადავიდა. უღელტეხილს 808-ე და 810-ე მსროლელი პოლკების ქვედანაყოფები იცავდნენ, რომლის რიგებში მრავალი ქართველი იბრძოდა, გამოცდილ გერმანელებთან შეტაკებებში ბევრი მათგანი დაიღუპა.

ომის ბოლოს, როცა გერმანიის არმია ცოცხალი ძალის დიდ ნაკლებობას განიცდიდა, სამთომსროლელებს ფრონტზე ბრძოლამ ჩვეულებრივი ქვეითების მსგავსად მოუწიათ. სამთო ნაწილებს მძიმე შეიარაღება არ ჰქონდათ და ამის გამო დიდ დანაკარგს განიცდიდნენ.

თანამედროვე მაღალტექნოლოგიური საბრძოლო მოქმედებები კვლავინდებურად საჭიროებს მსუბუქად შეიარაღებულ სამთოქვეითებს. NATO-ს წევრი ქვეყნებიდან თითო-თითო სამთოქვეითი ბრიგადა შედის გერმანიის ფედერაციული რესპუბლიკის, ესპანეთის, პოლონეთის, რუმინეთისა და საფრანგეთის სახმელეთო ჯარების შემადგენლობაში. იტალიის სახმელეთო ჯარებს სპეციალური ალპური ჯარები ჰყავს, რომელშიც 3 ალპური ბრიგადა, საინჟინრო პოლკი, საარმიო ავიაციის პოლკი და ალპური საპარაშუტო ბატალიონი შედის.

ნეიტრალური შვეიცარიის არმიაში სამთოქვეითი ნაწილები ტრადიციულად მნიშვნელოვან ძალას ქმნიდა და ამჟამად მის შემადგენლობაში სამი ბრიგადა ირიცხება.

საფრანგეთის არმიის ერთ-ერთი საუკეთესო შენაერთია 27-ე სამთოქვეი-

ეროვნული ბიბლიოთეკა

თი ბრიგადა, რომელიც აერთიანებს ჯავშანსაკავალერიო, სამ სამთოქვეით, საარტილერიო და საინჟინრო პოლკებს, მართვისა და უზრუნველყოფის ასეულებს, სადაზვერვო ესკადრონს, ტანკსაწინააღმდეგო დივიზიონსა და შვეულმფრენთა ესკადრილიას.

ჯავშანსატანკო პოლკში 700 კაცი მსახურობს და აღჭურვილია 36 საბრძოლო მანქანა ERC-9-ით, ჯავშანტექნიკის 100-მდე ერთეულით, 120 ავტომობილითა და სხვა ტექნიკით.

სამთოქვეითი პოლკი 1000-ზე მეტ კაცს ითვლის და შეიარაღებაში აქვს ჯავშანტექნიკის 100-მდე ერთეული 120 მმ-იანი და 81 მმ-იანი ნაღმსატყორცნი, 140 ავტომობილი, ტანკსაწინააღმდეგო კომპლექსები და ა.შ.

საჰაერო და სახმელეთო სატრანსპორტო საშუალებათა დიდი შესაძლებლობების მიუხედავად, მთებში სასაპალნე ცხენები, ვირები და ჯორები შეუცვლელია. ცხოველებს 50-90 კგ ტვირთის 4500-5000 მეტრ სიმაღლეზე ატანა შეუძლიათ. ჯორი შედარებით იოლად იტანს სიცხეს, საკვებისადმი ნაკლებად მომთხოვნია, უფრო გამძლეა, საათში 10-12 კილომეტრის გავლას ახერხებს და რაც მთავარია, სროლისა და აფეთქების არ ეშინია.

ასეთი თვისებების გამო ავღანეთში ამერიკელმა საზღვაო ქვეითებმა მთებში საკვებისა და წყლის გადასაზიდავად 30 ვირი დაიქირავეს. ამერიკელთა სარდლობის განცხადებით, ვირებით ტვირთის გადატანა, ავიაციასთან შედარებით, ბევრად უფრო იაფია.

ქართულ არმიაში სამთო ქვედანაყოფად საჩხერის მე-16 სამთო სპეციალური დანიშნულების ბატალიონი ჩამოყალიბდა, რომელიც თავის ისტორიას 1990 წლის 13 მაისიდან იწყებს.

საფრანგეთის დახმარებით 2006 წლის 22 აგვისტოს საჩხერეში სამთო მომზადების სკოლა გაიხსნა, სადაც ერთდროულად 127 კაცის მომზადება შეიძლება.

საჩხერის სკოლის საერთაშორისო ავტორიტეტი საკმაოდ მაღალია. ახლახან სტუმრად მყოფმა ხორვატებმა 2008 წელს საჩხერეში ერთი ოცეულის მომზადების სურვილი გამოთქვეს...

სკოლაში ფრანგი ინსტრუქტორების ხელმძღვანელობით მსმენელები სამთო მომზადების თეორიულ და პრაქტიკულ კურსებს გადიან, სწავლობენ ალპინისტური აღჭურვილობის გამოყენებას, კლდეზე ცოცვას, დაბრკოლებების გადალახვას, გადაადგილებას თოვლში, სამაშველო ოპერაციებსა და ა.შ..

*თემურ ჩაჩანიძე*

# მსტოვრობის ისტორია საქართველოში

***გაგრძელება***

## მსტოვრობა თამარ მეფის ეპოქაში

1184-1185 წლებში საქართველოში პოლიტიკური ქაოსი და შინაპოლიტიკური დაპირისპირება იყო. ამის მიზეზი ძალაუფლების მრავალი ცენტრის (თამარ მეფე, პირველი ვაზირი და კათოლიკოსი მიქაელი, თამარის მამიდა, დედოფალი რუსუდანი და დიდგვაროვან ფეოდალთა სხვადასხვა დაჯგუფება) არსებობა იყო. სამწუხაროდ, ახალგაზრდა მეფეს ქვეყნის მართვის არც დიდი გამოცდილება ჰქონდა და, როგორც ჩანს, არც ერთგული დიდებულები ედგნენ გვერდით რჩევის მისაცემად. ყველა ჯგუფი ცდილობდა პოლიტიკურ და ეკონომიკურ გაძლიერებასა და ძალაუფლების განმტკიცებას. ამ ვითარებაში მეფეს დაქვემდებარებულ ერთიან ჯარსა და მსტოვართა ქსელზე ლაპარაკიც კი ზედმეტია. წინააღმდეგ შემთხვევაში, თამარ მეფის საწინააღმდეგო გადაწყვეტილების მიღებას ვინ გაბედავდა?

ალბათ, ამიტომაც იყო, რომ 1184-1185 წლებში არც ერთი ლაშქრობა არ ჩატარებულა. ყველა რესურსი შიდადაპირისპირებასა და ბრძოლებზე იხარჯებოდა. გამეფებიდან ორ წელიწადში თამარის სამეფო ხელისუფლების სისუსტე იმითაც დადასტურდა, რომ მისი გათხოვება პირველი ვაზირისა და კათოლიკოს მიქაელის მონდომებით თამარის გარეშე გადაწყვიტეს და სასიძოს ჩამოსაყვანად ხალხიც გაგზავნეს. ამ „სპეცოპერაციის“ მოთავეებმა საკმაოდ კარგად გათვალეს ყველა სვლა და თავდაპირველად წარმატებაც მათ მხარეს იყო. გეგმის მიხედვით, პირველ ეტაპზე თამარ მეფის სასწრაფო გათხოვების აუცილებლობა წამოსწიეს წინ. ისინი „უშვილობასა მოახსენებდეს, სახლისა მისისა უნაყოფობასა დრტვინავდეს, წინამძღვარსა სპათასა ითხოვდეს“ (ქართლის ცხოვრება, ტომი II, გვ. 120). ამ არგუმენტების შემდეგ „ძებნა და მოყვანა ქმრისა“-ღა იყო დარჩენილი. მათ უკვე შერჩეული ჰყავდათ სასიძო, საჭირო იყო მისი წარმომავლობის, სამხედრო და პოლიტიკური გავლენისა და ძლიერების წარმოჩენა. „მიქაელის დასმა“ აქ უკვე კლასიკურ დეზინფორმაციას მიმართა და არარსებული რეალობად გაასაღა.

## აბულასანის დეზინფორმაცია

ამირამ ქართლისა და ტფილისისამ აბულასანმა ასე დაახასიათა სიძეობის კანდიდატი: „მე ვიცი შვილი ხელმწიფისა ანდრია დიდისა რუსი მთავრისა, რომელსაც მონებენ სამასნი მთავარნი რუსთანი. და იგი, მცირე დარჩომილი მამისგან, ექსორია-ქმნით დევნული გარდმოიხვეწა ბიძისა, სალავათად სახელწოდებულისაგან. და არს იგი ყივჩაღთა მეფისა სევინჯისა ქალაქსა“ (დასახელებული წყარო, გვ. 36).

აბულასანს სასიძო ბიძისგან გაძევებულად, მაგრამ მაინც ძლიერი მთავრის შვილად და თამარის საკადრისად ჰყავს წარმოჩენილი. მაშინ როცა სასიძოს მამა, დიდი მთავარი ანდრია ბოგოლუბსკი უკვე 11-12 წლის გარდაცვლილი იყო და მისი დიდებიდან და სიძლიერიდან არარა იყო დარჩენილი. მისი შვილებიც წიწილებივით მიმოეფანტა ანდრიას უმცროს ძმას ვსევოლოდს (სალავათს). ასე რომ, ლტოლვილი იური ბოგოლუბსკი ვერანაირი კრიტერიუმით ვერ ჩაითვლებოდა ახლო აღმოსავლეთის ერთ-ერთი ყველაზე ძლიერი სახელმწიფოს მეფექალის შესაფერის საქმროდ.

## ზანქან ზორაბაბელის საიდუმლო მისია

საქართველოს პირველი ვაზირი და იმავდროულად კათოლიკოს-პატრიარქი მიქაელი პოლიტიკური გათვლების ხორცშესხმას ჩქარობდა.

ყივჩაღეთში სასწრაფოდ დიდვაჭარი ზანქან ზორაბაბელი გაგზავნეს და მანაც „მსწრაფლ მისრულმან ცვალებითა ჰუნეთათა წამოიყვანა და მოიყვანა“ (დასახელებული წყარო, გვ. 37) იური ანდრიას ძე ბოგოლუბსკი. რას ჩქარობდნენ ის ოჯახაშენებულები, მომავალ სიძეს, ყივჩაღეთში გადახვეწილ იური რუსს დედოფლების რიგი ედგა და მოსწრებაზე იყო საქმე? თამარის პირველი ისტორიკოსი წერს: „პატრიარქმან, დიდე-

ეროვნული ბიბლიოთეკა



ბულთა, ვაზირთა და სპათა მოახსენეს თამარსა და მათგან ნება დაურთავი განამზადეს ქორწილი“ (დასახელებული წყარო, გვ. 37).

თამარი გოდებდა: „კაცნო, ვითარ ღირს არს შეუტყვებელი ესე ქმნად? არა ვიცით კაცისა ამის უცხოსა ქცევა და საქმე, არცა მხედრობისა, არცა ბუნებისა, და არცა ქცევისა. მაცალეთ, ვიდრემდის განიცადოთ ყოველთა სიკეთე, გინა სიდრკუე მისი“ (დასახელებული წყარო, გვ. 120). არ შეისმინეს. თამარის აშკარა და დაუფარავი წინააღმდეგობის მიუხედავად, აიძულეს იური რუსს გაჰყოლოდა ცოლად. ქვეყნისთვის მართლაც საჭირბოროტო, მაგრამ ამევე დროს ძალზე ფაქიზი და პირადული საკითხი – საქმროს არჩევა და გათხოვებაც კი თამარის მოწინააღმდეგეთა დასმა საკუთარი პოლიტიკური მიზნების მისაღწევად გამოიყენა.

ჩვენი აზრით, თამარისთვის საქმროს შერჩევაში აბულასანი ძალზე გავლენიანი პოლიტიკური დასის სურვილს ახმოვანებდა. ასეთი გავლენიანი პიროვნება იმ პერიოდში მხოლოდ მიქაელ მირიანისძე იყო, რომელიც ორივე უმაღლეს – საერო და საეკლესიო თანამდებობებს ერთდროულად ფლობდა.

საკამათო არ უნდა იყოს, რომ 1184-1185 წლებში საქართველოს პირველი ვაზირი, თამარის ერთგული ანტონ გლონისთავისძე რომ ყოფილიყო, ახალგაზრდა მეფეს ძალად ვერ გაათხოვებდნენ. იური რუსის თამარ მეფის ქმრად ყოფნის პერიოდში (1185-1187-1188 წწ.) აბულასანმა ერისთავთერისთავობასა და მეჭურჭლეთუხუცესობას მიაღწია. იგი იურის ერთგული მსახური იყო, მისი წინადადებით ჩამოიყვანეს სიძედ და უეჭველია, მანამდე იცნობდა კიდეც. მისი კარიერა იურის გაძევებასთან ერთად დასრულდა.

თამარის პოლიტიკურმა მოწინააღმდეგეებმა ტყუილ-მართლით შეძლეს იური ანდრიას ძის ერთადერთ და ყველაზე შესაფერის სასიძოდ წარმოჩენა. საინტერესოა, მართლაც ასე აუცილებელი და საჩქარო იყო 18-19 წლის თამარ მეფისთვის ცხრა მთას იქიდან საქმროს ჩამოყვანა?

## დამოყვრება, როგორც სამხედრო-პოლიტიკური სტრატეგია

სხვადასხვა ქვეყნის სამეფო ოჯახებს შორის დამოყვრება დიდი სამხედრო და საგარეო-პოლიტიკური მიზნით ხდებოდა. ამგვარი ფაქტები უძველესი დროიდან არის ცნობილი. ამ სტრატეგიას ქართველი მეფეებიც ხშირად იყენებდნენ, უფრო ხშირად მოკავშირეებთან, ხანდახან კი გუშინდელ მტრებთან სამხედრო-პოლიტიკური ურთიერთობების გასამტკიცებლად თუ ზავისა და მშვიდობის შესანარჩუნებლად.

გავიხსენოთ თუნდაც ის ფაქტი, რომ გიორგი I-ს ცოლად ჰყავდა სომეხთა მეფე სენაქერიმის ასული მარიამი, ხოლო შემდეგ ოსთა მეფის ქალიშვილი ალდე. ბაგრატ IV-ს მეუღლე ელენე ბიზანტიის იმპერატორ რომანოზ III-ს ძმისშვილი იყო. მისი გარდაცვალების შემდეგ ცოლად ბორენა, ოსთა მეფის ასული მოიყვანა. დამოყვრების ინსტიტუტი ხშირად სარწმუნოებრივ მოთხოვნებსაც არღვევდა. დავით აღმაშენებელის მეორე ცოლი გურანდუხტი ყივჩაღთა მთავარ ათრაქა შარაღანის ძის ასული იყო. მათი ქალიშვილებიდან ერთი, თამარი, შირვანის შაჰს, მანუჩარ II-ს მიათხოვეს, ხოლო მეორე – კატაი ბიზანტიის კეისარ იოანე კომნენოსის უმცროს ძმას, ალექსის გააყოლეს ცოლად. ორივე შემთხვევაში პოლიტიკური ქორწინება სახელმწიფოს ინტერესებიდან გამომდინარე უცილობლად გამართლებული იყო. შემდგომ პერიოდშიც დამოყვრების სტრატეგია კვლავ გრძელდებოდა. გიორგი III-ს ცოლად ჰყავდა ოვსთა მეფის ასული, ულამაზესი ბურდუხანი, სწორედ მათი შვილი იყო საქართველოს პირველი ქალი-მეფე თამარი. რუსეთშიაც მიღებული იყო დამოყვრების სტრატეგია. რუსი მთავრები მეზობელი ქვეყნების სამეფო ოჯახებთან საქორწინო კავშირების დამყარებით ცდილობდნენ თავიანთი სამხედრო და შიდაპოლიტიკური მდგომარეობის გამყარებას. რუსეთშიც პოლიტიკური და სამხედრო მოსაზრებები ხშირად ჩრდილავდა რელიგიურ-სარწმუნოებრივს და რუსი მთავრები ყივჩაღებსა და მონღოლებსაც კი უმოყვრდებოდნენ. რუსი ისტორიკოსების გამოკვლევებით დადგენილია, რომ 1043 წლიდან ვიდრე XIII საუკუნის დასასრულამდე მარტო რუსეთ-პოლონეთის დიდი ფეოდალების ოჯახებს შორის 15 დიპლომატიური საქორწინო კავშირი დამყარდა. რუსი მთავრები ასევე ემოყვრებოდნენ ბიზანტიის, უნგრეთის, ჩეხეთის, გერმანიის, ინგლისისა და ლიტვის სამეფოებსაც. დიდ მთავარ ვლადიმირ მონომახს ცოლად ანგლოსაქსონიის მეფე ჰაროლდის ქალიშვილი ჰიდა ჰყავდ[illegible] რუს მთავართა დამოყვრების ისტორიე[illegible]ის შესწავლისას საბჭოთა და რუსი მკვლევრები რატომღაც გვერდს უვლიდნენ იმ პერიოდში საქართველოს სამეფოსა და რუსეთის სამთავროების დამოყვრების ისტორიულ წყაროებში ასახულ ორ შემთხვევას. პირველი იყო კიევის დიდი მთავრის იზიასლავის მიერ 1154 წელს ქართველი მეფის (ან დიდებულის) ასულის ცოლად შერთვა, ხოლო მეორე – 1185-1186 წლებს შუა იური ბოგოლუბსკის საქართველოში ჩამოსიძება. დამოყვრების ინსტიტუტის ზოგადი პრინციპების თანახმად და შორს მიმავალი სამხედრო და საგარეო-პოლიტიკური მიზნების გათვალისწინებით, საქართველოს სამეფო კარის (დედოფალი რუსუდანი + პირველი ვაზირი და კათოლიკოსი მიქაელ მირიანისძე + დიდგვაროვანი აზნაურები + ლაშქარი, ანუ მხედართმთავრები) გადაწყვეტილება რუსეთის რომელიმე დიდ მთავართან დამოყვრების თაობაზე პრინციპულად სწორი იყო. ლოგიკურად საქმროდ უნდა მოეძებნათ ძლიერი და გავლენიანი სამთავროს ან სახელმწიფოს უფლისწული და ამ გზით დაემყარებინათ მჭიდრო სამხედრო, პოლიტიკური და ეკონომიკური კავშირები ერთმორწმუნე რუსეთთან. რამდენად მიაღწიეს მიზანს?

იური ბოგოლუბსკის კანდიდატურა ვერც ერთ კრიტერიუმს ვერ პასუხობდა და ისეთი შთაბეჭდილება რჩება, რომ სასიძოს არჩევაც შეგნებულად მცდარად განხორციელდა. თავად განსაჯეთ, ნოვგოროდის მთავრად 1172-74 წლებში ფორმალურად მყოფი მცირეწლოვანი იური 1185-1186 წლებში უკვე ცხრა წლის გაძევებული იყო რუსეთის სამთავროებიდან და ყივჩაღეთში აფარებდა თავს. ამიტომაც მას არანაირი სამხედრო-პოლიტიკური გავლენა აღარ გააჩნდა და არც მამულები ებადა. იცოდნენ თუ არა ეს მისი ჩამოსიძების ინიციატორებმა? უეჭველია, იცოდნენ. მეტიც, ეს გარემოება მათ ხელს აძლევდა, რადგანაც „უპატრონო“ რუსი იოლი სამართავი იქნებოდა. თამარის მოწინააღმდეგე პოლიტიკური დაჯგუფების ფარული გათვლა საკმაოდ მარტივად იშიფრება – უცხო ტომის კაცს საქართველოში დასაყრდენი და მრჩეველი უცილობლად დასჭირდებოდა. ასეთებად კი მისი ჩამოყვანის ინიციატორები – მიქაელი და მისი დასი გახდებოდნენ და თანდათანობით ქვეყნის მართვის სადავეები მათ ხელში აღმოჩნდებოდა.

(გაგრძელება შემდეგ ნომერში)

ჯესიკა ალადაშვილი

# ამერიკის შეერთებული შტატების სპეცსამსახურები




ამერიკას, როგორც წესი, ყველა სახელმწიფო სტრუქტურა მეტად თავისებურად და საინტერესოდ აქვს ორგანიზებული. ამ ქვეყნის შექმნისა და განვითარების ისტორია ცხადყოფს, რომ სამხედრო-პოლიტიკური და ეკონომიკური პროფილის სამინისტროები და უწყებები აშშ-ის ტერიტორიული სიდიდის, გეოგრაფიული მდებარეობისა და შინაპოლიტიკური პრიორიტეტების გათვალისწინებით იქმნებოდა. ამიტომაც არის დღეისთვის ამერიკაში 50 შტატი, 12 ეროვნული ბანკი (ანუ ფედერალური სარეზერვო სისტემა) და 13 სპეცსამსახური.

აშშ-ში, გარდა „ნამდვილი" სპეცსამსახურებისა (ცენტრალური სადაზვერვო სააგენტო, გამოძიების ფედერალური ბიურო და თავდაცვის სამინისტროს სადაზვერვო სააგენტო), მთელ რიგ სახელმწიფო უწყებებსაც აქვთ საკუთარი სპეცსამსახურები. კერძოდ:

I. სახელმწიფო დეპარტამენტის დაქვემდებარებაში მოქმედებს დაზვერვისა და კვლევების სამმართველო, რომელიც უზრუნველყოფს საგარეო-პოლიტიკური, სამხედრო, ეკონომიკური და სხვ. ინფორმაციის მოპოვებას, ანალიზსა და ქვეყნის უმაღლესი თანამდებობის პირთათვის წარდგენას. შტატში 500 თანამშრომელია, წლიური ბიუჯეტი კი 80 მლნ დოლარს შეადგენს;

II. ფინანსთა სამინისტროს შემადგენლობაში მოქმედებენ:

1. აშშ-ის საიდუმლო სამსახური, (შტატში 2200 თანამშრომელი), რომელიც ორ ძირითად ფუნქციას ასრულებს:

ა. ქვეყნის უმაღლეს თანამდებობის პირთა და მათი ოჯახის წევრების, უცხოეთის ოფიციალური დელეგაციების, აშშ-ის ტერიტორიაზე განლაგებული სხვა ქვეყნების საელჩოებისა და საკონსულოების დაცვა;

ბ. ეროვნული საფინანსო სისტემის დაცვა (ყალბი ფულის, საკრედიტო ბარათების და ფასიანი ქაღალდების დაბეჭდვისა და გავრცელების, ასევე ფულის გათეთრების წინააღმდეგ ბრძოლა;

2. სადაზვერვო უზრუნველყოფის სამსახური — მას ევალება მსოფლიოში საფინანსო-სავალუტო სფეროში მიმდინარე მოვლენებისა და ტენდენციების ანალიზი, სხვა ქვეყნების საფინანსო-ეკონომიკური განვითარების შესახებ ინფორმაციის მოძიება, ანალიზი და რეკომენდაციების მომზადება;

III. აშშ-ის ენერგეტიკის სამინისტროს დაქვემდებარებაშია ეროვნული უსაფრთხოებისა და დაზვერვის სამმართველო (შტატი — 300 თანამშრომელი, ბიუჯეტი — 40 მლნ დოლარი). აქ შეისწავლიან რუსეთის, ჩინეთისა და სხვა ქვეყნების ბირთვულ პროგრამებს, მონაწილეობენ ბირთვული იარაღის გამოცდის, აღმოჩენის, საჰაერო-კოსმოსური დაზვერვის სისტემების დამუშავებაში და სხვ.

IV. აშშ-ის იუსტიციის სამინისტროს სტრუქტურაში მოქმედებს ნარკოტიკებთან ბრძოლის ადმინისტრაცია (შტატი — 1000 თანამშრომელი, ბიუჯეტი — 250 მლნ დოლარი).

## აშშ-ის სამხედრო დაზვერვა

ჩვენი ამჟამინდელი თემა აშშ-ის სამხედრო დაზვერვა (მისი შექმნის ისტორია, სტრუქტურა, ხელმძღვანელები, ძლიერი და სუსტი მხარეები, წარმატებული და წარუმატებელი სპეცოპერაციები, სპეციალური დანიშნულების რაზმები და სხვ.) იქნება.

## ლეგენდარული ნათან ჰეილი

პირველ ამერიკელ მზვერავად ნათან ჰეილი ითვლება, რომელიც ინგლისელებმა 1776 წლის სექტემბერში ჩამოახრჩვეს. მას შემდეგ მოყვარული მზვერავი ამერიკის ეროვნული გმირი გახდა და მისი ძეგლი აშშ-ის დედაქალაქ ვაშინგტონში აღმართეს. ყველაფერი კი ასე დაიწყო: ამერიკელი კოლონისტები დამოუკიდებელი ქვეყნის შექმნისთვის თავდაუზოგავად იბრძოდნენ. მათი მოწინააღმდეგე კი მაშინ მსოფლიოში უძლიერესი დიდი ბრიტანეთის არმია იყო. ამერიკელთა ლაშქარს გენერალი ჯორჯ ვაშინგტონი ხელმძღვანელობდა, რომელიც იარაღსა და ფულთან ერთად მზვერავების დიდ ნაკლებობასაც განიცდიდა. მზვერავის სახიფათო მოვალეობის შესრულებას ამერიკის პატრიოტი მოქალაქეები ცდილობდნენ. მათ შორის იყო ნათან ჰეილი. ის ცდილობდა ინგლისის არმიის ზურგში ჯორჯ ვაშინგტონის დავალებები შეესრულებინა, თუმცა არ გაუმართლა — მოწინააღმდეგემ ამხილა და სიკვდილით დასაჯეს.

ამის შემდეგ ვაშინგტონის გადაწყვეტილებით შეიქმნა საიდუმლო სამსახურის ბიურო, რომელშიც ათიოდე პატრიოტი იყო. ისინი მოქმედებდნენ ნიუ-იორკში, სადაც ინგლისის არმიის შტაბი იყო დაბანაკებული. ამერიკელმა მზვერავებმა აგენტურული საქმიანობის შესანიღბავად მანჰეტენზე დიდი მაღაზია გახსნეს, რომელიც მშვენიერ საფარს წარმოადგენდა. აკურატულმა და პედანტმა

**ნათან ჰეილი ინგლისელებმა 1776 წლის სექტემბერში ჩამოახრჩვეს...**



ეროვნული ბიბლიოთეკა

ამერიკის პირველმა პრეზიდენტმა საიდუმლო საბუთებში, რომლებიც დიდი ხნის შემდეგ გახსნეს, დააფიქსირა, რომ 1776-1181 წლებში „ბიუროს" საქმიანობისთვის 17617 დოლარი დაიხარჯა.

აშშ-ში სამხედრო დაზვერვა, როგორც დამოუკიდებელი სტრუქტურა, მხოლოდ XIX საუკუნის ბოლოს, 1885 წელს შეიქმნა და მას სამხედრო ინფორმაციის სამმართველო ერქვა. შტატი სულ ორი თანამშრომლისგან შედგებოდა: ოფიცერი და კლერკი. მათი მოვალეობა იყო სახელმწიფო დეპარტამენტიდან მიღებული ინფორმაციის ანალიზი, საგაზეთო სტატიების შეგროვება და სხვა ინფორმაციის საფუძველზე მოკლე ანგარიშის შედგენა.

სამხედრო ინფორმაციის მოპოვების წყაროების გაფართოების მიზნით 1889 წელს აშშ-ის ადმინისტრაციამ მსოფლიოს სხვადასხვა ქვეყნის დედაქალაქებში სამხედრო ატაშეები გააგზავნა. თავდაპირველად ატაშეების დაფინანსება ბიუჯეტში არ იყო გათვალისწინებული და მათ ყველა ხარჯის გასტუმრება საკუთარი ჯიბიდან უხდებოდათ.

ეს კურიოზული მდგომარეობა მხოლოდ XIX საუკუნის ბოლოს შეიცვალა და სამხედრო ინფორმაციის სამმართველო, როგორც სრულფასოვანი და დამოუკიდებელი სადაზვერვო სტრუქტურა, ისე ამოქმედდა. აშშ-ის შეიარაღებული ძალების ისტორიაში მნიშვნელოვანი მოვლენა იყო 1903 წელს გენერალური შტაბის შექმნა. სამხედრო დაზვერვის დანაყოფი ახალი სტრუქტურის შემადგენლობაში მეორე განყოფილების დასახელებით შევიდა, მაგრამ სულ მალე, გაურკვეველი მიზეზების გამო, სამხედრო დაზვერვის განყოფილება რატომღაც აშშ-ის არმიის სამხედრო კოლეჯს შეუერთეს. ეს გადაწყვეტილება სამხედრო-სახმელეთო დაზვერვის ლიკვიდაციის ტოლფასი აღმოჩნდა. ასე რომ, მხოლოდ საქართველოს შეიარაღებულ ძალებში არ იღებენ არალოგიკურ გადაწყვეტილებებს.

სამხედრო დაზვერვის სამმართველო, როგორც დამოუკიდებელი დანაყოფი, მხოლოდ 1917 წლის მაისის დასაწყისში, აშშ-ის პირველ მსოფლიო ომში ჩართვიდან ერთი თვის შემდეგ აღდგა. 1918 წლისთვის სამმართველო სამი სტრუქტურული ერთეულისგან (დაზვერვისა და კონტრდაზვერვის განყოფილებები, ასევე შიფრების ბიურო) შედგებოდა, სადაც 300 სამხედრო და ათასამდე სამოქალაქო პირი მუშაობდა. პირველი მსოფლიო ომის დასრულების შემდეგ სამხედრო დაზვერვამ მნიშვნელოვანი რეორგანიზაცია განიცადა. შემცირდა შტატები (დარჩა 200-მდე თანამშრომელი), შეიცვალა ფუნქციები — სამხედრო დაზვერვის სამმართველო ტოპოგრაფიული რუკების შედგენით, აეროფოტოგადაღებების ანალიზითა და კონტრდაზვერვითი სამუშაოებით შემოიფარგლა.

მეორე მსოფლიო ომის დაწყების შემდეგ აშშ-ის საჯარისო სამხედრო დაზვერვის როლი და ფუნქციები მნიშვნელოვნად გაიზარდა. შესაბამისად დიდი იყო ამ დანაყოფის წვლილი გერმანიის არმიის დამარცხებაშიც. შემდგომ პერიოდში კი სამხედრო დაზვერვის სამმართველოს სიძლიერე და პრესტიჟი მუდმივად მცირდებოდა. 1945 წელს შეიქმნა არმიის უსაფრთხოების სააგენტო, რომელსაც დაუქვემდებარეს სამხედრო კავშირგაბმულობის ყველა დანაყოფი, პირადი შემადგენლობისა და ინფრასტრუქტურის ჩათვლით. 1952 წელს კი ეს სააგენტო ახალშექმნილი ეროვნული უსაფრთხოების სააგენტოს გადაეცა.

აშშ-ის სახმელეთო სამხედრო დაზვერვის სუსტი მხარეები განსაკუთრებით თვალში საცემი კორეის ომის დროს გახდა. გავრცელებული ინფორმაციით, ამ დანაყოფის აგენტებს პარაშუტით გადმოხტომის ვარჯიშები მიწაზე უტარდებოდათ და ისინი, თვითმფრინავების ნაცვლად... სწრაფად მიმავალი ჯიპებიდან ხტებოდნენ.

## აშშ-ის სამხედრო-საჰაერო ძალების დაზვერვა

სამხედრო დაზვერვის ამ სახეობას საფუძველი 1916 წელს ჩაეყარა, როცა გენერალმა ჯონ პერშინგმა ამბოხებული მექსიკელების წინააღმდეგ სადამსჯელო ექსპედიცია მოაწყო 15 ბიპლანისგან შემდგარი ავიაესკადრილიით. პირველი მსოფლიო ომის დროს ამერიკელები სადაზვერვო ოპერაციებისას თვითმფრინავებთან ერთად ხშირად იყენებდნენ საჰაერო ბურთებს. 1918 წელს შეიქმნა საარმიო საავიაციო სამსახური, რომელშიც რამდენიმე ავიაესკადრილია და სადაზვერვო საჰაერო ბურთების 23 ასეული შედიოდა. ამ სამსახურს 1926 წლიდან საარმიო საავიაციო კორპუსი ეწოდა. ამ დანაყოფმა აქტიური მონაწილეობა მიიღო მეორე მსოფლიო ომში.

1947 წელს აშშ-ის სამხედრო-საჰაერო ძალების, როგორც ცალკე საჯარისო სახეობის, შექმნის შემდეგ საჰაერო დაზვერვის დანაყოფებიც მის შემადგენლობაში გადაიტანეს. ამ დანაყოფის მთავარი სამიზნე საბჭოთა კავშირი და ე.წ. სოციალისტური ბანაკის ქვეყნები იყვნენ. საინტერესოა, რომ ამერიკელების ყველაზე ეფექტიანი და საამაყო სადაზვერვო თვითმფრინავი U-2, სამხედრო-საჰაერო ძალების სადაზვერვო დანაყოფების შეიარაღებაში კი არ იყო, არამედ მხოლოდ ცენტრალურ სადაზვერვო სააგენტოს ექვემდებარებოდა.

1993 წლის 1-ელი ოქტომბრიდან სამხედრო-საჰაერო ძალების სადაზვერვო სამსახურის დასახელება შეიცვალა და ამჟამად ის საჰაერო დაზვერვის სააგენტოდ იწოდება. მისი შტაბბინა ტეხასში, კელის ავიაბაზაზეა განთავსებული. ამ სადაზვერვო დანაყოფის პერსონალი 15 ათასზე მეტია, მათგან 12,5 ათასი სამხედრო მოსამსახურეა, დანარჩენი სამოქალაქო პირები არიან. სააგენტოს წლიური ბიუჯეტი თითქმის საქართველოს სახელმწიფო ბიუჯეტის ტოლია და 1,8 მლრდ დოლარს აჭარბებს.

## სამხედრო-საზღვაო ძალების დაზვერვა

დაზვერვის ეს დანაყოფი ამერიკაში უძველესია — ის 1882 წელს შეიქმნა. ეს ბუნებრივიცაა, რადგანაც აშშ მსოფლიოს ერთ-ერთი უძლიერესი საზღვაო სახელმწიფო იყო და არის. მეორე მსოფლიო ომის დროს საზღვაო ძალების დაზვერვამ განსაკუთრებით გამოიჩინა თავი. წლების მანძილზე ეს სადაზვერვო დანაყოფი ასრულებს როგორც ოპერატიული-საზღვაო, ასევე საზღვაო-ტექნიკური დაზვერვის ფუნქციებსაც. 1993 წელს სამხედრო-საზღვაო დაზვერვის სხვადასხვა დანაყოფი, მათ შორის საზღვაო ფეხოსანთა სადაზვერვო კორპუსი გაერთიანდა და შეიქმნა საზღვაო დაზვერვის სამმართველო, სადაც მსახურობს 17 ათასამდე კაცი, ხოლო ბიუჯეტი 1,3 მლრდ დოლარია.

## სანაპირო დაცვის სადაზვერვო სამსახური

ოფიციალური სტატუსით აშშ-ის სანაპირო დაცვაში შედის ტრანსპორტის სამინისტროს დაქვემდებარებაში არსებული გასამხედროებული საზღვაო სამსახური. ამგვარი უწყებრივი სტატუსის მიუხედავად, სანაპირო დაცვა, ოთხ (არმია, სამხედრო-საჰაერო ძალები, სამხედრო-საზღვაო ძალები და საზღვაო ფეხოსანთა კორპუსი) სახეობასთან ერთად აშშ-ის შეიარაღებული ძალების ერთ-ერთ სახეობადაა მიჩნეული. აქედან გამომდინარე, სანაპირო დაცვის სადაზვერვო დანაყოფიც ამერიკის სამხედრო დაზვერვის სტრუქტურაშია მოქცეული.

აშშ-ის სანაპირო დაცვის დაზვერვის ძირითადი ფუნქციებია: ნარკოტიკების კონტრაბანდის აღკვეთა, საზღვაო ეკოლოგიური დანაშაულებებისა და საზღვაო ტერორიზმის წინააღმდეგ ბრძოლა.

## აშშ-ის თავდაცვის სამინისტროს დაზვერვის სააგენტო

აშშ-ის შეიარაღებული ძალების სხვადასხვა დაქუცმაცებული სადაზვერვო დანაყოფების კოორდინაცის მიზნით 1961 წლის 1-ელ ოქტომბერს თავდაცვის სამინისტროსა და შტაბების უფროსების კომიტეტთან შეიქმნა ახალი ცენტრალიზებულ სადაზვერვო ორგანო — თავდაცვის სამინისტროს დაზვერვის სააგენტო (TSDS). ვინაიდან ის აშშ-ის სადაზვერვო საზოგადოების წევრია, ამიტომ ექვემდებარება როგორც თავდაცვის მინისტრს, ასევე ცენტრალური სადაზვერვო სააგენტოს დირექტორს.

*(გაგრძელება შემდეგ ნომერში)*

ეროვნული ბიბლიოთეკა

# სისხლით ნაყიდი გამარჯვება

## ჯოჯოხეთი სიცოცხლით ტროპიკული კუნძული



ასოშიეითედ პრესის რეპორტიორ ჯო როზენტალის ფოტო, რომელზეც აღბეჭდილი არიან ამერიკელი საზღვაო ქვეითები, რომლებიც „სტარზ-ენდ-სტრაისზე“ დროშას აღმართავენ, დიდი ხანია, ლეგენდად იქცა. ამერიკელთა არაერთი თაობისათვის ეს ფოტო გამარჯვების ისეთივე სიმბოლოა, როგორიც რაიხსტაგის თავზე წითელდროშიანი საბჭოთა მებრძოლი იყო კომუნისტური იმპერიისათვის. როზენტალმა ფირზე აღბეჭდა ის მომენტი, როცა 1945 წლის მარტში, სისხლისმღვრელი ბრძოლების შემდეგ, თვეზე მეტხანს რომ გრძელდებოდა, იანკებმა იაპონელებს წყნარი ოკეანის კუნძული ივოძიმა წაართვეს. დღეს ივოძიმისთვის ბრძოლებში თავიანთი ჯარისკაცების მამაცობითა და გმირობით ამაყობენ არა მარტო აშშ-ის არმიაში, არამედ იაპონიაშიც.

### პატარა, მაგრამ ოქრო

1944 წლის აპრილის დამლევს ამერიკულმა გამანადგურებლებმა B-29 „სუპერსიმაგრეებმა“ კუნძულ საიპანის აეროდრომებიდან იაპონიის მეტროპოლიის ტერიტორიის სისტემატური დაბომბვა დაიწყეს. მიუხედავად ამისა, დაბომბვებს იაპონიის თავდაცვისა და სამხედრო მრეწველობისათვის არსებითი ზარალი არ მიუყენებია. ამერიკელები ავიაციის საბრძოლო მოქმედებათა ნაკლებეფექტიანობას აეროდრომებიდან მიზნის სიშორით ხსნიდნენ, მანძილი დაახლოებით 2400 კილომეტრს შეადგენდა. ამიტომ მფრინავებს თვითმფრინავების საბომბე დატვირთვის ათის ნაცვლად სამ ტონამდე შემცირება უწევდათ, რათა საწვავის მარაგი გაეზარდათ. გარდა ამისა, ამხელა მანძილზე მხარდამჭერ გამანადგურებლებს მოქმედება უჭირდათ, რის გამოც დამრტყმელ გამანადგურებლებს დაბომბვა დიდი სიმაღლიდან, დაახლოებით 6-7 ათასი მეტრიდან უხდებოდათ. თვითმფრინავის დაზიანების შემთხვევაში პილოტს, პრაქტიკულად, არ ჰქონდა შანსი მანქანა ბაზამდე მიეყვანა.

ამიტომ ამერიკელთა სარდლობამ გადაწყვიტა ხელში ჩაეგდო ერთი-ერთი კუნძული, რომელიც საიპანსა და ტოკიოს შორის, გამანადგურებელი ავიაციის კურსზე მდებარეობდა და იქ ასაფრენი აეროდრომი აეშენებინა. არჩევანი კუნძულ ივოძიმაზე შეჩერდა. ჯერ ერთი, კუნძული იაპონიის დედაქალაქიდან 1200 კილომეტრზე მდებარეობდა და ამერიკული გამანადგურებლების მოახლოების შესახებ მეტროპოლიისთვის შეტყობინების სისტემაში მნიშვნელოვან როლს ასრულებდა; მეორე — ეს იყო ერთადერთი ადგილი, სადაც ისეთი აეროდრომის აგება შეიძლებოდა, რომელიც მძიმე გამანადგურებლებს მიიღებდა და მხარდამჭერ გამანადგურებლებსაც ბაზად გამოადგებოდათ; მესამე — ამერიკელთა მეთაურობა ვარაუდობდა, რომ ამ ტერიტორიის ხელში ჩაგდება დიდ სიძნელეს არ წარმოადგენდა, მიუხედავად იქ განთავსებული იაპონელთა გარნიზონისა.

ივოძიმა სიგრძეში დაახლოებით 7 კილომეტრი და სიგანით კი 3,5 კილომეტრია, მას მსხლის ფორმა აქვს. კუნძულის თავზე ჩამქრალი კუნძული სურიბაჩი იყო აღმართული. ჩრდილოეთი ნაწილი კლდოვანი პლატო იყო, მიუდგომელი ნაპირებით, მაგრამ სურიბაჩის ჩრდილოეთით და აღმოსავლეთით გადაჭიმული პლაჟები კი დესანტის გადასასხმელად გამოდგებოდა. კუნძულის ცენტრში, ფართო პლატოზე, ორი იაპონური აეროდრომი იყო განთავსებული.

### D-Day ახლოვდება

**ამერიკელები**

ივოძიმის აღების ოპერაცია 1945 წლის 19 თებერვლისთვის დაიგეგმა. საამისოდ მობილიზებულ იქნა საზღვაო ქვეითთა მე-4 და მე-5 დივიზიები, გენერალ გარი შმიდტის მეთაურობით. დივიზების შემადგენლობა სულ 60000 კაცს შეადგენდა. გარდა ამისა, ოპერაციაში მონაწილეობდნენ ფლოტისა და ავიაციის მნიშვნელოვანი ძალები. საზღვაო ქვეითები კუნძულის პლაჟებზე უნდა გადამსხდარიყვნენ, შემდეგ კი ელვისებური დარტყმით გაენადგურებინათ იაპონელთა ძირითადი ძალები და ივოძიმა გაეწმინდათ. ოპ-

ერაციისათვის ოთხი დღე გამოიყო.

1944 წლის ზაფხულიდან ივოძიმა ამერიკელთა ავიაციის სისტემატური თავდასხმის ობიექტი გახდა, საარტილერიო ცეცხლს უხსნიდნენ ამერიკის ფლოტის ხომალდებიდანაც. იმისათვის, რომ იაპონელთა გარნიზონს შევსება, საბრძოლო მარაგი და ტყვია-წამალი ვერ მიეღო, კუნძულებს ტიტიძიმასა და ჰაჰაძიმას, ასევე ოკინავას, მუდმივად უტევდნენ. ამერიკის ავიაციის თავდასხმათა ინტენსივობა სულ უფრო და უფრო იზრდებოდა, მხოლოდ მე-7 საჰაერო არმიამ აგვისტოში 10 მასირებული თავდასხმა მოახდინა, სექტემბერში ოცდაორი, 8 დეკემბრიდან კი დაბომბვა ყოველდღიურად მიმდინარეობდა. ორი კვირის განმავლობაში, 31 იანვრიდან, კუნძულს დღედაღამ ბომბავდნენ. სულ ივოძიმაზე 6800 ტონა ბომბი ჩამოყარეს და სხვადასხვა კალიბრის 22000 ჭურვი დაუშინეს.

ამ დროის განმავლობაში ამერიკელთა საზღვაო ქვეითები ინტენსიურად ემზადებოდნენ კუნძულის ასაღებად, ფლოტი კი მასირებული საზღვაო დესანტის გადასასხმელ ტრანსპორტს ამზადებდა. იაპონური წყალქვეშა ნავებიდან მოსალოდნელი დარტყმების თავიდან ასაცილებლად და დესანტის მხარდასაჭერად სამხედრო-დამრტყმელი ჯგუფები შეიქმნა, რომლის ბირთვი ავიამზიდი „ანციო" და „ტულაგი" იყვნენ. ოპერაციის დაწყებამდე 3 დღით ადრე, ავიამზიდებმა დარტყმათა სერია მიაყენეს იაპონელების რამდენიმე აეროდრომს და კუნძულზე სრული საჰაერო ბატონობა მოიპოვეს. ამასთან, სამხედრო მცურავთა ჯგუფი კუნძულის მისადგომებს იკვლევდა და რაიმე წყალქვეშა დაბრკოლება ან ნაღმები არ აღმოუჩენია. 1945 წლის 18 თებერვალს ამერიკული არმადა მზად იყო გამანადგურებელი დარტყმა მიეყენებინა ივოძიმის გარნიზონისთვის.



**იაპონელები**

იაპონელთა მეთაურობამ კარგად იცოდა, რა დიდი სტრატეგიული მნიშვნელობა ჰქონდა კუნძულს ქვეყნისათვის. ამიტომაც უმოკლეს ვადაში პატარა 109-ე დივიზია 21 ათას კაცამდე გაზარდეს. გარნიზონის მეთაურად დაინიშნა გენერალ-ლეიტენანტი კურიბაიასი ტადამიტი — იმ დროის საიმპერატორო არმიის ერთ-ერთი უნიჭიერესი სტრატეგი.

კურიბაიასი ტადამიტი სამურაების ძველ გვარს ეკუთვნოდა, 1914 წელს სამხედრო აკადემიის დამთავრების შემდეგ, კავალერიაში მსახურობდა, იყო აშშ-ში სამხედრო ატაშე, შემდეგ კი კანადაში. 1939 წელს, ხალხინ-გოლზე საბრძოლო მოქმედებების დროს, მეთაურობდა პოლკს. 1943 წლიდან მეთაურობდა ელიტურ 1-ელ საიმპერატორო გვარდიულ დივიზიას, რომელიც იმპერატორს იცავდა სასახლეში.

ივოძიმის გარნიზონის მეთაურობა რომ ჩაიბარა, გენერალმა კარგად იცოდა, რა ელოდა კუნძულის დამცველებს, მაგრამ უკან დახევას არ აპირებდა. ამიტომაც კუნძულზე ჩასვლისთანავე დაიწყო თავდაცვითი ნაგებობების აშენება. სურიბატის მთის ფერდობებზე საიმედოდ დაცული საარტილერიო პოზიციები და სატყვიამფრქვევო ბუდეები მოაწყვეს. ცემენტში არეული ვულკანის ფერფლი მაღალხარისხოვან ბეტონს იძლეოდა მიწისზედა გამაგრებებისა და ბლოკჰაუზების ასაგებად. უმოკლეს ხანში, პირდაპირ აეროდრომების ქვეშ, გათხარეს ხელოვნური გვირაბებისა და გამოქვაბულების სისტემა, აღჭურვილი კავშირის კაბელებითა და განათებით. გვირაბები და გამოქვაბულები რამდენიმე ასეულ მეტრზე ერთმანეთისგან დაშორებულ პოზიციებს აკავშირებდა. გამოქვაბულები ზოგიერთ ადგილას ხუთდონიანი იყო, თითოეულ მათგანს რამდენიმე გამოსასვლელი ჰქონდა. მტრის ტექნიკის მსვლელობის შესაფერხებლად ააგეს წინაღობები. იაპონელი მხედართმთავრის გონივრულმა ტაქტიკამ მალე გამოიღო ნაყოფი. ამერიკელთა დაბომბვებსა და ქარიშხლისებურ საარტილერიო ცეცხლს დიდად არ დაუზიანებია იაპონური პოზიციები.

**ამერიკელ პილოტთაგან ერთ-ერთმა ერთხელ თქვა: „ყოველთვის, როცა ამ კუნძულზე დავჯდებოდი, მადლობას ვწირავდი ღმერთსა და იმ ხალხს, ვინც ივოძიმა აიღო ჩვენთვის".**

კურიბაიასი დიდ ყურადღებას უთმობდა ჯარისკაცების საბრძოლო განწყობილებას. არასოდეს ლაპარაკობდა მათთან გამარჯვებაზე. ჩანს, არ უნდოდა მათთვის იმ სიტყვების თქმა, რომელთაც ისინი არ დაიჯერებდნენ. როცა გარნიზონს მიმართავდა, კურიბაიასი ხშირად ამბობდა: „აქ იმისთვის ვართ, რომ დავიცვათ კუნძული ჩვენი არცთუ დიდი ძალებით. არავინ არ უნდა მოკვდეს, სანამ სულ ცოტა 10 ამერიკელს არ მოკლავს. მტერს პარტიზანული ბრძოლებით ამოვხდით სულს მანამ, სანამ ერთი ჩვენგანიც კი ცოცხალი იქნება". ჯარისკაცებს ჰატიმაკები დაურიგეს, რომელთაც ისინი სიამაყით ატარებდნენ. იცოდნენ, რომ განწირულნი იყვნენ, მაგრამ მტერს თავიანთ სიკვდილს ძვირად დაუსვამდნენ.

## „ღმერთო, შენ იცი, რომ დღეს დაკავებული ვიქნები"...

**ამერიკელები**

დღე-დ 19 თებერვალს აშშ-ის სამხედრო-საზღვაო ძალების ქვემეხებითა და მოპიკირე გამანადგურებლებით კუნძულის სანაპირო ზოლისთვის მასირებული ცეცხლის გახსნით დაიწყო. 8.59 სთ-ზე, დესანტის გადმოსხმამდე წუთით ადრე, საზღვაო ქვეითებმა საარტილერიო ცეცხლი გადაიტანეს 200 მეტრზე, ივოძიმის სიღრმეში. საშტურმო ქვედანაყოფები სატრანსპორტო ხომალდებით უკვე უახლოვდებოდნენ გადმოსხმის ადგილს კუნძულის სამხრეთ და დასავლეთ ნაწილებში. ერთ-ერთ კატერზე კაპელანმა მებრძოლებს 1642 წელს ეჯჰილთან ბრძოლის წინ ჯეიკობ ასტლის ლოცვა დაურიგა: „ღმერთო, შენ იცი, რომ დღეს დაკავებული ვიქნები... მე თუ დაგივიწყე, შენ ნუ დამივიწყებ".

ზუსტად 9 საათზე კუნძულზე პირველმა საზღვაო ქვეითმა დაადგა ფეხი. 9.02-ზე საარტილერიო ცეცხლი კიდევ 200 მეტრზე გადაიტანეს კუნძულის ცენტრისკენ, რითაც მოძრავი საცეცხლე ფარდა შექმნეს. ბრძოლის პირველი საათის განმავლობაში ამერიკელებმა მოახერხეს ნაპირზე საზღვაო ქვეითთა შვიდი ბატალიონის გადმოსხმა და ყველაფერ იმის გადმოტანა, რაც აუცილებლად საჭირო იყო ბრძოლის პირველ ეტაპზე. დესანტის გადმოსხმა სამხედრო აღლუმს ჰგავდა, ოღონდ განსაზღვრულ დრომდე.

გადმოყვანისას ვულკანის ფერფლმა და წიდამ მცურავი ჯავშანტრანსპორტიორების მსვლელობა დააბრკოლა, მაგრამ რამდენიმე მანქანამ მაინც შეძლო წინ გაჭრა, ნაწილი ტრანსპორტიორებისა კი ზღვაში დაბრუნდა და დესანტის გადმოსხმას კოშკურების ტყვიამფრქვევების ცეცხლით გაუწია მხარდაჭერა, ტექნიკის დიდი ნაწილი კი ნაპირზე ჩარჩა. საზღვაო ქვეითები, რომლებიც ჯავშნოსნების მხარდაჭერის გარეშე

ეროვნული ბიბლიოთეკა

**ერთ-ერთ კატერზე კაპელანმა მებრძოლებს 1642 წელს ეჯჰილთან ბრძოლის წინ ჯეიკობ ასტლის ლოცვა დაურიგა: „ღმერთო, შენ იცი, რომ დღეს დაკავებული ვიქნები... მე თუ დაგივიწყე, შენ ნუ დამივიწყებ“.**



დარჩნენ, იაპონელების ქარიშხლისებურ ცეცხლში მოექცნენ. ფერფლარეულ ქვიშაზე გადაადგილება მებრძოლებს ძალიან გაუჭირდათ. სირბილი ხომ სულ შეუძლებელი აღმოჩნდა. ცეცხლი იმდენად ძლიერი იყო, რომ ზოგიერთ სადესანტო ქვედანაყოფს პირდაპირ პლაჟზე მოუწია სანგრების თხრამ. ამერიკელებს აქ კიდევ ერთი სიურპრიზი ელოდა: დიდი ვულკანური აქტივობის გამო კუნძულზე ამოთხრილი ყველა სანგარი ღადარივით ცხელი იყო და გოგირდის აირით ივსებოდა. მოკლედ, საზღვაო ქვეითებს მხოლოდ და მხოლოდ ფლოტის ქვემეხებისა და იღბლის იმედიღა ჰქონდათ.

ამ დროს განსაკუთრებით გამოიჩინეს თავი საცეცხლე მხარდამჭერის, კრეისერ „სანტა ფესა“ და ლინკორ „ნევადის“ არტილერისტებმა. ზუსტი ცეცხლით კრეისერმა მნიშვნელოვნად შეამსუბუქა მარცხენა ფლანგის მე-5 დივიზიის ბატალიონის საბრძოლო მოქმედება, „ნევადამ“ კი მთავარი კალიბრის არტილერიით ნაცარტუტად აქცია იაპონელთა ბლოკჰაუზი ნაპირზე და გამოქვაბულზე პირდაპირი დარტყმით სურიბატის ფერდობის ნაწილი ჩამოანგრია. საღამოსთვის საზღვაო ქვეითების ავანგარდმა მოახერხა კუნძულზე გამაგრება და ძირითადი ძალების გადმოსხმის უზრუნველყოფა. ივოძიმაზე ბინდი ჩამოწვა. წყვდიადში ჩაიძირა ბრძოლის ველი, სადაც დაახლოებით 600 დაღუპული ამერიკელი მებრძოლის გვამი ეყარა. ათასზე მეტი მედესანტე დაჭრილი იყო. მიუხედავად დიდი დანაკარგისა, ამერიკელებმა მოახერხეს №1 აეროდრომის თავდაცვის განადგურება და დასავლეთის ნაპირისკენ გასვლა. ბრძოლის პირველმა დღემ თვალნათლივ ცხადყო, რომ საზღვაო ქვეითებს კუნძულზე სასიამოვნო გასეირნება არ ელოდათ.

**იაპონელები**

19 თებერვლის გათენიისას, ამერიკელთა დესანტის გადმოსხმის წინ, როცა საარტილერიო მზადება დაიწყო, გენერალმა კურიბაიასიმ ჯარისკაცებს სანგრებში ჩასვლა უბრძანა. მისი ჩანაფიქრით, ამერიკელებს ნაპირზე გადმოსხმისას ძლიერი წინააღმდეგობა არ უნდა შეხვედროდათ. კუნძულის სიღრმისკენ სვლისთანავე მათ იაპონელები მძლავრ საცეცხლე დარტყმას უმზადებდნენ.

იაპონელ ჯარისკაცებს ჭურვებისგან და ნამსხვრევებისგან საიმედოდ იცავდა 2 მეტრის სისქის კედლები. როგორც კი ამერიკელ მებრძოლთა ერთი ნაწილი კუნძულის სიღრმისაკენ გაიჭრა, იაპონელები თავიანთ პოზიციებზე დაბრუნდნენ და შეტევაზე გადმოსულ იანკებს ცეცხლი გაუხსნეს. კუნძულის თავდაცვის სისტემის უპირატესობა აშკარა შეიქნა. ყველა საცეცხლე წერტილი ზედმიწევნით იყო შენიღბული, ამერიკელებს მხოლოდ მაშინ შეეძლოთ მათი აღმოჩენა, როცა თავს მომაკვდინებელი ტყვიების სეტყვა ატყდებოდა ან შემთხვევითი ჭურვი შესანიღბავ ბადეებსა და ბუნებრივ საფარს გაანადგურებდა. ნაღმსატყორცნები იაპონელებს გამოქვაბულებისა და გვირაბების შესასვლელებთან მიჰქონდათ, ზალპს გააკეთებდნენ და სწრაფადვე იმალებოდნენ მთის ლაბირინთებში. ასეთ ტაქტიკას მხოლოდ გამოქვაბულისთვის პირდაპირი დარტყმით თუ შეებრძოლებოდი.

კურიბაიასი მაშინვე მიხვდა, რომ მრავალრიცხოვანი დესანტის გადმოსხმას ზღვაში ამერიკელები ვერ მოახერხებდნენ. ამიტომაც ბრძოლის პირველივე საათიდან ხელქვეითებს უბრძანა მოწინააღმდეგის დამრტყმელი ძალების თანდათან დასუსტება და კუნძულზე მათი გადაადგილების დაბრკოლება. იაპონელმა ჯარისკაცებმა და ოფიცრებმა ბრწყინვალედ გაართვეს თავი დასმულ ამოცანას. შუადღემდე რამდენიმე საათით ადრე იაპონელებმა ისეთი ქარიშხლისებური ცეცხლი გახსნეს, რომ დესანტის მეორე ნაკადის ვერც ერთმა გემმა ვერ მოახერხა ნაპირთან მიახლოება. თუმცა ძალები აშკარად არათანაბარი იყო და ივოძიმის დამცველებს ზოგიერთი პოზიციის დათმობამ მაინც მოუწიათ. ბრძოლის პირველ დღეს გარნიზონმა მნიშვნელოვანი დანაკარგი განიცადა, მაგრამ იაპონელმა ჯარისკაცებმა მტერს აგრძნობინეს, რომ სიცოცხლის უკანასკნელ წუთამდე იბრძოლებდნენ. პირველ ღამეს იაპონელები თითქმის შეუწყვეტლად უშენდნენ მანათობელ რაკეტებს ამერიკელთა ჯარს და ტაქტიკური მნიშვნელობის რამდენიმე მძლავრი დარტყმაც მიაყენეს.

**ამერიკელები**

20-დან 23 თებერვლის ჩათვლით საზღვაო ქვეითები სამხრეთით, ვულკან სურიბატის ასაღებად იბრძოდნენ და ცდილობდნენ ჩრდილოეთით გაჭრილიყვნენ. აქ მოწინააღმდეგის ძირითადი ძალები იყო განლაგებული. სურიბატის ქვედა ფერდობებზე წინ წაწევა ძალზე გაჭირდა. იაპონელებს მთიდან შეეძლოთ ამერიკელთა გადაადგილების დაფიქსირება და კავშირის განშტოებული სისტემის მეშვეობით კუნძულის ნებისმიერი წერტილიდან ცეცხლის კორექტირება. ამერიკელთა მეთაურობა იძულებული შეიქნა სასწრაფოდ გადმოესხა კუნძულზე მე-3 დივიზიის საზღვაო ქვეითები და 23 თებერვალს სურიბატის თავზე ამერიკელთა ვარსკვლავიან-ზოლიანი დროშა აფრიალდა.

კუნძულის ჩრდილოეთით შემტევი ძალები თავდაცვითი ხაზის ღრმად ეშელონირებულ ნაწილს წააწყდნენ, აქ კურიბაიასის უკანასკნელი ბრძოლის გამართვა ჰქონდა განზრახული. საზღვაო ქვეითები მეტრობით გადაადგილდებოდნენ! ასეთი მასირებული ცეცხლი იაპონელებთან ბრძოლის დროსაც არ უნახავთ. ოპერაციის მეექვსე დღის დილას ამერიკელები მაინც შეიჭრნენ თავდაცვით საზღვარზე. საზღვაო ქვეითებმა მიჯრით სროლით, ხიშტებითა და კონდახებით მნიშვნელოვნად წაიწიეს წინ, მაგრამ ჩრდილოეთით რჩებოდა სიმაღლეები, სადაც საიმედოდ ჩასაფრებული მოწინააღმდეგე კიდევ განაგრძობდა ბრძოლას. ერთ ასეთ სიმაღლეს „ხორცსაკეპი“ ეწოდა. როცა იანკებმა მის მწვერვალს მიაღწიეს, იაპონელთა ცეცხლმა მაშინვე გააკრა მიწას და ყოველგვარი მხარდაჭერისგან მოჭრილი აღმოჩნდნენ. როგორც გაირკვა, სხვა, ადრე მოწყობილი პოზიციების წყალობით იაპონელებს სიმაღლის დაცხრილვა ყველა მხრიდან შეეძლოთ. სიმაღლეზე გადამწყვეტი შეტევის დროს საზღვაო ქვეითების მთელი ასეული დაიღუპა. პლატოს სამხრეთით აეროდრომის ხელში ჩაგდება ამერიკელებმა ბრძოლის პირველ კვირას მოახერხეს. განუწყვეტელი

აფეთქებების გამო ასაფრენ-დასაჯდომი ზოლი მთვარის დახორკლილ ზედაპირს ჰგავდა. მიუხედავად იაპონელთა საარტილერიო და სნაიპერული ცეცხლისა, აეროდრომის აღსადგენი სამუშაოები წუთითაც არ შეწყვეტილა. 4 მარტს გარემონტებულმა აეროდრომმა პირველი B-29 მიიღო, რომელიც იაპონიის დაბომბვის შემდეგ დაბრუნდა, საზღვაო ქვეითების მწკრივად დაწყობილმა სამმა დივიზიამ კი კუნძულის ჩრდილოეთით გააგრძელა შეტევა. და თუმცა 16 მარტს გენერალმა შმიდტმა განაცხადა, რომ კუნძული აღებულია, საზღვაო ქვეითებს კიდევ ჰქონდათ შესასრულებელი მძიმე ამოცანა – აღებული გამაგრებების, გვირაბებისა და გამოქვაბულების მოწინააღმდეგის დარჩენილი ძალებისაგან გაწმენდა. ზოგიერთ ბუნკერში მომწავლელ გაზს უშვებდნენ ან მჭიდროდ გმანავდნენ შესასვლელ-გამოსასვლელებს. გარდა ამისა, მათ მოწინააღმდეგის წვრილ-წვრილი შეტევების მოგერიება უხდებოდათ, რომელიც კიდევ ერთ კვირას გაგრძელდა. 27 მარტს გენერალმა შმიდტმა სამეთაურო პუნქტი დაშალა და კუნძულიდან თავისი დივიზიების გაყვანა დაიწყო. კუნძულის გაწმენდის პასუხისმგებლობა 147-ე ქვეითთა პოლკმა იკისრა, რომელიც ივოძიმაზე 21 მარტს ჩავიდა.

**იაპონელები**

ბრძოლის პირველ კვირას იაპონელთა გარნიზონი ჯიუტად იცავდა თავს, თუმცა შესამჩნევი შეიქნა მათი მოქმედებების სუსტი კოორდინირება. სიმაგრეების მარჯვე გამოყენებით, ივოძიმის დამცველები ყველაფერს აკეთებდნენ, რომ შეტევაზე გადმოსული მოწინააღმდეგე დაესუსტებინათ. უკან დახევაზე ლაპარაკიც კი ზედმეტი იყო. ყველა პოზიციას, რომლებსაც კი ამერიკელები იგდებდნენ ხელთ, იაპონელი ჯარისკაცები და ოფიცრები მხოლოდ მკვდრები ტოვებდნენ. ისინი ამერიკელთა ცეცხლმფრქვეველ ტანკებს უვარდებოდნენ. არცთუ ცოტანი იყვნენ ისეთი მოხალისეები, რომლებიც ტანზე ყუმბარას იმაგრებდნენ და ჯავშანტრანსპორტიორებს აფეთქებდნენ. მიუხედავად ასეთი მამაცობისა, იაპონელები ნელ-ნელა კარგავდნენ ინიციატივას და კუნძულის ჩრდილოეთით იხევდნენ. გენერალ კურიბაიასის ჯარების მდგომარეობა სულ უფრო და უფრო მძიმდებოდა. სასმელი წყლის უქონლობაც ძალზე თრგუნავდა მებრძოლებს. გენერალი წერდა: „ჩვენი ერთადერთი წყარო წვიმის წყალია. ერთ ჭიქა წყალს ვილებ იმისათვის, რომ პირი დავიბანო, შემდეგ კი მას ჩემი ადიუტანტი ლეიტენანტი ფუძიტა იყენებს. ჯარისკაცებს ესეც არ აქვთ“. კურიბაიასის შეფასებით, 1-ელი მარტისათვის იაპონელთა დანაკარგი კატასტროფული იყო. გენერალს დაახლოებით 4 ათასი ჯარისკაცი დარჩა, მწყობრს გამოეთიშა ოფიცრების 65%, გარნიზონმა დაკარგა თითქმის მთელი არტილერია და ტანკები.

3 მარტამდე კურიბაიასი მხოლოდ თავდაცვით ტაქტიკას იყენებდა. 3-დან 4 მარტის ღამით იაპონელებმა პირველი მასირებული კონტრშეტევა წამოიწყეს, რომლებიც დიდი დანაკარგის ფასად ამერიკელებმა მოიგერიეს. ამ მომენტიდან ორგანიზებულ წინააღმდეგობაზე ლაპარაკიც ზედმეტი იყო. ახლა მხოლოდ დანაწევრებული ნაწილები და ივოძიმის გარნიზონის ქვედანაყოფები იბრძოდნენ. სიტუაცია იმდენად უიმედო ჩანდა, რომ მეორე შერეული ბრიგადის მეთაურმა, გენერალ-მაიორმა სენდამ კურიბაიასის მიმართა „ბანზაი“-შეტევის დაწყების მოთხოვნით – ეს იქნებოდა უკანასკნელი შეტევა, რომელშიც ყველა მებრძოლი ჩაებმებოდა. გაცოფებულმა კურიბაიასიმ პოზიციების შენარჩუნების ბრძანება გასცა. მისი აზრით, შეტევაზე გადასვლა მხოლოდ დააჩქარებდა დამარცხებას, მაგრამ სენდას ამის თაობაზე თავისი მოსაზრება ჰქონდა. 8 მარტის საღამოს მან თავი მოუყარა ბრიგადის ოფიცრებს და მეორე დღის საღამოს 6 საათისთვის შეტევისთვის მომზადება უბრძანა. „შეხვედრამდე ტაძარ იასუკუნიში“, – თქვა ბოლოს გენერალმა.

ბრიგადაში შემავალ მეზღვაურებს ბრძანება ზეპირად გადასცეს, ამიტომაც ის არასწორად გაიგეს და შეძახილით „ბანზაი!“ ჯარისკაცები მტერს ეკვეთნენ. ამერიკელებმა მძლავრი საარტილერიო ცეცხლი გახსნეს. ტყვიამფრქვევი ბალახივით ცელავდა იაპონელ მებრძოლებს, ყველას, ვინც საზღვაო ქვეითების სანგრებთან მისვლას დააპირებდა. დილით, როცა მზემ გაანათა ბრძოლის ველი, ამერიკელებმა იაპონელთა 500-ზე მეტი დაგლეჯილი გვამი დაინახეს.

19 მარტისათვის წინააღმდეგობის უკანასკნელ კერად მხოლოდ კურიბაიასის ბუნკერიღა რჩებოდა. გენერალმა იმპერატორს ბოდიში შეუთვალა იმის გამო, რომ ვერ შეინარჩუნა კუნძული და, ტრადიციისამებრ, გამოსამშვიდობებელი ტანკაც დაწერა:

მტერი არ დამარცხებულა
და მე ბრძოლაში დავიღუპები,
მაგრამ შვიდჯერ დავიბადები,
რომ ხელთ აღებარდი ავიღო.

პასუხად იაპონიის მთავრობის მეთაურმა კურიბაიასის გენერლობა მიანიჭა.

როგორ დაიღუპა კურიბაიასი, დანამდვილებით არ არის ცნობილი. ზოგიერთი მონაცემით, ის პირადად მეთაურობდა იაპონელების უკანასკნელ შეტევას 25-26 მარტს. იმ ღამეს 300 იაპონელი მებრძოლი შეუმჩნევლად დაესხა თავს ამერიკელთა ზურგის ბანაკსა და საველე ჰოსპიტალს. მხოლოდ მე-5 მესანგრეთა ბატალიონისა და დროულად მოსული დამხმარე ძალის წყალობით მოახერხეს ამერიკელებმა მტრის განადგურება. სხვა წყაროები ამტკიცებენ, რომ გენერალმა რიტუალური თვითმკვლელობა – სეპუკუ შეასრულა. ფაქტი ერთია – მარტის ბოლოს მთელი იაპონური გარნიზონი განადგურებული იყო. ზოგიერთი გადარჩენილი ოფიცერი და ჯარისკაცი ისევ აგრძელებდნენ პარტიზანულ ბრძოლას 1945 წლის მაისამდე.

*კუნძულ ივოძიმის აღების შემდეგ ამერიკელთა სარდლობამ აღიარა, რომ საზღვაო ქვეითებმა თავისი არსებობის მანძილზე ერთ-ერთი ყველაზე სისხლიანი ოპერაცია ჩაატარეს. ეს ეფექტური ბრძოლა კი არა, იმ უმძლავრესი თავდაცვითი პოზიციების თანდათანობით განადგურება იყო, რომელთაც ძლიერი და მამაცი მოწინააღმდეგე იცავდა.*

*ამერიკელთა მხრიდან იყო 7 ათასი მოკლული და უგზო-უკვლოდ დაკარგული, 16000 კი დაჭრილი.*

*იაპონელებმა დაკარგეს 21 ათასზე მეტი კაცი. განსაკუთრებით უნდა აღინიშნოს, რომ ამერიკელებს ტყვედ მხოლოდ 111 კაცი ჩაუვარდა, რომელთაგან მხოლოდ 67 იყო იაპონელი, დანარჩენები კორეელი მუშები იყვნენ, ისინი, გვირაბებს რომ თხრიდნენ. სამშობლოში კურიბაიასი ეროვნულ გმირად შერაცხეს.*

*უდავოა, რომ ივოძიმის აღება იაპონიაზე გამარჯვების საქმეში დიდი წვლილი იყო. ამერიკელებს კარგი პლაცდარმი ჩაუვარდათ ხელთ უფრო მსხვილი კუნძულის, ოკინავის დასაპყრობად. ომის დამთავრებამდე კუნძულის აეროდრომებმა B-29-ები დაახლოებით 2500-ჯერ მიიღეს. ამერიკელ პილოტთაგან ერთ-ერთმა ერთხელ თქვა: „ყოველთვის, როცა ამ კუნძულზე დავჯდებოდი, მადლობას ვწირავდი ღმერთსა და იმ ხალხს, ვინც ივოძიმა აიღო ჩვენთვის“.*

**ოვიძიმაზე ტყვედ 111 კაცი ჩაბარდა. აქედან მხოლოდ 67 იყო იაპონელი, დანარჩენები კორეელი მუშები იყვნენ...**



# არსენალვორდი



**თარაზულად** 1. სამხრეთაფრიკული ტაქტიკური გამანადგურებელი; 4. იემენის დედაქალაქი; 5. ამერიკული რევოლვერი; 7. ესპანური პისტოლეტი; 8. მექსიკური პისტოლეტი; 11. ბრაზილიელი ფეხბურთელი; 13. ფრანგული საგემბანო ვერტმფრენი; 14. ძლიერი შხამი, რომელსაც ინდიელები იყენებდნენ ისრების მოსაწამლავად; 15. ბელგიური რევოლვერი; 18. ამერიკული ვერტიკალურად ამფრენ-დამფრენი თვითმფრინავი; 20. სამაგიდო თამაში; 22. მუხლუხებით მავალი ჯავშნიანი საბრძოლო მანქანა; 23. სამხედრო ავიაციის ქვეგანაყოფი, რომელიც თვითმფრინავების რამდენიმე რაზმისაგან შეგდება; 26. ამერიკული რევოლვერის „ჰუდის“ მოდელი; 27. პოლონური 35 მმ-იანი თვითმავალი საზენიტო დანადგარი; 28. ამერიკული საბაზო-საპატრულო თვითმფრინავი; 29. წვრილი და მაღალი ციხე; 30. ავსტრალიური გამნაღმველი დისტანციური მართვის მანქანა.

**შვეულად** 1. გერმანული დაკუთხვილლულიანი შაშხანა; 2. საჭიდაო ხალიჩა; 3. იარაღის მწარმოებელი გერმანული ფირმა; 4. ჯარის უფროსი, მხედართმთავარი ძველად; 6. უმცროსი მატროსი გემზე; 8. შვეიცარიული პისტოლეტი; 9. რჩეული საზოგადოება; 10. ისტორიული მხარე დასავლეთ საქართველოში; 12. ომის მომზადების და წარმოების დიდი სამხედრო ოპერაციების ჩატარების ხელოვნება; 14. ქვეითი ჯარის რაზმი ძველ რომში, რომელიც შეადგენდა ლეგიონის მეათედ ნაწილს; 16. საზღვაო აკადემიის უფროსკურსელთა წოდებულება რევოლუციამდელ რუსეთში, რომლებიც ფლოტში პრაქტიკას გადიოდნენ; 17. ნაპოლეონის არმიის მარშალი; 19. ფრანგული ვაზის ჯიში; 21. უგუმბათო ეკლესია; 24. სამაგიეროს გადახდა ბრძოლაში დამარცხებისთვის; 25. ფულისა და ნივთების გათამაშება ბილეთებით;

*ჟურნალის წინა ნომერში გამოქვეყნებული „არსენალვორდის“ პასუხები:* **თარაზულად:** 5. ბაგრატიონი; 6. რაინმეტალი; 7. ტიტო; 9. კრუსულეგი. 13. მოდფა 15. მაიორი 17. ცირიკი 18. იაკი. 20. ჯიჰადი 24. ტიბარი 25. ღამურა 26. ონი 28. ბატარეა 29 შორტი 31 დიუმა 32 იბერია 33. ჰანზა 34 ალიადა. 36 ურიბე. **შვეულად:** 1. საფანტი 2. გრანატა 3. დიქტატორი 4 ონილი 8 გალიფე 10 რაშიდი 11 სარისა 12 ლომისი 14 ამნისტია 16 ომი 19 კობრა 20 ჯუღაშვილი 21 ჰამერლესი; 22 დერბი 23 არვე 27 ნიუანსი 30. გარატე 31 დაჰაუ. 35 ლა.

ეროვნული ბიბლიოთეკა

# არასამხედრო ალტერნატიული შრომითი სამსახური

## გამოუყენებელი რესურსი

**გასული საუკუნის 90-იანი წლებიდან ახალი ინსტიტუტების დანერგვა საქართველოში წინააღმდეგობრივად მიმდინარეობს. ერთ-ერთ ასეთ საკითხს განეკუთვნება არასამხედრო ალტერნატიული შრომითი სამსახური. არასამხედრო ალტერნატიული შრომითი სამსახური წარმოადგენს საზოგადოებრივად სასარგებლო სამოქალაქო სამსახურს, რომელიც ცვლის სამხედრო სამსახურს, მაგრამ უნდა ემსახურებოდეს ქვეყნის თავდაცვის ამოცანის თანაბარი საზოგადოებრივი მოთხოვნილების დაკმაყოფილებას. მისი გავლის საფუძველს წარმოადგენს წინააღმდეგობა წვევამდელის სინდისის, აღმსარებლობისა და შეხედულებათა თავისუფლებასა და სამხედრო სამსახურს შორის.**



### სახელმწიფოს ვალდებულება თუ...

საქართველოში, ისევე როგორც დასავლეთ ევროპის ქვეყნებში, ამ სამსახურის ამოქმედება თავდაპირველად განპირობებული იყო ადამიანის უფლებების დაცვის უზრუნველყოფის პოზიტიური ვალდებულებით, მაგრამ იმპლემენტაციის პროცესში დასავლეთევროპულმა სახელმწიფოებმა შეცვალეს დამოკიდებულება ამ სამსახურის მიმართ და იგი დღეისათვის აღარ განიხილება როგორც მხოლოდ სახელმწიფოს ვალდებულება, დაიცვას ადამიანის უფლებები. გერმანიისა და ავსტრიის მაგალითზე ამ სამსახურმა დიდი წვლილი შეიტანა ამ ქვეყნების ეფექტიანი სოციალური სისტემის ფორმირებაში. დღეისათვის კი მისი როლი იმდენად მნიშვნელოვანია, რომ ინტენსიური მსჯელობა მიმდინარეობს ამ სამსახურის შენარჩუნების აუცილებლობაზე, პროფესიულ არმიაზე გადასვლის შემთხვევაშიც კი.

მიუხედავად იმისა, რომ ამ სამსახურის პირველი მარეგულირებელი აქტი საქართველოში 1991 წელს იქნა მიღებული, შესაბამისი ფუნქციით აღჭურვილი ინსტიტუცია მხოლოდ 2001 წელს შეიქმნა და 2007 წლის იანვრამდე იარსება, შემდგომ კი ლიკვიდირებულ იქნა, ხოლო მისი ფუნქცია „ვეტერანთა საქმეების დეპარტამენტს“ გადაეცა.

### ალტერნატიული სამსახური როგორც ქვეყნის თავდაცვის სისტემის კომპონენტი

იმ სახელმწიფოთა უმრავლესობაში, რომლებიც ეროვნულ შეიარაღებულ ძალებს გაწვევის საფუძველზე აკომპლექტებენ, ალტერნატიული სამსახური განიხილება როგორც ქვეყნის თავდაცვის უზრუნველყოფის სფეროში დემოკრატიული ატრიბუტების განუყოფელი ნაწილი და ქვეყნის თავდაცვის მთლიანი სისტემის ერთ-ერთი კომპონენტი. ამიტომაც ალტერნატიული მოსამსახურეების მიერ სამსახურის გავლის პერიოდში დიდი ყურადღება ექცევა იმ უნარ-ჩვევების შეძენას, რომელთა გამოყენებას ისინი შეძლებენ საგანგებო საომარი მდგომარეობის პირობებში. მაგალითად, გერმანიასა და ავსტრიაში საგანგებო მდგომარეობის გამოცხადების შემთხვევაში ალტერნატიული მოსამსახურეები მოქალაქეებს სრულფასოვან გადაუდებელ სამედიცინო დახმარებას გაუწევენ, ჩაატარებენ სამაშველო ოპერაციებს, გაწმენდენ ნანგრევებისაგან დასახლებულ პუნქტებს და ა.შ.

ჩვენთან კი ალტერნატიული მოსამსახურეების მომზადება ინტერესის საგანიც არ არის. მეტიც, გაწვევის შემდეგ რეზერვში ჩარიცხული ალტერნატიული მოსამსახურეები აღარ გადიან მომზადე-

ბას. რით დაგვეხმარებიან ისინი საგანგებო თუ საომარი მდგომარეობის პირობებში?




## პროფესიული არმიის ალტერნატიული სამსახური

ალტერნატიულ სამსახურზე საუბარი ჩვენთან ანაქრონიზმად მიაჩნიათ. ალბათ, სადავო არ უნდა იყოს ის გარემოება, რომ თუნდაც იგივე პაციფისტები სამხედროებზე არანაკლებად არიან დაინტერესებული ქვეყანაში პროფესიული არმიის არსებობით. მეტიც, ხშირად ალტერნატიული სამსახური განიხილება ერთ-ერთ მნიშვნელოვან ეტაპად პროფესიულ არმიაზე გადასვლის პროცესში. გარდა ამისა, პროფესიულ არმიაზე დროის მოკლე პერიოდში გადასვლა ისეთმა სახელმწიფომაც ვერ მოახერხა, როგორიცაა გერმანია.

## შიში იმისა, რომ ყველა ამ სამსახურში წავა

შეუძლებელია არასამხედრო, ალტერნატიულ შრომით სამსახურში გაწვეულთა რაოდენობა ხელოვნურად გაიზარდოს. სწორი მენეჯმენტის პირობებში ამ სამსახურში შეიძლება მოხვდნენ მხოლოდ მყარი საფუძვლის მქონე წვევამდელები. გარდა ამისა, ეს სამსახური გულისხმობს მოსამსახურეთა საკმაოდ ინტენსიურ დატვირთვას და სულაც არ არის ადვილი.

## პოლიტიკურად მომგებიანი თემა

საქართველოში ალტერნატიული სამსახურის საკითხი ხშირად განიხილება როგორც პოლიტიკურად არაპოპულარული თემა. ალტერნატიული შრომითი სამსახურის მიმართ სახელმწიფოს მცირედი ყურადღებაც კი საკმარის საპირწონედ შეიძლება გამოდგეს მოკერებული „გავეშებული“ მილიტარიზაციის იარლიყის მოსაშორებლად, რადგან ალოგიკური იქნებოდა სახელმწიფოსათვის მილიტარისტული ზრახვების დაბრალება, თუ ის სამხედრო ძალების მხარდაჭერის პარალელურად კონცეპტუალურად მის საპირისპირო არასამხედრო, ალტერნატიულ შრომით სამსახურს ქმნის. რამდენადაც ამ სამსახურის არარსებობა შეიძლება იყოს საერთაშორისო საზოგადოების უარყოფითი გამოხმაურების საგანი, არანაკლებადვე შეიძლება მისი წახალისება-განვითარება გაშუქდეს პოზიტიურად.

## რა სასარგებლო რესურსს შეიცავს ეს სამსახური

არასამხედრო ალტერნატიული შრომითი სამსახური წმინდა პრაგმატული თვალსაზრისით შეიცავს მისი საზოგადოებრივი სარგებლიანობის მაღალ პოტენციალს და მისი არგამოყენება ამ სამსახურისათვის გამოყოფილი თანხების მხოლოდ „ფორმალური გახარჯვაა“ სასარგებლო უკუეფექტის გარეშე. ცენტრალური თუ ადგილობრივი საბიუჯეტო სახსრების სიმცირის გამო სათანადოდ დაუფინანსებელი სფეროები სახელმწიფოს შეუძლია უზრუნველყოს ხარჯეფექტიანი მუშახელით. მთელი ფილოსოფია ალტერნატიული სამსახურისა მდგომარეობს მის საზოგადოებრივ სარგებელში, საზოგადოებისათვის ღირებული მომსახურების გაწევაში. მათი შრომის გამოყენება შეიძლება ისეთ მნიშვნელოვან სფეროებში, როგორებიცაა ისტორიული და კულტურული ძეგლების აღდგენა-რეკონსტრუქცია და მშენებლობა, ნაკრძალებისა და ტყე-პარკების მოვლა, ინვალიდების მოვლა, კომუნალური მომსახურების ორგანიზაციები და დაწესებულებები, დაწესებულებები, რომლებიც სოფლის მეურნეობის პოდუქციას აწარმოებენ, საავარიო, სამაშველო, ხანძარსაწინაალმდეგო და ეკოლოგიური დაწესებულებები და სხვ. მით უმეტეს, რომ ეს ინსტიტუტი არ მოითხოვს დიდ თანხებს ან მრავალრიცხოვან შტატს. ეს მხოლოდ სწორი მიდგომებისა და დადებითი პოლიტიკური ნების საკითხია.



ლოგიკა მარტივია: ფორმალურ არსებობას, სჯობია, ეს სამსახური სულ გავაუქმოთ; თუ არა და, გამოვიყენოთ ის რესურსი, რომელსაც ეს სამსახური შეიცავს და რომელიც საქართველოში არის.

ვლადიმერ სახელაშვილი
ირაკლი სესიაშვილი

ეროვნული ბიბლიოთეკა

# უსახელო ქართული პისტოლეტები

## ქალბატონებისთვის და არა მარტო მათთვის

ერთია, როდესაც ცხრა მთას იქით გაკეთებულ იარაღს ცდი და სულ სხვაა, როდესაც ხელში საქართველოში, ქართველების მიერ აწყობილი პისტოლეტი გიჭირავს.

„არსენალის“ ამ ნომრისთვის ქართული კომპაქტური პისტოლეტი გამოვცადეთ, რომელიც, თქვენ წარმოიდგინეთ, ჯერ კიდევ არ მოუნათლავთ.

პისტოლეტის ტარს Z&G ნიშანი ამშვენებს, მაგრამ ეს „ზოროში“ არ აგერიოთ, იგი თურმე „ზაზასა და გურამს“ ნიშნავს. ზაზა მინდიაშვილი ამ პისტოლეტის მთავარი კონსტრუქტორია (მის სახელს უკავშირდება პისტოლეტ „არმაზისა“ და პისტოლეტ-ტყვიამფრქვევ „გორდას“ შექმნაც), ხოლო გურამ ბრეგვაძე – იარაღის წარმოების ხელმძღვანელი; ჯგუფის მესამე წევრი კონსტრუქტორი ზაზა ბიწაძე კი ახალი იდეების გენერატორია.



უსახელო ქართული პისტოლეტი მანდილოსნის ჩანთაში თავისუფლად თავსდება

– რამდენიმე ხნის წინ, როგორც ინდმეწარმეებმა, იუსტიციის სამინისტროსგან მივიღეთ იარაღის წარმოების, შეკეთებისა და ვაჭრობის გენერალური ლიცენზია – გვითხრა გურამ ბრეგვაძემ, – ჩვენი ჯგუფის იდეა იყო, გაგვეკეთებინა მოკლელულიანი ცეცხლსასროლი იარაღის რამდენიმე მოდელი, რომლებიც იარაღის მსოფლიო კატალოგში შევიდოდა.

– ამით გვინდა დავამტკიცოთ, რომ მიუხედავად ტექნოლოგიური ჩამორჩენილობისა, ქართველი კონსტრუქტორები ღირსეულ მეტოქეობას გავუწევთ მსოფლიოს ცნობილ საიარაღო ფირმებსაც კი, – ამბობს ზაზა ბიწაძე.



კომპაქტური ქართული პისტოლეტით სროლისას უკუდარტყმის ძალა თითქმის არც იგრძნობა, რაც არც არის გასაკვირი. პისტოლეტი „ბრაუნინგის“ 6,35 მმ კალიბრის ვაზნებისთვისაა გათვლილი. ამ ვაზნის ტყვიის სალულე ენერგია კი მხოლოდ 98 ჯოულია, მაშინ როდესაც საბჭოთა ПМ „მაკაროვით“ 9,2 მმ კალიბრის ტყვიის გასროლისას ეს მაჩვენებელი 303 ჯოულს აღწევს, ხოლო TT-ით 7,62 მმ ტყვიის გასროლისას კი 508 ჯოულს.

პისტოლეტის მჭიდში ერთრიგად რვა ცალი 6,35 მმ კალიბრის ვაზნა ეტევა. პისტოლეტს დახურული საცემ-სასხლეტი მექანიზმი აქვს, გადატენის შემდეგ იარაღის საკეტის უკან პატარა ღერო გამოიწევა, რომელიც იმის მაჩვენებელია, რომ ვაზნა ლულაშია. პისტოლეტს საინტერესო კონსტრუქციის დამცავი მექანიზმი აქვს. მისი ზემოთ აწევისას





პისტოლეტი დამცველზეა, შუა პოზიცია სროლის საშუალებას იძლევა, სულ ქვემოთ ჩამოწევის მერე კი იარაღის დაშლა შეიძლება.

თვითდამტენი პისტოლეტი თავისუფალი საკეტის პრინციპით მუშაობს და მექანიზმი გამარტივებული აქვს. პისტოლეტის ლულა „ფოლადი-50“ მარკის მეტალისგანაა დამზადებული (სხვათა შორის, „კალაშნიკოვის“ ლულასაც ამ მარკის მეტალისგან ამზადებენ), კორპუსი კი „ფოლადი 45“-სგან კეთდება.

— ჩვენ უფრო პატარა გაბარიტისა და მსუბუქი პისტოლეტის გაკეთებაც შეგვეძლო 6,35 მმ ტყვიების სასროლად, მაგრამ განზრახული გვაქვს იგივე პისტოლეტი 7,65 მმ კალიბრის ვაზნაზე გადავაკეთოთ, ისე, რომ მხოლოდ ლულის შეცვლა დაგვჭირდეს, — ამბობენ პისტოლეტის კონსტრუქტორები.

პისტოლეტის შემქმნელების აზრით, ამ იარაღის სროლის ეფექტიანი მანძილი 20-25 მ-ია. „არსენალმა“ იგი უფრო ახლო მანძილზე გამოცადა და დარწმუნდა, რომ ტყვიები სამიზნეს ზუსტად ხვდება. საერთოდ, ასეთი მცირეკალიბრიანი კომპაქტური პისტოლეტები უფრო 5-10 მ-ის დისტანციისთვისაა გათვლილი.



პისტოლეტის არასრული დაშლა

პისტოლეტის შემქმნელები ელოდებიან, რომ სახელმწიფო, კერძოდ კი სამართალდამცავი სტრუქტურები გამოიჩენენ დაინტერესებას და ახალი ქართული პისტოლეტის განსაზღვრულ პარტიას შეუკვეთენ, თუნდაც როგორც მეორე დამხმარე იარაღს (პისტოლეტის სიგრძე სულ 13 სმ-ია) ოპერატიული მუშაკებისთვის. საერთოდ კი ამ კოლექტივს უფრო შორსმიმავალი გეგმებიც აქვს, — ისინი მზად არიან ქართული სპეცდანიშნულების რაზმებისთვის შექმნან პისტოლეტ-ტყვიამფრქვევები, რომლებიც ცნობილ MP5-ს არ ჩამოუვარდება.

კომპაქტური პისტოლეტის ყიდვა ყველა მსურველს შეუძლია. შემქმნელთა აზრით, პისტოლეტის დაახლოებით 500-700 ლარი ეღირება, ფასი დამოკიდებულია ინდივიდუალურ შეკვეთაზე. მყიდველმა შეიძლება დაუკვეთოს პისტოლეტის მოვარაყება, ხელისგულის მიხედვით სახელურის მორგება, წარწერის გაკეთება და ა.შ.

P.S. ის, ვინც დაინტერესდება ამ კომპაქტური ქართული პისტოლეტისთვის ორიგინალური სახელის შერჩევით, შეეძლება თავისი აზრი ამ ელექტრონული ფოსტის მისამართით გაგზავნოს ananauri@posta.ge ან დარეკოს ამ ნომერზე 899 618-513.

*ირაკლი ალადაშვილი*



**ჩვენი დოსიე:** პისტოლეტის სიგრძე 130 მმ, სიგანე 21, სიმაღლე 95 მმ, ლულის სიგრძე 64 მმ. მჭიდში 6,35 მმ კალიბრის 8 ვაზნა ჩადის. პისტოლეტის მასა ვაზნების გარეშე 477 გრამია. ერთი ვაზნა 5,11 გრამს იწონის. ტყვიის საწყისი სიჩქარე 245 მ/წმ-ია, ტყვიის სალულე ენერგია კი 98 ჯოული.

ეროვნული ბიბლიოთეკა

არსენალი



ხ21/25

ზ&გ